


K 12,659
2

036. ပေါက်ခွဲလာ



အ ၁၄ စ ၁ၬ ၆

မန်စိ. အ. အေဂျင်း၊ ရုပ်သမဂ္ဂ

ပြည်ထဲရေးဝန်ကြီးဌာန ဗိုလ်ချုပ်ရေးဝန်ကြီးဌာန နာဏ်ဖော်ရေး

စ ၇၀ ၂၈၆၀ ၁၉၃၅

899.962.1-32

085. 60630230



3/43 ინდონეზია
მიმდინარეობის

პ ა რ ტ ა ხ ი

HR-2.358

ავტოგრაფის მიხედვით გამოცემული
შენიშვნებითა და ლიაკსიპონითურთ

პროფ. ა. შარიშვილის რედაქციით

K 12.659
2



სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა

6 ივნის 1935

117. [2] 33. 1710. 20 40. 40 3. 2

32

შენიაგვები და ლურსიკონი
ეთი ლოგოთათიანის
გენერაციის



კორექტორი — ქ. ლომითათიძე
გამომშევები — გ. იმედაშვილი
გადაეცა წარმოებ. 20/X-34
შედმოწერილია 1/XII-34
მთაველიტ. რწმ. № 29
შეკვეთა № 114
ტირაჟი 2000
ფორმა 36 × 53

სპეც-2000
სახ. გვერდის

სახ. უზივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, უზივერსიტეტის ქ. № 1

ტ ი ნ ა ს ი თ ჟ ა რ ბ ა.

ეგნ. ნინოშვილის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შორის „პარტაზი“ ერთად-ერთი თხზულებაა, რომლის ავტოგრაფს ჩვენამდე სრულად მოუღწევია¹⁾. ხელნაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ თხზულების პირვანდელი სახისა და ავტორის სტილისტიკურ-ორთოგრაფიულ თავისებურებათა დადგენისთვის, არამედ სახოგადოდ ეგნ. ნინოშვილის ნაწერების ყოველ მხრივ გათვალისწინებისთვისაც.


მაგრამ არის კიდევ მეორე გარემოება, რომელიც გვაიძულებდა ყურადღება მიგვეპყრო „პარტაზის“ ჯეროვანი გამოცემისათვის. ე. ნინოშვილის ნაწერებში მრმქმედი პირები გურულ კალიზედ ლაპარაკობენ. ნიჭიერი მწერალი კარგად იცნობს გურულ კილოს, რომლის წიაღში იგი დაბადებულა და ოლზრდილა და საზოგადოდ სისწორით ასახეს ამ კილოს ვითარებას 90-იან წლებში. რადგანაც ყოველი კილო და მათ შორის გურულიც მუდამ ცვალებადობას განიცდის და დლევანდელი მისი სახე უკვე ის აღარ არის, რაც უნდა ყოფილიყო ორმოციოდე წლის წინათ, ამიტომ ეგნ. ნინოშვილის ნაწერებს საზოგადოდ და განსაკუთრებით მის „პარტაზს“ უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული დიალექტოლოგიური თვალსაზრისითაც.

¹⁾ მოიპოვება კიდევ ნაწყვეტი „გოგია უიშვილის“ პირველი ვარიანტისა [„სახალწლო პურ-ლვიონა“].

„პარტახის“ ხელნაწერი (№ 4908S) შემდგარია დიდი ფორმატის (23×35, 5 c. m.) ორი რვეულისაგან, რომელიც პიც ერთმანეთზე ზემო მხარეს ძაფით არის გადაგმული. პარველ რვეულში 16 ფურცელია, მეორეში კი 12; სულ არის, მაშასადამე, 28 ფურცელი, რომელთაგანაც პირველზე არაფერია დაწერილი, თუ არ მივიღებთ ვერსოზე რესულად გამოყვანილ აღრესს: В общество распространения грамотности среди грузин. წინა ორი ფურცელი პირველი რვეულისა და სათანადო ორი უკანა ფურცელი ამავე რვეულისა, ზურგის ნაწიბურზე გახევის ვამო, დაშორებიან ერთმანეთს. ფურცლები დანომრილია, ჩაჭრამ პირველი ცარიელი ფურცელი სათვალავში არა მიღებული. მოთხრობა იწყება მეორე ფურცლის პირველ გვერდზე და თავდება უკანასკნელი (28-ე) ფურცლის პირველზე (თუ დანომრილების მიხედვით ვიმსჯელებთ, იწყება პირველზე და თავდება 27-ზე).

მოთხრობა დაწერილია საქმაოდ გარკვეული ხელით, მაგრამ შიგ ბევრი შესწორებაა შეტანილი, რომელთა უმეტესობა ავტორს ეკუთვნის, ზოგი კი რედაქტორს (თუ რედაქტორებს). ავტორის შესწორებანი ყოველთვის შინაარსეულ მხარეს ესება, რედაქტორისა კი უმთავრესად სტილისტიკურ-ორთოგრაფიულს. ერთი ამ რედაქტორთაგანი გ. წერეთელი, მოთხრობის სათაურის შემოთ დატოვებულ თავისისუფალ აშიაზე წერს ასოთ-ამწყობის საყურადღებოდ: „ვლას, ამ მოთხრობის პირველი თავი ააწყვი, დედანს გაუცროთხილდი, კარანდაშით დაწერილს ჭურადღებას ნუ მიაქცვ. გ. წერეთელი“.

მოთხრობა ჩვენ ისე დავბეჭდეთ, როგორც ავტორს შეუსწორებია, სხვათა შესწორებანი და შენიშვნები მედველობაში არ არის მიღებული. ავტორის მიერ პირველდელი სახით მოცემული ვარიანტები შენიშვნებშია მოქცეული.


„პარტახის“ ხელნაწერის ორი გვერდის ფოტო-
კინკოგრაფიული სურათი მოთავსებულია ეგნ. ნინოშვილის
ლის თხზულებათა მეორე ტომში („ფედურაციაზე“ გვ.
მოცემა, 1932, გვ. 84—85) და დედნის ვითარებას მკით-
ხველი რამოდენადმე იქიდან გაითვალისწინებს.

ამ გამოცემას ახლავს ქეთ. ლომთათიძის შენი-
შეენები და ვრცელი ლექსიკონი, რომელიც მოთხრობის
აღვილების სისწორით გავებას ძალიან აადვილებს.

ჩემი შენიშვნები ეგნ. ნინოშვილის ენის თავისებუ-
რებათა და „პარტახში“ მოცემული გურული კილოს
მასალების შესახებ სხვაგან იქნება დაბეჭდილი.

22. V. 1935.

ა. შანიძე.



ପାଠ ପାଠ



პ ა რ ტ ა ხ ი *

საქართველო
შემონიშვნების

(მოთხოვთა გურიის გლეხ-კაცის ცხოვრებისა)

I

რაღაც გამოურკვეველი სევდა შემოგაწევბა გულზედ,
როცა სოფელ ..ში ერთ ყრუ მიღამოს გაუვლით მახლობ-
ლად: ტყით დაჩდილული ფერდოს ძირში, რომელსაც პა- 5
ტარა ჩქრიალა-მდინარე ჩაუვლის ახლო, დგას ფიცრული
სახლი, რომლის-სახურავი თითქმის სულ ჩანგრეულა, უსა-
ხურაოდ დარჩენილი კედლები სტიქიონთ ძალით გაშავე-
ბულა, აქა-იქ ღოჯებში ცოტათი დამპალა კიდეც, ხავსი 10
მოჰკიდია, სუროთი მობარდულა. დანარჩენი შენობები ზო-
გი, ეტყობა, წაულიათ და ზოგი კი, მაგალითად ფაცხა,
საძროხე და მისთანა წერიმალები დამპალა და დალეწი-
ლა. კისკრიდან და ეზოს ღობიდან მხოლოდ აქეთ-იქით 15
გადაზნექილ-გადმოზნექილი ურთხლის ბოძები და სარე-
ბი დარჩენილა. ეზო ტევრად გადაქცეულა, ბარდ-ეკალს 20
მოუცვამს, ნორჩი ხეხილები—ლელვი, ატამი, ბია და სხვა
საქონელს დაუმტკრევია და გაუფუჭებია. სულ მთლად
აქაურობა სამარისებურ მყუდროებას მოუცვამს. იმ სოფ-
ლის ხალხი, მეტადრე ქალები და ბავშვები, როცა გაივ-
ლიან ამ ყრუ მიღამოს სიახლოეს, შეაფურთხავენ, თვალს 25
მოარიდებენ და „წმინდაო გიორგი, შენ დამიცევი“ ო
იტყვიან პიჯვრის წერით.

პირველად რომ ამ მიღამოს ნახავთ, ნაღვლიანი ფიქ-
რი და კითხვები გებადება: ერთ დროს აქ ადამიანს უც-

*) პარტახი—უპატრონოდ დარჩენილი სახლ-კარი და მიღამო

ხოვრია, უმოქმედია, ცდილა თავის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, უშენებია, უმამულებია აქაურიზმა ჩრდილი ნა ეს ადამიანი? ნუ თუ გაქრა, ალიგავუ მის მარწმუნებელს! ნუთუ ეგეთი უსაფუძვლო მოჩვენებაა ადამიანის ცხოვრება! ცხოვრების ერთ რომელიმე უკუღმა ნასროლ ტალღას გაუქვრია ამ მიღამოში სიცოკხლის ლამპარი!

რამდენიმე წლის წინეთ—მაშინ ეს მიღამო ყრუ და გავერანებული კი არ იყო—ზემო აწერილი სახლის გეერდს მიუჯდა ცხრამეტი, თუ ოცი წლის ქალი და რაღაც სისო წარკვეთილებით ხელ აპყრობილმა წარმოსოქვა: „ღმერთო, იგი დღეი რეზა არ დააქციე, რაც დღეს მე ჯვარი დამწერეს“ო.

— იმ დღეს ნუ სწყევლი-მეთქინ, გითხარი! თუ გინდა შენი თავი დასწყევლე, ჯვარის წერასთან რა ხელი გაქ!—უთხრა პირველს ხმელ-ხმელმა, ჯერ კიდევ ყმაწვილმა, საკმარის ლამაზმა ქალმა, რომელიც ამ ლაპარაკზე გამოვიდა სახლიდან და დაჯდა პირველი ქალის მახლობლად.

— ჩემ თავს ვსწყევლი, ჰო, ჩემ თავს!—უპასუხა გაჯავრებით პირველმა.

20 — გითამ რომ სწყევლი, მერე რა გჭირს შენ საწყევლელი? ახლა მოგინდა უპატრონოთ ბუნდრუკი შენს ბიძაშვილსავით? უკაცრავათ, შენ ახლა პატრონი გყავს, იმისთანაი პატრონი, რომ ქვესკნელში ჩახვიდე, იქინეიც მიგაგნებს და ამოგათრევს. იგი არ იფიქრო კიდევ, ზოგიერთები რომაა ლამბი, ჯერან იგი იყოს. ფეხის გადადგმა რომ იფიქრო, ბაწრით ჩამოგვიდებს და ჩამოგარჩობს!

— ღმერთო, სა-წევიდე აწი! ალარ გეყვენ იგი, რაც გული მომიკალით და ახლა აქანაიც გამომდიე! დამეთხუეთ-მეთქინ, გიჩივი, დამეთხუეთ!—უთხრა პირველმა.

— იძახე ახლა, სა წევიდე და სა წევიდე-ოქეა! ძალუანი თვალ-ყური კი გაქ იშ წასვლაზე, მარა იგი დღემი შენ არ მოგესრობა! — უპასუხა მეორემ.

— ვეღარ გაძეხით ჩემი ნწვალებით! აბა, ჰა, მოდით და კამეთ ჩემი ხორცი!

— ქალო, შენ ნამეტარი ეიგდე თავი! გამომდგარხარ ქვეყნის შარაზე და ყვირი ჭამეთ ჩემი ხორციო! რა კაცის მჭამელათ გვნახე ჩვენ! ალარც შიშო, ალარც მორიდებავ! კი მემართლება, რომ მიჩივა შვილი — შენ მიქენი ყოლიფერი სიავეო. — ამ სიტყვებით გამოვიდა სახლიდან 10 მესამე ქალი და დაჯდა მოდავე ქალების სიახლოეს.

ეს მესამე ქალი იქნებოდა ორმოცდა ათი წლის. ეს იყო ხმელ-ხმელი, მომაღლო ტანის, სწორი, ჩამჩრე მჭერი პირისახის, რომელზე ეხლაც ეტყობოდა, რომ ერთ დროს ლამაზი უნდა ყოფილიყოს.

— ახლა აგიც გამოჰყეა! აბა, ჰა, შეეწიეთ ნადათ დედა-შვილმა ერთქამეთს და დამესიერ მე! ფუი, თქვენ ქალობას! — უთხრა პირველმა ქალმა მოხუცებულს.

ამ სიტყვებმა ისე გააცეცხლა მოხუცი ქალი, რომ პირისახე დაემანქა. — „რავა? მე ფუი!“ — მრისხანეთ შეით-20 ხა იმან პირველ ქალს.

— ვის, ქალო, ფუი, ნენას?! აგიც ალარ დაგვაკელი! მარა კი ემართლები, რომ ჯერანს არაფერამდი შენი შერთვა არ უნდოდა და ნენამ ძალათა შეართვია შენი თავი. ახლა მის მაგიორში თვალში აფურტნი და ფუიო 25 უძახი! — წაეკიდა ამ სიტყვებით პირველს მოხუცის მაგიერ მეორე ქალი.

— ღმერთმა გიქნა თქვენ იმისთანაი კაი, რავაიც მე მიქენით! — უთხრა პირველმა.

— რავა, ნენას კაი არ უქნია შენდა? შენ კი ძმონი-
დი ჯერანისთანა ქმარს! — გაკვირვებით ჰქონება მეტრული;

— დიეთხუე, ციცავ! თქვა და იგი უყუ, მეტრული

გინდა! ბატონიშვილის ქალს ეკადრებოდა ჩემი ჯერან
5 ქმარათ; გადევეკიდეთ, შევართვიეთ აი მაიმუნი ცოლათ
და ახლა ხედავ, რას გვიჩივა! — ბრაზმორევით უთხრა მო-
ხუცმა მეორე ქალს.

ამის შემდეგ ქალებმა კიდევ კარგა ხანს იდავეს, ბევ-
რი მწარე და შხამიანი სიტყვები უთხრეს ერთმანეთს.

10 ამასობაში მოსალამოვდა და ქალებმა დავაც შესწყვი-
ტეს, რადგანაც მუშა-კაცი მოვიდოდა ყანიდან და ვაშა-
მი უნდა მოემზადებიათ. სამიერ ქალს ისეთი გაფანტულო-
ბა და მოქანულობა ეტყობოდათ საქმის კეთების დროს,
რომ გეგონებოდათ, რალაც დიდი ფიზიკური შრომა გა-
15 დახედიათ თავზე და იმას დაულლიაო. ეხლა ისინი ხან-და-
ხან წაპკრავ-წამოპკრავდნენ ერთმანეთს ან მწარე სიტყვებს
და ან წყევა-ლანძლვას. მაგალითად მოხუცმა ქალმა ფი-
ლი მოიტანა თაროდან, სანაყი ქვის მოტანა კი დაავიწყ-
და და, როცა ამ უკანასკნელის მოსატანად წამოდგა, დაიწ-

20 ყევლა:

— „ღმერთო, ღუუკარქე ტვინიც და გრძნობაც, ვინ-
ცხამ ასე მომაქცია დღეს“ ო. — „თუ მტყუანი ვიყო, აგის-
რულოს, თუ არა და შენ დაგმართოს“ ო, — მოისმა ამის
პასუხად. — „გველი დაგეკიდა იმ ენაზე, თუ მის დღეში არ
25 იშეველებოდე“ ო, — მოისმა მესამე ხმა.

II

ჯერან ტევრიძე გლეხ-კაცის პირობაზე, ძალიან სა-
ხელოვანი ყმაწვილი კაცი იყო თავის სოფელში. მაღალი
ტანის, ბეჭებში კარგა მოყვანილი, ცოტა მოშავგვრემანო,

ვაკეაცური ლამაზი პირისახის და, რაც შეეფერება უსწავლელ
კაცს, კარგი სიტვა-პასუხის პატრონი. ამასთან მუჭათიშვილი
და მეოჯახე. იმ სოფელში ჯერანზე უკეთესი და შეძლებული
გლეხი ორიც არ მოიპოვებოდა. ორ თოახიანი, ყავრით
დახურული ფიცრის სახლი, მეორე კიდევ ისლით დახურუ-
ლი პატარა ფიცრულა სახლი საკმლის საკეთებლად, კაი
ბეღელი, ფაცხა, „ნალია“, *) ოჯახისთვის საქირო სხვა-და-
სხვა პატარა შენობები, ერთი უღელი ხარი, ორი მეწველე
ძროხა, ღორები,—ესენი ყველა მოეპოვებოდა ჯერანს და
ეს დიდ შეძლებად ითვლება გლეხ-კაცობაში. ამასთან 10
ბატონისაგან დახსნილი თორმეტი „ქცევა“ საკუთა-
რი მიწა—საყანე და ვენახიანი, კარგა მოზღიული ეზო,
ნიგზის ხეებით დაჩდილული, ეზოშედ მოდებული „საჩე-
ხი“, რომელშიაც შეშა, წენელი, სარი და სხვა ამისთანაო-
ბა თავის დღეში არ გამოელეოდა. რა ბძანებაა, გლეხობაში 15
ჯერანისთანა შეძლებული ასზე ერთი ძლიერს მოიპოვება.
მართალია, ჯერანს თავისი ოჯახის მოწყობა დიდ შრო-
მად უჯდა, ბევრჯელ ლამე დღეზედ მიუტანებია მუშაო-
ბაში, ბევრჯელ ისე გასჭივრებია ტეირთი, რომ თავისი 20
გაჩენის დღე უშეველია. როცა სახლის და ბეღლის ფიც-
რები გამოპერნდა ტყიდან, მხრები და ზურგი მეკურტნე
ცხენის ზურგივით დაუშავდა, ტუჩები დაუსკრტა და სისხ-
ლი მოსდიოდა ზედ. მაგრამ ისიც კარგია, რომ მისი ამგვა-
რი შრომა დაუჯილდოებელი არ დარჩა. უმეტესი ნაწილი 25
გლეხობისა ჯერანზე ნაკლებ შრომას არ ეწევა, მაგრამ
მაინც არა აბადია რა. ეხლა ჯერანს სხვა-და-სხვა მოვა-
ლეობის გადახდაც აღარ უჭირდა სხვა გლეხებივით; ხან
სიმინდს ყიდდა, ხან ღომს და ამ საშუალებით ყოველთვის

*) ნალია—სასიმინდე.

- თავის დროზე აძლევდა „ფოსტის ფულს“ და სხვა გადა-
სახადებს. ამის შემდეგ გასაკეირვალიც არ არის, რომ ჯე-
რანს ბევრი იმ სოფლის გლეხ-კაცი ნატრობდა სრიებ-
ბევრ ლარიბ აზნაურის ოჯახსაც ეჭირა თვალი ჯერანზე—
5 გინიცობაა, ცოტა რამ მოგვცეს სასყიდლად და ჩვენი ქა-
ლი ითხოვოსო. მაგრამ ჯერან ძლიერ ფიხილობდა და
აზვიადებდა ცოლის შერთვას.—„კი, პატა რომ დევიხარ-
ჯო, აზნაურის ქალს მომცემენ ცოლათ, მარა რა! დაჯ-
დება ამ ჩემ ნაკეტავ ოჯახში და იტყვის: ჩემა ბედმა ყაბა-
10 ხის ხელში ჩამაგდო და ჩემ სიცოცხლეში მაინც ვჭამ მის
ოჯახსო. გეიჩენს კურუებს და ვინცხას მომაკვლიებს. არა,
არაა ჩემი საქმე!“—ფიქრობდა ჯერან. გლეხის ქალებში
ატანდა თვალ-ყურს, მაგრამ ჯერ ვერსად ენახა შესაფერი:
ზოგის თვალადობა არ მოსწონდა; ზოგი ლამაზი იყო, მაგ-
15 რამ მშობლები მეტისმეტად ლარიბი ჰყავდა და ამიტომ
სწუნობდა; ზოგი ლამაზიც იყო, გლეხის პირობაზე შეძ-
ლებული ოჯახის ქალიც, მაგრამ „იმისთანაი ეშმაკური
თვალები აქ, რომ წმინდათ ვერ შეინახავს თავს“—ო და
ამიტომ არ ირთავდა. ამასთან ჯერანს ცოლის შერთვა
20 ისე არ შეეძლო, თუ მისი დედა და დაჭ თანხმა არ იქნე-
ბოდნენ.—„იგი კაცათ არ მისენებია, ვინც დედის უნე-
ბურს იზამს“ო, ამბობდა ჯერან, რომელიც მართლადაც
დიდი პატივით ეპყრობოდა დედას და დას. ამ უკანასკნე-
ლებს, რასაკვირველია, მზე ჯერანზე ამოსდიოდათ. მარ-
25 თალია, ხან-და-ხან უკმაყოფილებაც მოუვიდოდა ჯერანს ან
დედასთან, ან დასთან, აწყეინებდნენ ერთმანეთს, გაიბუ-
რებოდნენ, დამდურდებოდნენ, მაგრამ კარგად რომ გავე-
შინჯათ მათი უკმაყოფილების საგანი, აი რა გამოდიოდა:
რომელიმე ამათვანი რაშე მიზეზის გამო უსაყვედურებდა
30 მეორეს—ჩემი სიყვარული და პატივცემა არ გაქვსო. ეს

უკანასკნელი იწყენდა — იქვი როგორ შემოიტანა ჩემზე:
„იგი თვარ მიყვარს, აბა, ვიღა მეყვარებდა ქმედებული ხელი 5
სხვაი“ ო. ამ მიზეზისაგან გამოწვეული საყვედური ხანტა ხან
ხან გვარიან ქარ-ბუქად გადაიქცეოდა, მაგრამ დიდხანს ვერ
გასტანდა, ადრე ცხრებოდა და მთელი ოჯახი ისევ ერთ სუ-
ლად და ერთ გულად ცხოვრობდა. ამ ერთ სულ-გულობას
ხელს უწყობდა ოჯახის მცირე-რიცხვიანობა: დედა და
და-ძმა — ამათზე მეტი არავინ იყო ჯერანის ოჯახში. ხვა-
რამზე (ჯერანის დედის სახელია) დადიოდა მკითხავებ-
თან და აკითხვებდა — ჯერანს როგორი ბედი მოელის ცო-
ლის შერთვაშიო. მკითხავები აიმედებდნენ: „დიდი ბედნიე-
რი შეიქნება ცოლის შერთვით“ ო. მაგრამ თუ ვინ უნ-
და აერჩია ხვარამზეს საჩქლოდ, ამის შესახებ კი არას
ეუბნებოდნენ. ვაჟიშვილის დაქორწილებას გარდა, ხვარამ-
ზეს ქალიშვილის გათხოვებაზედაც უნდა ეზრუნა. ელისაბედ
(ჯერანის და) წლოვანებით უფროსი იყო ძმაზედ. მაგრამ,
ხვარამზეს ფიქრით, ვაჟიშვილის შესახებ ზრუნვას დედის-
თვის ყოველთვის უპირველესი ადგილი უნდა სჭეროდა. ამ
მოსაზრების წინააღმდეგ ელისაბედიც ვერას გაბედავდა
თუმცალა მისი გათხოვება საქმაოდ დაგვიიანდა.

მაშინ თვრაშეტი წლის იყო ელისაბედ, რომ შეუყ-
ვარდა ერთი მეზობელი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ყანა
ჰქონდა ჯერანის ზიარი. ეს იყო კარგი თვალ-ტანადი მუ-
შა-ბიქი, ოცი-ოცდა ორი წლისა. ბევრი ლამე გაეტარებია
ელისაბედს უძილოდ ამ ყმაწვილზე ფიქრით; დარწმუნებუ-
ლი იყო, რომ ეს ყმაწვილი კაციც თავის მხრივ არ იყო
გულგრილად მასთან — უყვარდა ელისაბედ. მაგრამ ეს სიყ-
ვარული ისე გამოუთქმელად ჩაკლა ელისაბედმა თავის გულ-

ში, რადგანაც ბოზობად ჩაუთვლიდნენ დედა და ძმა, რომ
გაემხილა—მიყვარს და იმაზე გამათხოვეთო. ან ქიდევ უძის
დაქორწილებამდე როგორ უნდა გათხოვებულიყო?

თუმცალა თავის გათხოვების საქმეში ელისაბედს არ

- 5 ქონდა ხმა და უფლება, — მაგრამ ძმის დაქორწილებაში
დიდ მონაწილეობას იღებდა და პირდაპირ მოვალეობა-
დაც სთვლიდა თავის მხრივ ამ საქმეში მონაწილეობის მი-
ღებას. მისი ფიქრით, სულ მთლადაც დედის და დის მო-
ვალეობა იყო ჯერანისთვის საცოლო ქალის მონახვა.— „მა-
10 მა რომ გვყავდეს ცოცხალი, მაშვინ ჩვენ აღარ გვექნებოდა
ხმაი. მარა მამა აღარ გვყავს. ჩემი ძმის ჭირისუფალი ახ-
ლა მე და ნენაი ვართ, ახლა ჩვენ თავზეა მისი ცოლის „შე-
რთვა“ო—ფიქრობდა ელისაბედ. როგორც დედა მისი,
ისე ელისაბედიც დადიოდა მკითხავებთან ჯერანის ბეღის
15 საკითხავად; ქონდა მოლაპარაკება შუამავლებთან; ზოგ
შუამავალს დედის დაუკითხავადაც უარით ისტუმრებდა.
ერთი-ორი შუამავალი კიდეც გამოლანდა: „რავა გაბედე
ჩემი ძმისთვის ასე გლახა ქალის თქმაი“ო. რაც შეიძლე-
ბა გლეხის ქალისაგან, ელისაბედ ამპარტოვანი და მედი-
20 დური ქალი იყო. ამიტომაც არც ერთი არ მოსწონდა იმ
ჭალებში, რომლებსაც მისი ძმის საცოლოდ ასახელებდნენ
შუამავლები. მისი ფიქრით, ჯერანის ცოლი ძლიერ კარგი
თვალ-ტანადიც უნდა ყოფილიყო და კარგი ოჯახის შვი-
ლიც, ჭკუა-გონება და სიტყვა-პასუხის პატრონი. აბა, რა-
25 საკვირველია, ხშირად მოსვლია ელისაბედს ძმასთან უკმა-
ყოფილება, როცა ამ უკანასკნელს უხუმრია—ეს და ეს ქა-
ლი უნდა შევირთოო.

— არა, მითხარი, რავა გეივლე გულში იმის შერთვა?—
— ეტყოდა საყვედურით ელისაბედ.

— რეიზა, ეითამ, რა უჭირს? მე კი მომწონს და! —
აჯავრებდა ჯერან.

— შენ მაინცი მის მეტი ხათრი და მორჩდება არ გვე
შენი დედის და დის!

— არა რაცხა ესე დამიჯდა თვალში, უნდა შევი- 5
რთო!

— ჯერ დედა და დაი დაგვკალი და მერე შეირთე!
— ანჩელდებოდა ელისაბედ.

— ახლა ასე რომ გაცეხლთები, რა ბრიყვი მნახე მე,
რომ შენ და ნენაის უნებურათ ცოლი შევირთო! 10

— მეც გამიკვირდა, მარა შენ ესე თქვი, რომ მარ-
თალი მეგონა — იტყოდა ბოლოს დამშვიდებული ელი-
საბედ.

III

ერთს შაბათ საღამოს ჯერანს ესტუმრა მამიდა
მისი, ქალიჯან, რომელიც გათხოვილი იყო ერთ ახლობელ
სოფელში. ქალიჯან საკმაოდ მოხუცებული, მაგრამ სამა-
გიეროდ რიხიანი და კარგი სიტყვა-პასუხის დედაკაცი იყო.
მას დიდი სიყვარული წაპყოლოდა იმ ოჯახის, საღაც და-
იბადა და აღიზარდა. ხვარამზემაც კარგად იცოდა, რომ
მისი მული ქეთილის მდომე იყო მისი და მისი შეილების, 15
ამიტომ დიდი სიხარულით ეგებებოდა მის სტუმრად მოს-
ვლას. ჯერანს და ელისაბედსაც ძლიერ უყვარდათ მამიდა
ქალიჯან. უცხო თავის დღეში ვერ ითიქრებდა ქალიჯანზე,
რომ მას თავისი საკუთარი ოჯახი აქვს და ტევრიძის ოჯახ-
ში ის უფროსი ოჯახის ქალი არ არისო, როცა უყურე- 20
ბდა, რომ ქალიჯან თავისი ძმისწულის ოჯახში მისელის-
თანავე მიალაგ-მოალაგებდა, რაც საჭირო იყო, თუ რამე 25

- არ მოეწონებოდა, შენიშვნას აძლევდა ხვარამზეს და გრს
შეიღებს: „აი კარქა ვერ გიქნიან“ო, თანაგრძნობილუკავა+
მტყუვნებდა და გაუწყრებოდა, თუ რამე ურთიგარჩეული მასაც
და. ყოველივეში პირ-და-პირი და გულ-გახსნილი ლაპარაკი
5 უყვარდა, ქალიჯანს, მიხვეულ-მოხვეულობა ლაპარაკშიაც
და საქმეშიაც ძლიერ ეჯავრებოდა.
- რა ქენი, ჩემო რძალო, ბიჭს ცოლი ვერ აფიქრე-
ბიდე? — ჰკითხა ქალიჯანმა ხვარამზეს ცოტა ხნის შემდეგ.
- რა ვქნა, ჩემო მულო, რომ არ ვხედავ არსად,
10 თვალში რომ დამიჯდეს, იმისთანა ქალს — უპასუხა ხვა-
რამზემ.
- ახლა ნამეტარს ნურც შენ მეინდომებ. კაი ქალიც
დყოს, კაი ოჯახის შვილიც, კაი გვარისაც, ეგება ვერ ვი-
შონეთ ასე ყოლიტერამდი შემქული.
- 15 — აბა, ბაბიდავ, ნულარ ვეძებთ, აეია თუ კაი, ესე
ვინც შევეხეთება ხელში, შევრთოთ? — საყვედურით უთხ-
რა ქალიჯანს ელისაბედმა.
- კიცავ, შენ ნუ ხარ ნამეტარი გულდიდი! ავს და
კას ნუ ეძებო, რავა იქნება! მარა ნამეტარს ნუ გაეჭყო-
ბით-მეთქინ, ვჩივი — გაუწყრა ქალიჯანმა თავისებურად
20 თავის ძმისწულს და მერე მიუბრუნდა ისევ რძალს:
- მე ახლა იმიზა ვარ მოსული, სხვაი საქმე არ
მქონებია, ზალიკა ნარიშვილს ჰყავს კაი ციცაი და, თუ
ოქვენც დაგიჯდეს, იგი შევრთოთ-მეთქინ.
- 25 ზალიკაი ნარიშვილი ერთ დროს თავის სოფელში
განთქმული ვაჟეკაცი იყო.
- ბატონ-უმობის დროს ორჯელ აუჯანცა თავის ბა-
ტონს შინაყმები, გახდა მათ მეთაურად და აპირებდა
ოსმალეთში გადასახლებას, თუ რომ ბატონს წერილობითი
30 პირობით არ დაეთმო შინაყმებისთვის და არ მიეცა ის

სალავათი, რომელსაც ეს უკანასკნელები თხოულობდნენ. ერთჯელ კიდე—ესეც ბატონ-ყმობის დროს იყოთ შემოსილი კა რამდენიმე კაცით გზაზედ თავს დაესხა ბატონის მოულენი რავს და დაატოვებინა თავის ნათესავი ობოლი ბიჭი, რომელიც ბატონის მოურავს და მის კაცებს ოსმალეთში გა-
5 საყიდად მიყავდათ. მართალია, ის დრო წავიდა, როცა ასეთი უსამართლობისაგან ვაჟქაცობით შეიძლებოდა თა-
ვის დაფარვა. მაგრამ ვაჟქაცობის სახელი მაინც დარჩე-
ნოდა და ესეც დიდ ძეგლად მიაჩნდა ზალიკას. რაც შეე-
ხება ყოფა-ცხოვრებას, ზალიკაი ძლიერ ღარიბად ცხოვ-
10 რობდა, რადგანაც თავისი ვაჟქაცობა ძალ-მომრეობასთან
ბრძოლაში გაატარა. ამის გამო ცოლი გვიან შეირთო და
სიმოხუცის დროს დიდი წვრილშვილი ჰყავდა სარჩენად.

— ზალიკაის? — დაფიქრებით იქითხა ხვარამზემ და
შემდევ განაგრძო — ზალიკაი, მართალია, კი უწინ ქებუ-
ლი ბიჭი იყო, ბატონს ეშინოდა მისი, მარა ახლა ძალუ-
ვან ღარიბს ჩივიან. რა ვიცი. ქალი ხომ ძალიანი კაია
მაინც?

— ახლა მე მაჭანკალი არ ვარ, რომ მოვხევ ასე და
ესე-მეთქინ. ზალიკაი ღარიბია, აგი შენც ქე გაგიგონია. 20
ესე ციცაი კაი ციცაია, კაი თვალ-ტანადი, კაი მეოჯახე. მე უფრო კიდევ იმიზა ვიციქე აი საქმე, რომ ზალიკაის
ოჯახი, თქვენის არ იყოს, მართალი და პირიანი ოჯახია.
აწი თქვენც ნახეთ და თუ დაგიჯდეს, იგია, ქე ათხოვ-
ნიეთ ბიჭს; თუ არა და თქვენ იცით. ესე, ჩემი პეუით, ამ
ოჯახის შესაფერი კია.

— აბა ბიჭს ნუ ვეტყვით ამელამ, ხვალ მე წამოვალ,
ვნახავ ქალს და თუ დამიჯდა, მაშინ კიდეც ვუთხრათ და
საქმეც გავაკეთოთ — უთხრა ხვარამზემ.

— ბიჭს რეიზა ნუ ვეტყვით? შენ ნახვას იგი არ
ჯობს, იმან ნახოს და, თუ დუუჯდება ქალე, მეტრუ საფუ
დევიწყოთ — უპასუხა ქალიჯანმა.

ხეარამზემ ერთხანს არ გაუხდა ამ აზრის თანხმა, მა-
5 გრამ ბოლოს, როგორც იყო, მოწყვენენ რძალი და მული
ერთმანეთში და გადასწყვიტეს, რომ ჯერანსაც გაანდონ
ამ თავითვე ეს ამბავი.

სალამოს ჯერანიც მოვიდა ყანიდან შინ. ნაეაბშეეს
ხეარამზემ გაუმხილა შეილს, თუ რისთვის იყო ქალიჯან
10 მოსული. ჯერანი კარგა ხანს იყო ამის შემდეგ ჩაფიქრებუ-
ლი და ბოლოს თქვა:

— ზალიკაის ქალს მე არ დევიწუნებ, თუ ქალი კი
ვარგა.

— ქალი ნახე და თუ დაგიჯდება, იგია — უპასუხა
15 ქალიჯანმა.

— არა, ნენამ ნახოს. შენ და ნენაი მე არ მიღალა-
ტებთ. თუ თქვენ ორს კი დაგიჯდება, მეც ვარს არ ვიტ-
ყვი — თქვა გადაწყვეტილად ბოლოს ჯერანმა.

მეორე დღეს ქალიჯან და ხეარამზე წავიდნენ ქალის
20 სანახავად. ქალიჯანმა მოიხმო თავისი მეზობელი ზალიკა-
ის ქალიშვილი, ლიზა, და აჩვენა ხეარამზეს. ლიზა იყო
თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის ქალი, საქმიად კარგა მო-
უვანილი, სავსე ტანის, ზავგრუმანი, მაგრამ სწორი, სავსე
25 და ეშიიანი პირი სახის. რადგანაც ქალიჯანს არ გაუმხე-
ლია არც ლიზასთვის და არც მისი მშობლებისთვის, რომ
ხეარამზე მის სანახავად იყო მოსული, ლიზაც მოურთველ-
მოუკაზმავი, ისე სადად ჩაცმული მოვიდა ქალიჯანისას.

— ქალიჯან, საქმეზე მოხმარება გინდოდა და იმიზა
დამიძახე, მეგონა — უთხრა ლიზამ ქალიჯანს.

ქალიჯანს ეზარებოდა ტყუვილის თქმა, მაგრამ ეხ-
ლა კი რაღა ექნა!

— ხო, საკერავი მაქ პაწაი და იმიზა, უფრო მარტივი
უპასუხა მან ლიზას.

ლიზამ აიყვანა, დაისვა მუხლზე ქალიჯანის ხატავე- 5
რი კატა და დაუწყო თამაში. ხვარამზე კი ძალზე უპერეტ-
და, მაგრამ ლიზა არ ამჩნევდა ამას და ისევ-ისევ კა-
ტას ეთამაშებოდა.

— კატა არა, ახლა შენ ერთი კაი მოწიფული ბიჭი
გინდა და იმას უფრო დუუწყებ თამაშობას—გაეხუმრა ქა- 10
ლიჯან ლიზას.

— აბა!—თქვა ლიზამ და სახის წამოწითლებაზე
ეტყობოდა, შერცხვა კიდევ.

— აბა და მე ვიცი, გულს დაგწუვავს! იი ძუძუები
რომ გაქ დახვითქინებული, ერთი კაი ბიჭი რომ დაგაწ- 15
ვეს ზეთ. არ გამომიცთია მოწიფულობა თუ! სიზმარი მან-
წვალებდა, სანამდი არ გამათხუეს—კიდევ მარილიანად
გაეხუმრა ქალიჯან.

— რაა, ქალიჯან, რათერი ხარ, ა!—თქვა მორც-
ხვად ლიზამ, გააგდო კატა ხელიდან და ადგა შინ წასას- 20
ვლელად.

— რა ქენი, მიხვალ? ჰეკითხა ქალიჯანშა.

— ახლა წავალ და მერე მუვალ.—ამ სიტყვებით
ლიზა წავიდა შინ, ისე რომ აზრადაც არ მოსვლია, ხვა-
რამზე რისთვის უმზერდა ისე მუყაითად. 25

— კაი ციცაი ყოფილა—თქვა ხვარამზემ, რომელ-
საც ძლიერ მოეწონა ლიზა.

— ხომ დაგიჯდა? მერე რა გუნებისაა!—უთხრა ქა-
ლიჯანშა.

— აბა, ჩემო მულო, ახლა შენზეა საქმე, უთხარი დედ-მამას—უთხრა ქალიჯანს ხვარამზემ. საშის გუმდებ
რძალმა და მულმა მოილაპარაკეს, დააწყებეს პლანები და
ხვარამზემ სიხარულით გამოსწია შინისკენ. მას უხაროდა,
5 რომ კარგი სარძლო ქალი გამონახა.

— აბა, ჰა, ნენავ, კაი ამბავი თუ მოგვიტანე?—ჰე-
თხა ქალიშვილმა ხვარამზეს, როცა ეს უკანასკნელი შინ
მიყიდა.

— ძალოვანი ქალი ყოფილა!—უპასუხა ხვარამზემ
10 თავის ქალს.

— მეც კაი ამბავი დაგახვედრე—მხიარულად დაი-
წყო ელისაბედმა—ფეხათ მოგასარი აგია, მემაჯესთანაც
ვიყავი და იქიდან მესუთოესთანაც გამევიარე. ორივე მარ-
ჩიელმა *) ერთ ხმათ მითხრეს—ბედი კარზე მოგდეომია,
15 ხელიდან არ გუუშვათო. მემაჯემ იგიც მითხრა—იმ ქალის
ფეხზე თქვენი ოჯახი, წვიმაში რომ წყალი მატულობდეს,
ესე იმატებსო.

— მაშვინე გულმა მითხრა, რავაც კი დეიწყო ქალი-
ჯანმა, ჩემი ჯერანის ბედი სტორეთ აგი უნდა იყოს-მე-
20 თქი. სხომის რამდონი უთქმან, მაგრამ არც ერთზე გული
არ შემქნია. ამაზე, ახსენა თუ არა, მაშვინე გულმა მიგრ-
ძნო, ბედია, ბედიო—თქვა ხვარამზემ.

— მეც, მეც—თქვა ელისაბედმა.

— ორმა მარჩიელმა ხომ ასე გითხრა. ერთს ხვალ
25 მებანქოესთანაც წავალ, ვნახავ, რას მეტყვის.

— მერე მებანქოემ რომ გითხრას, არ არის მისი
ბედიო?

— მითხრას, ორი ხომ კიაო, ჩივა. ორის უფრო
დასაჯერებელი არაა?

*) მარჩიელი—მკითხავი.

— ჩა სათქმელია! მე იმიზა გამოგცადე, აბა, ნენაი
რას იტყვის-მეთქინ. წადი, არჩევიე მებანქოეს, უკუჭოშვამს
ამ ორსაეით, იგია. თუ არა და იმით მიხთი, ჩრდილოებული
მისი რჩევა მისაღები. ფეხს აღარ დავაბიჯებ მერე მასთან.

— არც ეღირება მერე მისი რჩევა.

5

— ესევე შენიანის იმედი უნდა გქონდეს კაცს. იმ-
დონი ქალი დაგვისახელეს და აბა იმისთანაი თუ უთქვამს
ვინმეს, ქალიჯანმა რომ გამოგვირჩია—თქვა ხვარამშემ
ქმაყოფილებით.

— რეიზა გიყვირს! ჯერან შენი შვილია, ჩემი ძმაი, 10
მარა მისი ძმისულია მაგიორში—უპასუხა ქალიშვილმა.

სალამოს, როცა დედამ უამბო ჯერანს, „ძალუა-
ნი ციცაია და მარჩიელებსაც ესე უთქვამს, შენი ბედია“ო,
ჯერანმა გულდანდობილის კილოთი თქვა:

— ჩა ვიცი, ერთი დედა ხარ, მეორე დაი და მესამე 15
მამიდაი, თქვენ თუ არ გენდობი, აბა ვიღას უნდა ვენდო!

IV

შაბათი სალამო იყო. ზალიკა ნარიშვილისას დიდ
ფაცა-ფუცში იყვნენ. მეზობლები, მოკეთები, ვინც კი გაა-
ჩნდა, სულ ყველა-აქ იყვნენ და დასტრიალებდნენ სხვადასხვა
საქმეშე: ვინ ახალ დაკლულ თხას კაფსავდა და აწყობდა 20
კარდლებში, სახარჩოეს ცალკე და „მშრალ ხორცად“ მოსა-
ხარშავს ცალკე; ვინ ახალ დაკლულს მსუქან ლორს იღებ-
და ფელიქ-ფელიქად და ეუბნებოდა მეორეს: „აგი საჯი-
ქიოა, აგი ზრუგიელი, აგი მკერდი, აგი გვერდი, უნდა მეი-
ხარჩოს. აჰა, კელევერი და ქაქა მწვადათ უნდა შეიწვას“. 25
ქალები ბურტყნიდნენ დაკლულ ქათმებს, ოთხ ბატს და
ორ მამალ ინდოურს. ორი ხანში შესული ქალი აცხობდა

ხაჭაპურებს. რამდენიმე კოხტად გამოწყობილი ქალა და
კაცი კი ისხდნენ ზალიკაის დიდ სახლში, რომელიც დღეს
სასტუმროდ იყო მოწყობილი. აი რაში გამოიხატებულა
სასტუმროდ მოწყობა: აქეთ იქით ძველ ტახტებზე და ეგო

- 5 ჭილობის მაგიერად მეზობლებიდან ნათხოვარი ორი ნოხი
და ორი ფარდაგი; ზედა კუთხეში იდგა ერთი გძელი, გა-
ულაქავი სტოლი, რომელსაც ახალ ნაყიდი იაფ ფასიანი მიტ-
კალი ჰქონდა გადაფარებული. სტოლზედ ეწყო: ზოგი ში-
ნაური და ზოგი მეზობლებიდან ნათხოვარი სხვა-და-სხვა
10 სიმსხო-სიდიდის და სახის ბოთლები, ორი დიუვინა ჩაის
ჭიქა თავისი ფინჯლებით და ექვსიოდე საკმაოდ დაქან-
გიანებული ფრაქის და ცინქის კოვზი, ექვსიოდე ღვინის
ჭიქა, ორი პატარა იაფ ფასიანი ლამპა, ორი თითფერის
შანდალი სტეარინის სანთლებით და ორი რიუმქა, ორი
15 ბოთლი ხილის არაყით იყო სავსე, დანარჩენი კი ად-
გილობრივი წითელი და თეთრი ღვინით. რაც შეეხება
სახლს, ეს იყო გძელი და განიერი ფიცრული ძეელი შე-
ნობა, ისლით დახურული, მიწის იატაკით და წინ მიშე-
ნებული დერეფნით. წუა ადგილას სახლში იდო დიდი
20 ქვის კერა, რომლის ზევით სხვა დროს ეკიდა გამჭვარტ-
ლული ჯაჭვი, მაგრამ დღეს კი ჩამოელოთ. საჭმელების
სამზადად გაეკეთებიათ ერთი დიდი ქოხი, თუმცალა კი
სხვა დროს ზალიკაის მეუღლე თავისი ქმარ-შვილისთვის
იმ სახლში აკეთებდა საჭმელს, რომელიც დღეს სასტუმ-
25 როდ იყო მორთული. მოხუცი ზალიკაი მხიარული და
თან მზრუნველის სახით გადადიოდა ერთი საქმიდან მეო-
რეზე, უნდოდა ყოლგან ხელი წაეყო და მიხმარებოდა,
ყველას მაღლობას ეუბნებოდა „მარჯვეთ გარჯისთვის“ ზა-
ლიკაის მეუღლე, სუსანაი და რამდენიმე ქალი, სადაც

ერია ჩვენი ნაცნობი ქალიჯანიც, უკან, სახლშე მოღობილ
ფაცხაში, „საფაროშოში“, კაზმავდნენ ახალი ტანისამოსით
ლიზას.

ყველა ამ ფაცხა-ფუცის და მზადების მიზეზი გახლდათ
ისა, რომ იმ ლამეს უნდა მოსულიყო ზალიკაის ოჯახში 5
სიძედ ჯერან ტევრიძე, უნდა დაენიშნა საცოლოდ ზალი-
კაის უფროსი ქალი, ლიზა. ამისთვის მოეწვია მოხუც
ზალიკას თავისი მოკეთები და მეზობლები, ამისთვის
ამზადებდა პურ-ლვინოს, რომელიც კაი მძიმე ფასად დაუ-
ჯდა ლარიბ გლეხს, ზალიკას. 10

კარგა მოსალამოვდა. ყოველივე სამზადისი მზად იყო.
ეხლა სტუმარს, თუ მასპინძელს, ყველას თვალი ჭისკრისკენ
ეჭირათ, მაგრამ სიძე ჯერ არსად ჩანდა. ამ გარემოებამ
ყველა დააღონა. მართლა რაღა უნდა ექნათ, რომ სასიძო
არ მოსულიყო! ხომ ტყუვილად გაიარა ამოდენა მზადება
და ხარჯი! 15

— ქალიჯან, რაფერ არის საქმე, თუ იცი, რეიზა დაა-
გვიანდა იმ კაცს? ჩემა მტერმა და მოყვარემ, ყველამ შე-
იტყო აგი ამბავი, ჩემი მეზობლები და მოკეთე, ყველაი
ვაწვიე და ახლა რომ გამაბახოს, უთოფოთ ვერ გადამირ-
ჩება, — უთხრა ზალიკამ ქალიჯანს. 20

— ჯერანას შენც კარქათ იცნობ, რა პირის ბიჭია.
რომ იტყვის, მერე სიტყვას აღარ გასტეხს. მე და დედა-
მისს, ორივეს სიტყვა მოგვცა. ახლა რავა გვილალატებს! —
აიმედებდა ქალიჯან. 25

— აი საქმე რომ ახლა დეითუშოს, ციცაი მომიკტება, —
გავბახთიო, — თქვა სუსანამ.

— ამ სიბერის დღეს არ ამაძალლოს, თვარა... — ზალიკას
კიდევ უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ამ დროს იღაცაშვ

დაიძახა: „მოვიდენ“ო და ზალიკაიც გამოვარდა გარედ.
ეზოში ჩამოვიდნენ ცხენებით დაწყობილ-დაკანმულნი ჯერან
და ექვსი მისი მხლებელი. ყველა სიხარულით მიეგება
ახალ მოსულებს, საჩქაროდ ჩამოართვეს ცნენები და სიძე

5 და მისი მხლებელნი მიიწვიეს სახლში.

ჯერანმა გახედ-გამოხედა ზალიკაის მიდამოს, სადაც
ძველ სახლს, ძველ ბელელს, ძველ „ნალიას“ და პატარა
შენობების, მაგალითად საძროხის და მისთანების, გარდა
არ მოიპოებოდა არავითარი შენობა.—„ავი ნამეტარი
10 ფუხარია¹⁾ ყოფილა. ასე იყო, მონებოდა, არ ჩამოვი-
ღოდი აქანაი სამოყვროთ“ო, გაურბინა ჯერანს ფიქრე-
ბში. როცა სიბნელემ მოატანა, აანთეს ლამპები. სტუმრები
ჩამომწყრივდნენ აქეთ-იქით ტახტებზე.

არ გაუვლია ამის შემდეგ რამდენიმე წამს, რომ გაიღო
15 ქვედა ქარი, ჯერ შემოვიდა ქალიჯან, მერე საპატარძლო,
ლიზა, მასთან ლიზას დედა, სუსანაი, და რამდენიმე ქალი,—
ზოგი მოხუცი და ზოგი ყმაწვილი. ჯერან და მისი
მხლებელნი წამოდგნენ ფეხზედ. ქალიჯანმა მიიყვანა ამათ-
თან ქალები სალამისათვის. ჯერანმა, სალამის დროს ხელს
20 რომ ართმევდა ქალებს, შენიშნა, რომ ერთი თეთრ-ტანი-
სამოსიანი შავგრუმანი ქალი სხვებზედ უფრო მორცხვობდა.
ამ ქალის შავგრუმანი სახე და მორცხვობა არ ესიაშოვნა
ჯერანს და გაითიქრა: „ხომ არ გუეშწყლა ღმერთი, აგი
ხომ არ არის“ო. ჯერანი ვერ იცნობდა თავის საცოლოს.
25 ის მხოლოდ დასჯერდა დედის სიტყვებს, „ძალუანი ქალი
არის“ო, და წამოილო სანიშნოდ ქარვა და ბეჭედი.
დედას გარდა, ჯერანის დამ, ელისაბედმაც, ნახა ლიზა და
ისიც ეუბნებოდა ძმას: „კაი ქალია“ო. მართალია, ელისა-
ბედს მაინცდამაინც არ მოსწონდა ლიზას თვალ-ტანა-

¹⁾ ფუხარია — ტატაკი.

დობა, ის უკეთეს ქალს ეძებდა ძმისთვის, იმისთანას, რომ „სალტარზე მისი რძლისთანა ქალი მეორე არ ვასულყოფს“ 5
მაგრამ მკითხავების სიტყვებით ლიზა იყრიც ჯერანტს
ბედზე დაბადებული. ასე გასინჯეთ, მესამე მკითხავმა,
მებანქოემაც კი, პირველი ორი მკითხავის სიტყვებს მიე-
მოწმა. მებანქოვე მკითხავმა ისიც დაუმატა: „იმ ქალის
(ლიზას) მამას ფული ქონებია შენახული, ჯერ არ აჩენს.
იგი ფულიც ჯერანის ლუქმაა“-ო. ამის შემდეგ აბა რო-
გორ არ ურჩევდა ცრუმორწმუნე ელისაბედ თავის ძმას,
ლიზა შეირთეო. ჯერანის მხლებლებშიაც, გარდა ერთისა, 10
ვერც ერთი ვერ იცნობდა ჯერანის საცოლოს.

როცა ქალები დასხდნენ, ქალიჯან მიუბრუნდა თავის ძმისწულს და თავისებური სადე კილოთი ჰქითხა:

— იცი, ბიჭო, რომელია შენი?

— რა ვიცი მე, რომელია! — უპასუხა ჯერანმა. 15

— ეე, თეთრი რომ აცვია, იგია, — აჩენა ქალიჯანმა იმ ქალზე, რომლის შესახებაც იმ ორი-სამი წამის წინეთ ჯერან ფიქრობდა: „არ გაუწყლეს ღმერთი, იგი არ იყოს“-ო.

ჯერანს სახეზე შავი ფერი გადაეკრა და წარბები მის უნებურად ჩამოხეარა ძირს. — „ყველამ მე რეიზა მიღალატა, მამიდამ, დედამ, დამ, რას მემართლებოდენ?“ — გაიფიქრა ჯერანმა, მაგრამ ენის თქმას კი ვერ ახერხებდა. 20

— რაა, ბიჭო, არ დაგიჯდა? — ჩურჩულით ჰქითხა ქა-
ლიჯანმა.

— რას მერჩოდი, მამიდავ, რომ ჩეიქციე ჩემი სისხლი? —
ძლიეს გასაგონად ჩაულაპარაკა ჯერანმა ქალიჯანს.

— რას ჩივი, ბიჭო, შენ კარქა არ შეგიხედავს, თვარა
ძალიანი ქალია! კაი რომ არ იყოს, მე კაი, თუ გინდა,

მარა დედა და დაი რავა გილალატებდა! ყველას მოხწონს
შენსგამეტს, — ხმაღაბლა უპასუხა ქალიჯანმა.

- ამ ლაპარაკს ყური მოჰკრეს ჯერანის მხლებლებმა 5
რომლებში ზოგი ახლო ნათესავი იყო ჯერანის, ზოგი
5 მეგობარი და ზოგი კარგი მეზობელი და ფუჩუნით კითხუ-
ლობდნენ — „რომელია“ო. ქალიჯანმა ამათაც დაანახეა
ლიზა და ეხლა ამათაც დაუწყეს ლიზას ჭვრეტა. ჭვრეტის
დროს ზოგი წარბებს ხრიდა, ზოგი ერთმანეთში რაღაცას
ფუჩუნებდა. უნდა ვთქვათ, რომ თეთრ ტანსაცმელში ლიზა
10 არ ჩანდა ლამაზ ქალად. ამასთან ლიზა ბუნებითაც მორ-
ცხვი იყო და, როცა შეამჩნია, ძალზე მიჭვრეტენო, სულ
მთლად მოიბუზა. იჯდა თავდალუნული, წარბებ დახრილი,
სახე მოღრუბლული და თავს ვერ იღებდა. ერთმა მისჩა
ახლო ნათესავმა გაიხმო ცალკე ჯერან და ჰყითხა:
- 15 — მოგწონს ქალი?
- ყველამ მიღალატა, ყველამ! — უპასუხა გულმოკლუ-
ლად ჯერანმა.
- რავა ვქნათ ახლა?
- რაღა უნდა ვქნა! სხაპში ვარ გაბმული და რაღა უნდა
20 ვქნა! ცხენები რომ ხელში გვყავდეს, კიდევ რამეს ვიფი-
ქრებდი, თუნდა მოეკალი.. ახლა რაღა!
- სადაა, თუ იცი, ჩვენი ცხენები?
- რა ვიცი სადა? რაღამც აგი ქონდენ გულში, ცხენებ-
საც ქე დამალავდენ. ახლა რა მიწაში ჩევიდე! დაეტიო
25 აქანაი შვიდი ცხენი და წევიდე? მერე მე რავა შემიძლია
გადეუხადო პატრონებს, ჩემი ოჯახი არ უუთავდება! არა
და რაი! მიღალატეს, გამაბეს სხაპში და იგია! რაღა ვქნა
ახლა, თავი მევიქლა, თუ რაღა ვქნა?
- მეიცაი, ბიჭებსაც ვკითხოთ.

ჯერანის ნათესავმა გამოიხმო გარედ თავისი ამხანაგები,
დასხდნენ ერთი ხის ძირში და დაიწყეს თათბირი. მაგრამ
ყველა მათგანი სხვა-და-სხვა აზრისანი იყვნენ იმის შესახებ,
რაც ისე აღლუვებდა ჯერანს. ზოგი ამბობდა: „მართალია,
მზის-უნახავი არაა, მარა არც თლათ დასაწუნარია. კაცის 5
ოჯახში ჩამოვსულვართ, ახლა ასე წრიხი აღარ დეიკვრის;
აგი რომ ვქნათ, უთოფოთ არ გაგვიშობენ“ო. ზოგი იმ
აზრისა იყო, რომ ჯერანის შესაფერი ქალი არ არის და
მისი მხლებლებისთვის სირცხვილი იქნება, იმაზე რომ
დაინიშნოს. ზოგი არჩევდა — „ცხენები მოვითხოვოთ, თუ 10
მოგვცეს, იგია, თუ არა, ჩვენ მაინც წევიდეთ და ცხენებს
მერე საჩიტრით ამოვიგებთ“ო. უკანასკნელ, ყველა ამ
დასკვნამდე მივიდა: „წასვლა რომ ვითიქროთ, არც ერთს
ცოცხალს არ გაგვიშობენ ზალიკაი და მისი სახლისკაცე-
ბი“ო. სკადეს, გაუგზავნეს ზალიკას მოციქული და შეუ-
თვალეს: სასიძოს ქალი არ მოსწონს და ნაძალადევათ
შერთული მაღლიანი საქმე არ იქნებაო.

— გაბახება ზდომებია ჩემი ოჯახის! ჩემმა მტერ-მოყვა-
რემ ყველამ შეიტყო აგი ამბავი, თუ სადმე მოკეთე მყავდა, 20
ყველაი ვაწვიე და ახლა ამას მიჩინა! ჩემი ოჯახის შერცხვე-
ნას ნუ მეინდომებს, თვარა დღეს მეც გავთავდები და
იგიც გათავდება! მოყვარეთ მოსულა, ჩვენც მოყვრათ
დავხვთებით და თუ სამტეროთ მოვიდა, ჩვენც ვიცით მტე-
რის დახვედრა! — უპასუხა მოციქულს ზალიკამ.

მართალია, ზალიკაი არ იყო ისეთი პირი, რომელიც 25
სარგებლობს შემთხვევით და, თუ შემთხვევამ საქმე მოუ-
მარჯვა, სამართლიანობას აღარ დაგიდევს. არა, რაც გაე-
გებოდა, ზალიკაი სამართლიანობის მოყვარე კაცი იყო,
სჯული და სინდისი დიდად სწამდა. მაგრამ ნათქვა-

- მია, ჩეულება სჯულზე უმტკიცესიაო. მას თავის დღეში
ასე ენახა და გაეგონა: მშობლები მონახავენ გაუიშეილის-
თვის საცოლოს და ქალიშვილისთვის — საქმროს და გა-
წყობენ საქმეს ისე, რომ ხშირად ჯვარის წერამდე ვერც
5 კი გაიგებენ ამას საქმრო-საცოლო. მართალია, ხანდახან
მოხდება კი, რომ საქმრო და საცოლო თვითონ აირჩევენ
ერთმანეთს, მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა და ხშირად
ასეთი არჩევა, თუ საქმრო-საცოლოს მშობლებს არ მოე-
წონათ, ვერც კი მიაწევს მიზანს. ზალიკაის ქალი ნახეს
10 ჯერანის დედამ და დამ, საქმე გააწყვეს და ეხლა ჯერანი
უარს ამბობდა! ჯერანს რომ ლიზა დაწუნებით დაეტოვე-
ბია, ზალიკაის ოჯახი ხომ შერცხვენილი დარჩებოდა მისი
მეზობლების თვალში! ამ შემთხვევაში კი სამართლიანად
მიუჩნდა ზალიკას ძალის მოხმარა.
- 15 მოციქულმა მიუტანა ზალიკაის სიტყვები ჯერანს. რაღა
უნდა ექნათ! ცოცხალ-მკვდარი ჯერან თითქმის ხელით
შეიტანეს სახლში მისმა მხლებლებმა. გააწყვეს სუფრა.
როცა თითო ჭიქა ლვინო დაილოცეს, ჯერანის ნათესავმა
კაცმა გადასცა ქალიჯანს ჯერანის მაგიერ ქალის სანიშ-
20 ნოდ ქარვის კირიალესონი და პატარა, ხუთმანეთიანი
ოქროს ბეჭედი, ფირუზის თვალიანი. ქალიჯანმა კირიალე-
სონი კისერზე გადააცეა ლიზას და ბეჭედი თითზე წამოუგო.
ლიზას ისე შერცხვა ამ დროს, რომ ქვესკნელში ჩავარ-
დნილიყო, გული არ უშლიდა. გაჩნდა ლვინის სმა, ზალი-
25 კაის სტუმრები თან-და-თან მხიარულებაში შედიოდნენ.
მხოლოდ ჯერან იყო მოწყენილი. რაც შეეხება ლიზას,
თუმცალა მისთვის არავის უთქვამს, „გიწუნებენ“ო, მაგრამ
მან ინსტიკტურად იგრძნო, საქმრო მწუნობსო და ცოც-
ხლად მოკლა ამ იქვმა. მართალია, თავის მხრით ლიზა-

საც არ მოეწონა საქმრო, რალაც უეშხო კაცად ეჩვენა. მაგრამ ამის თქმას როგორლა გაბედავდა ლიზა ინ თავი-
სიანთან და ან სხვასთან! თქმა კი არა და ისე იჯდო გა-
ქვავებული, რომ ერთხელაც ზევით არ ჟეხედნია. ლიზას 5
სიახლოეს იჯდა ორი ყმაწვილი ქალი,—ერთი ქერა და
გეორე რძე და ლვინისფერი. ეს ქალები ისეთი ლამაზები
იყვნენ, რომ, მგონია, მშევნიერი თამარ-მეფე და ეგვიპტის
დედოფალი, კლეოპატრა, ამათხე ლამაზი არ იქნებოდნენ.
ამ ქალების სილამაზემ მაინც სულ დაჩრდილა ლიზა. 10
ჯერან ისეთის თვალით შეხედავდა ჯერ ამ ლამაზ ქალებს
და მერე ლიზას, თითქო ერთ მხარეს სამოთხეა, მეორე
მხარეს ჯოჯოხეთი და ჯერანს ეს უკანასკნელი რგებიაო.

შექეიფიანებულმა სტუმრებმა თითქმის ძალად მიიყვა-
ნეს ჯერან და დასვეს ლიზას პირდაპირ სუტრაზე. მერე
დაუჭინეს და სადღეგრძელო დაალევინეს ერთს მეორესი. 15
მაგრამ ყოველივე ამას ისეთი ნაძალადეობა ეტყობოდა,
თითქო ორი მონდურავი აღამიანი მიუყვანიათ ერთმანეთ-
თან შესარიგებლად, მაგრამ არ რიგდებიანო. როცა ერთ-
მანეთის სადღეგრძელოს სვამდნენ, არც ჯერანს და არც
ლიზას ხმა არ ამოულია. ისე მხოლოდ ჯერანმა ნახევარი 20
ჭიქა დასცალა და ლიზამ კი პირით შეეხო ჭიქას, ლვინო
არც კი ჩაუშვია პირში. მეორე დღეს, სხვა სტუმრებთან
ერთად, ჯერანმა გადმოიარა ზალიკას სახლიდან და
გაუდგა თავისი შინისკენ. მოლაპარაკება სიძე და სიმამრს
შორის არაეითარი არყოფილა იმის გარდა, რომ ზალიკამ 25
უთხრა ჯერანს:

— ჩემო სიძევ, წაყვანის ვადა დამიდევი.

— ჯერ ვერ გეტყვი ნამდვილს. აგერ შინ მივალ, მევი-
ფიქრებ და შეგატყობიებ,—უპასუხა ჯერანმა.



სამოცვალი

- გავიდა შემოდგომის ორი მესამედი. ჟოფელმა ქორნა-
ხული მიალაგა და გაჩდა ქორწილები; ისე კვირა-უქმე
დღე არ გავიდოდა, რომ ქორწილი არ მომხდარიყო. შე-
მოდგომა, ჭირნახულის დალაგების შემდეგ, საუკეთესო
5 დროა სოფლელისთვის, ვისაც ჯვარის დაწერა და ქორწილი
კი ესაჭიროება: პური, ღვინო, თავისუფალი დრო თუ აქვს,
სწორედ მაშინ აქვს გლეხ-კაცს. გასათხოვარი ქალებიც
მოუთმენელად მოელოდებიან ამ დროს. ზალიკაი ნარი-
შვილი დღითი-დღე მოელოდა თავისი სიძისაგან ამბავს,
10 მაგრამ დღეები, კვირეები გადიოდა და ჯერ არც ჯერან და
არც მისგან გამოგზავნილი კაცი არსად ჩანდა.

- ბოლოს ზალიკამ დაჰკარგა მოთმინება და თითონ გაუ-
გზავნა მოციქული ჯერანს: — მიგყავს ჩემი ქალი, თუ არაო.
— „ქალი დანიშნული მყავს, იგია, და აწი ჭკუაში რომ
15 მომივა, ჯვარს დევიწერ ზეთ!“ ო, იყო ჯერანისაგან პასუხი.
ზალიკაის მეუღლე დადიოდა მკითხავებთან, მაგრამ არც
ერთი მკითხავი სანუგეშოს არას ეუბნებოდა. მეტადრე
ერთმა მკითხავმა ძლიერ გაუტეხა გული სუსანას: „ტყუი-
ლია, არ შეირთავს“ ო. მაგრამ თან ამასაც უმატებდა ის
20 მკითხავი: „მაგიორში მეორე ნიშანი მოდის და იგი კი
უტყუარია, გვირგვინი მოხობა ამ მეორეს“ ო. მაგრამ ჯერ
არსად ჩნდა არც ეს მეორე. ამ გარემოებამ ბოლოს და
ბოლოს მეტად დაალონა ზალიკაის ოჯახი. ლიზას კი ერთი
მხრით თითქო კიდეც უხაროდა მისი გათხოვების დაგვი-
25 ანება: მას გარევევით ჩაბეჭდოდა ხსოვნაში ჯერანის და-
ხრილი წარბები და მწყრომარე თვალები; კარგად იცოდა
ისიც, მისმა საქმრომ იმიტომ დახარია წარბები, იმიტომ

მიიღო მწყრომარე გამომეტყველება, რომ ის, ლიზა, არ
მოსწონდა. ამასთან, თითონ ლიზასაც არ მოსწონდა ჯერანი, 10
მისი შეხედულებით, ძლიერ უეშხო და უსიამოვნო. რცა ლადობის კაცი იყო მისი საქმრო. მაგრამ, მეორეს მხრით,
ლიზას გულს უკლავდა, რომ ის დანიშვნის შემდეგ დატოვა 15
ქმარმა. რას იტყოდა მაზე ამის შემდეგ მისი მეზობლები!
ჯერე ცოტაოდენი დაავინანდა დანიშვნის შემდეგ ლიზას
გათხოვებას და ზოგიერთმა ენაჭარტალა მეზობლის ქალმა
ათასგვარი გულის მომშხამველი ჭორი კი გაავონეს ლიზას
და მის მშობლებს. როცა ნამდვილს გაიგებდნენ,—
დატოვაო, მაშინ რაღას იზამდნენ! „რეზა დევიბადე მე
ამისთანაი? ჩემ სიცოცხლეში სადარდელათ უნდა დუეუ-
არდე ჩემ დედ-მამას! რა უჭირდა არ გევეჩინე ლმერთს!“—
ფიქრობდა ლიზა. ამგვარი მუდმივი მწარე ფიქრებისა-
გან მისი სავსე პირისახე საკმაოდ დადნა. სუსანაი წუწუ-
ნებდა: „დადნა ციცაი თლათ, დადნა“ო. მაგრამ რა უნდა
ექნა იმაზე მეტი, რომ მყითხავის სიტყვებით ანუგეშებდა. 20
ქალიჯან ძლიერ სწუხდა, რომ მისი დაწყებული საქმე
ასე ცუდად ბოლოედებოდა, მაგრამ რა ექნა? ჯერანმა ის
დაითხოვა:
— „ჩემს ოჯახში ფეხი აღარ დააბიჯო, რაღამც ასე
მიღალატე“ო. დიდი საყვედური შეხვდა ქალიჯანს ზალი-
კას ოჯახიდანაც. 25
საკმაოდ დაიტანჯნენ ჯერანის დედა და დაც: ჯერან-
მა, ლიზას დანიშვნის შემდეგ რომ შინ დაბრუნდა, დედასი
და დას ასე უთხრა: „ზღაპარში გამიგონია დედა და და
მოღალატეთ, მარა თუ მართალი იყო, დღემდე არ ვიცოდი
და დღეს კი ჩემი თვალით ენახე“ო.
— რავა, მე გიღალატე? — ძლიერ მოიბრუნა ენა გულ-

მოწყვეტილმა ხეარამზემ,—შვილი რომ ამას მწამობს, სხვა
რალას მეტყვის! მიღალატეო!...—ხეარამზემ დაიწყო ტირიონი.

— თვარ გიღალატებია, წალი, კარქა შეხედე შენ ცა-
ძლოს და ქე მიხთები! — უთხრა დედას ჯერანმა მწარედ.

5 — კი, გიღალატეთ და ქთამიც ევილეთ შენ ლალატში! —
მწარედ უპასუხა ძმას ელისაბედმა.

— ელისაბედავ, შენ მაინც დამეთხუე, აღარ გამავონო
შენი შხამიანი ენა, თვარა ან თავს მევიკლავ და ან შენ
მოგკლავ! — უთხრა გაცეცხლებულმა ჯერანმა.

10 — კაია, საცოლო ქე დანიშნე და აწი რაღათ გინდა ან
დაი და ან დედა! დაგვხოცე! ამაზე უკეთესს მაინც არ
მოველით შენგან!

ამ მწარე სიტყვებმა ისე გააცოფა ჯერან, რომ რაც კი
შეხვთა სიახლოვეს, ჭურჭელი, თუ სხვა, სულ დალეწა.

15 მხოლოდ დას კი არ შეეხო ხელით. ეს სჯულად ჰქონდა, —
„ვინც დედას, დას და ცოლს გალახავს, იგი კაცათ არ
მიხსენებია“ო.

ორი დღის განმავლობაში ამის შემდეგ ჯერანისას
არც საღილი და არც ვახშამი აღარ გაკეთებულა. ნახე-
20 ვარი თვე ისე გავიდა, რომ ჯერანს ხმა არ გაუცია დედის
და დისთვის. მართალია, ის სრულიადაც არ იყო დარ-
წმუნებული, თითქო დედას და დას მისთვის ეღალატები-
ოსთ და განზრახ გამოენახოთ მისთვის ისეთი ქალი,
რომელიც, ჯერანის ფიქრით, თითქმის მახინჯი იყო.

25 მაგრამ გულმოსულობის დროს ის აღარ არჩევდა, მა-
რთალია თუ მტყვანიო, რაც მოადგა ენაზე გულ დათუ-
თქულ აღაშიანს, ის წამოისროლა. ნახევარი თვის შემდეგ,
როცა ჯერანმა დედას და დას შეურიგდა, გააფთხილა

ეს უკანასკნელები: — „იმ ქალზე ოღარაფერი გამახსენოთ,
თვარა მიგიტიებ ამ ოჯახს და დევიკარქები“ო.

ამის შემდეგ ხვარამზე და ელისაბედ მართლადც ყურინტკა
ვერ სძრავდნენ ჯერანთან ამ უკანასკნელის საცოლო-
ზედ, თუმცა კი სიშით გული უსკრებოდათ, — თუ ლიზა 5
არ შეირთო, ზალიკაი მოკლავს ჯერანსო. ამიტომ ჩუმაღ
ეხვეწებოდნენ ყველა თავიანთ მოქეთეს: ურჩიეთ ჯერანს,
შეართვით ლიზაო. მაგრამ ჯერან ყველას ასეთ პასუხს
აძლევდა: „მაცათ, თუ ღმერთი გწამს, ჩევიჭერი ერთი კაცი
ივია, და სულ ქე მაინც ნულარ შემიწუხებთ სულ ამის ლაპა-
რიკით“ო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯერანს ლიზა არ უნდო-
და ცოლად, მაგრამ დანიშნული ქალიდან ხელის აღებაც
უპირობად და უსინდისობად მიუჩნდა. ვინ იცის, რამდენ
ხანს გაგძელდებოდა ასეთი მდგომარეობა ჯერანს და
ზალიკას შორის, რომ ერთ მოულოდნელ გარემოებას არ 15
აეჩქარებინა ამ საქმის გადაწყვეტა.

ზალიკა ნარიშეილის მეზობლად ესახლა ერთი ობოლი
გლეხი, ნიკო მოახლიშვილი. ლიზა და ნიკო, როგორც
ახლო მეზობლები და ერთი წლოვანებისა, ბავშვობისას
ერთად დადიოდნენ ფიჩჩე, ძროხების მოსადენად, ხბოე-
ბის სამწყესავად, სათამაშოდ და სხვაგან. უყვარდათ კიდევ
ბავშვური სიყვარულით ერთმანეთი. როცა გაიზარდნენ,
როგორც ეს ჩვეულებად არის, რიდი შეექნათ ერთმანეთის,
წინადებურად მარტო წასელა-მოსელა აღარ შეეძლოთ
ერთმანეთთან. მაგრამ სიყვარული და თანაგრძნობა ერთმა-
ნეთისადმი კი არ გამქრალიყო ამათ გულში. ლიზას ისე
ძმასავით უყვარდა ნიკო; ნიკო კი ფიქრობდა ლიზას ცო-
ლად შერთვას. მაგრამ ჯერ ოჯახი ჰქონდა გაუწყობელი,
ამიტომ აგვიანებდა და ვერ უმხელდა ზალიკას. ამასობაში

- ის იყო, ჯერანმა მოასწრო ლიზას დანიშვნა. საწყალ ნიკოს მთელი ღამე არ უძინია, როცა გაიგო, — ლიზა თანიშნესო. შემდეგ, როცა ჯერანმა ლიზას წიყვანა დაგურია ნიკოს იმედი მოეცა, „ალარ შეირთავს“ და მიუგზავნა.
- 5 ზალიკას შუამავალი — ლიზა მომეცი ცოლადაო. სუსანამ სიხარულით მიიღო ნიკოს მოციქული და თანხმობა განაცხადა ნიკოს წინადადებაზე; ლიზასაც გულმა სიხარულით დაუწყო ცემა. მაგრამ პირმართალი ზალიკაი სულ სხვანაირად უყურებდა საქმეს: „მე კაცი მიძახიან, პირი მაქ,
- 10 10 იმ კაცმა ჩემი ქალი დანიშნა და ახლა სხვაზე რავა გავათხოვო ასე ადვილათ“ — უთხრა მან ნიკოს მოციქულს. აქ ჯერანსაც მოუვიდა ამბავი, ზალიკაი სხვაზე ათხოეს ლიზასო. „რავა ჩემი ნიშანი ხელზე აქ ქალს და ახლა სხვაზე ათხოვენ! არ ნდომებიან თავი ცოცხალი და იგია!
- 15 15 ეტყობა კაცათ არ მაგდებენ, ამის მეტი სირცხვილის ჭამა რაღა იქნება, ჩემ დანიშნულ ქალს სხვაი შეირთავს!“ — თქვა ჯერანმა და აფრინა მოციქული ზალიკასთან: ამა და ამ დღეს ჯვარი უნდა დავიწერო შენ ქალზეო. სიხარულისაგან აღტაცებულმა ზალიკამ დანიშნულ დროს,
- 20 20 თვის გამოუწყო თავის ქალს შეძლებისდაგვარად მშითვი. გიორგობისთვის წყნარი დღე იყო. ლიზას ისე ჩარჩა ხსოვნაში დაუვიწყარად ის სევდიანი წყნარი დღე. მთვრალმა შაყრებმა მშობლის სახლიდან წაიყვანეს ლიზა ეკადესიაზე, სადაც ლვდელმა ქრისტიანულის წესით შეაულლა
- 25 25 ჯერანთან.

VI

— ნეტაი, ნენავ, შენ და ბაბიდას უწინ ფეხი მოგტებოდა, სანამდი ჯერანის საცოლოს გამონახავდით! — ეუბნე-

ბოდა ერთ უქმე დღეს ეკკლესიიდან დაბრუნებული ელისა-
ბედ თავის დედას. — გამოვიდენ ახალ მოყვანილი ქალუბი;
მარა რა გამოვიდენ! იმისთანაი თვალ-ტანადო, ტამ! მეტი
არ იქნება! შევხედე ჩემ რძალს, მიწა გამისკრა... დგანა
ავი შავრიოზაი! შინ ქეა კიდევ რაცხა, აი მიწა გასახეთქი, 5
და იქინეი რომ გეერია ქალებში, პლარც თვალადობა უფარ-
გოდა და ალარც ტანადობა! ოსიკელაის ცოლყოფილმა
თამარამ იკითხა: ვინ არისო და, რომ შეიტყო, მე ჩამი-
ფურჩულა ყურში: რამ დაგიყენა ყველას თვალი, აი, რა
ჯერანის საკადრისიაო! თინიეის ბიჭი, მასიკელაი, ჯერა- 10
ნის ფეხთა მტვერათ არ ღირს, მარა მის ცოლს დღეს
თელი სახტარი უბზერდა. რომ იდგა ქალებში ჯილასა-
ვით, კურცხალი მომადგა თვალებზე, — ავი რეიზა ჩვენი
რძალი არ არის მეთქი. თინიეის ბიჭს თუ კი მისცეს
იმისთანაი ქალი, ჯერანს ვინ დუუკავებდა! მარა წადით 15.
ორი გამოყრუბული მოლაზონი, ნახეთ, აი შავრიოზაი
და კი გეგონენ.

— მე არა, მამიდაშენს რეიზა არ დუუდგა უწინ თვალები
და არ მოტყტა ფეხი! იმას უნდა სცოდნოდა, იშ კისერ
მოსატებს, თვარა მე რა შვაში ვარ! ერთი გზობა ვნახე
და რა გასაკეირალია, მოეტყუვდი! — უბასუხა ქალიშვილს
ხვარამზემ და ამოიოხრა, რადგანაც დანაშაულად მიაჩნდა
თავისი თავი — „რეიზა უკეთესი ქალი, თინიეის რძალი
რომაა, ვთქვათ, იმისთანაი არ მოვაყვანიე ჯერანს“ო.

ასე გასაყიდი საქონელივით ფასდებოდა ლიზა მას
შემდეგ, რაც კი ტევრიძის ოჯახში შევიდა. ჯერე ახალ-
მოყვანილი რომ იყო ლიზა, როგორც ეს ჩვეულებად აქვთ
სოფელში, დადიოდნენ მის სანახავად ჯერანის ნათესავები
და მეზობლები, მეტადრე ქალები. ამათ წინდაშინვე შე-

ტყობილი ჰქონდათ — ჯერან ცოლს წუნობსო. და მიიტომ
წინდაწინვე შედგენილის აზრით, — „ეტყობა, გლოხა ქალი
უნდა იყოს ჯერანის ცოლი“ო, სკვრეტდნენ. დროშამ დღა
იპრუწავდნენ ტუჩებს აღმა: „მართალი ყოფილა, შენი
კირიმე, ივი ბიჭი მოტყუებულა“ო. „ვინც ნამეტარს მეი-
ნდომებს, იმას ყოლოვის ვარესი შეხთება“-ო, — ნიშნის
მოგებით ამბობდნენ ჯერანზე ერთმანეთში საიდუმლოდ
ზოგიერთები. ჯერანის მეზობლებში ერთა კი ერთი-ორი
ისეთი პირიც, რომელსაც, როცა კარგა დაუკვირდა მის
10 საქციელს, ლაპარაკს, მიხვრა-მოხვრას, ლიზა ძლიერ მოს-
წონდა. მეტადრე ძლიერ აქებდა ლიზას ერთი ჯერანის
მეზობელი მოხუცი ქალი, თეკლე.

— „მოგიკტი, თუ ჯერანის ცოლი ბევრით არ ჯობდეს
იმ ქალებს, სახტარზე რომ ჯილასავით იჯვიმებიან და
15 შინ რომ ნახო სადეთ, ტყემლათ არ ლირს არცეთი.
აგი სხვანაირი ყუნჩი ქალია. უწინ არ გეჩვენება კაი, მარა
მერე რომ დუუკვირდები და დუუკვირდები, სულ კეთულობს
შენ თვალში. სხვაი სხვაია, და რაცხა იმისთანაი საყვარელია,
რომ ამის გულიზა მოვკტე, გული არ მიშლისო იტყვი,
20 როიცხა კარქა გეიცნობ“, — ეუბნეოდა თეკლე ერთჯელ
თავის მეუღლეს.

ჯერანს ხომ თაობოდანვე არ მოსწონდა თავისი ცოლი.
მართალია, ის დარწმუნდა, რომ ლიზა სრულიადაც არ
იყო ისეთი მახინჯი, როგორადაც მას ნიშნობის ღამეს
25 ეჩვენა. მაგრამ ერთხელ გატეხილი გული ჯერანის თავის
მეუღლეზედ მაინც აღარ მრთელდებოდა. ის დარწმუნებული
იყო, რომ თითქო ის მოხერხებულად გააბა ზალიკამ მახე-
ში. სხვათაშორის ლიზას მზითვითაც არ იყო ჯერან
კმაყოფილი. ერთი იაფ ფასიანი ნოხი, ერთი ფარდაგი,

ერთი სპილენძის ქვაბი, ერთი მწვანე ზანდუკი და ერთი ხელი ლოგინის წყობილება,—აი, ეს იყო სულ ლიზას შიოთვი. ჯერან შეხედავდა თავის ცოლის ლარიბ-მზითვეს და მწარე დაცინვით ეტყოდა ცოლს: „რა ბერძევანი მამა გყავს, რა გვზითი მოგცა! მარტო ზანტუკი ლირს ერთ ბე- 5 დაურ ცხენათ!“

ლიზა, როგორც ახალმოყვანილი ქალი, ურიგობად სთვლიდა ხმის ამოლებას, თუმცალა კი გულზედ კბენდა ეს მწარე დაცინვა. ჯერან განაგრძობდა:

— მარა შენისთანა ბზის უნახავს რათ უნდოდა გვზითი? 10 მაინც გაგასალა მამაშენმა! ეხლა ჯერან დედას მიუბრუნ-დებოდა:

— დიდ ხანს ეძება ნენამ და ბოლოს მიაგნო, რავაც იყო ამ ბზის უნახავს!

— კაი ახლა, ყოლიფერი ბედის საქმეა. ახლა რომ იწუნო, გამოგიცვლიან თუ? ალბათ აგი ყოფილა. შენი ბედი! — უპასუხებდა შვილს დედა.

— შენ რომ დაბერდე და თვალებმა გიმტყუნოს, აქანაი ბედი რა შვაშია? — გესლიანად მიუგებდა ჯერან დედას.

— ცთაი ბედის მონახევრეაო, იტყვიან, მარა ახლა რალა დროისაა! — ჩაერეოდა ელისაბედიც ლაპარაკში.

ხშირად ჰქონიათ ამნაირი ლაპარაკი ჯერანისას, როცა ლიზა ჯერ კიდევ ახალ მოყვანილი იყო. ლიზას ბევრჯელ ჩუმად უტირია ასეთი ლაპარაკის გამო. მაგრამ მარტო ამ ლაპარაკით არ თავდებოდა ჯერანის უკმაყოფილება ცოლისაღმი. რადგანაც ლიზა სილამაზით არ უდრიდა მის იდე-ალს, ჯერანმა გადასწყვიტა: „წამხთარ საქმეზე, ხასიათით მაინც იმისთანაი უნდა გავხადო, რავაიც მე მინდა“ო. პირველი ნაბიჯი ჯერანისაგან ამ მიზნის მისაღწევად ის იყო, რომ

სახელი დაუწუნა თავის ცოლს. — „ლიზაი ბოზის სახელია,
პატიოსანი ქალი ლიზას სახელათ რაეა დეითეფაში!“ და
ლიზას მაგივრად, მელანია უწოდა სახელად. შემდგა ჯე-
რანმა მიძყო ხელი მელანიას (ამის შემდეგ ჩვენც მელანია

- 5 ვუწოდოთ ჯერანის მეულლეს) ზნე-ჩვეულების გადაჭმას
და ისეთ წერიმალნობამდე მივიღა, რომ თავისი თმაც
კი ისე უნდა დაეწინა მელანიას, როგორც ჯერანს მოს-
წონდა. დედა და დაც, რა თქმა უნდა, ესმარქებოდა ამ
10 საქმეში ჯერანს. — „თვალ-ტანადობაში ქე მოვტყუვდით
ტიქრობდნენ ესენი. ამ განზრახვით ამათაც დაუწყეს
დევნა მელანიას იმ ჩვეულებებს და ხასიათს, რომლებიც
ჯერანს არ მოეწონებოდა.

- ეს დევნა იქამდე მივიღა, რომ მელანიას არ შეეძლო
15 წყენა, ან სიხარული გაემულავნებია რომელიმე შემთხვევის
გამო, თუ კი ეს წყენა, თუ სიხარული მის ქმარს, დედა-
მთილს და მულს არ მოეწონებოდათ, მელანია პირველად
20 თითქმის ყოველივეში ემორჩილებოდა ამათ. მართალია
ხან-და-ხან გული მოუვიდოდა: „ყოლიტერი, მათ ნებაზე
უნდებიან“ო, მაგრამ ფარაედა თავის გულის მოყვანას;
რომ არ ეწყეინებია ქმარისა და დედამთილ-მულისთვის,
ის ხშირად უარს ამბობდა თავის გრძნობებზე. მაგალითად
ხშირი იყო ასეთი სცენა:

- რა არის, ქალო, რომ მოხარე წარბები! ქმრის შიში
25 და რიდი აღარ გაქ მაინც! — მუქარა-საყველურით ეტყოდა
დედამთილი, ან მული რძალს, თუ ამ უკანიასკნელს რამე ეწყი-
ნებოდა ქმრის, ან მისი დედის და დის ნებადაურთველად.
— აფერი, არ მწყენია, ესე ტყულაი, — უვარობდა
მელანია.

- რავა არ გწყენია, რომ წარბები მოხარე!
 — დედა არ მომიკტეს, არ მწყენოდეს. 
 ან კიდე მაგალითად:
- რა არის ქალბატონი, რომ გაგიბწყინდა სახე? თუ
 გახახარელი ყოფილიყო, ჩვენ რეიზა არ გაგვიხარდა? — 5
 წაეკიდებოდა რძალს მული.
- არ გამხარებია, ისე ტყულა, — ფიცავდა მელანია.
 — რავა არ გაგხარებია, სახეზე ბზეი ამრგვივიდა! ამაზე
 მეტი მორიდება არ გაქ კაცის?!
- მამა არ მომიკტეს, არ გამხარებოდეს! 10
- ერთხელ მაგალითად ასეთი შემთხვევა იყო: ელისა-
 ბედმა მოიტანა საიდგანლაც ორი სხვა-და-სხვაფერი ჩითის
 ნიმუში და აჩვენა დედას, რომელი ჯობსო. ერთი ნიმუში
 ისტერი იყო და ზედ იის ყვავილის მზგაესი შაერი სახეები
 ჰქონდა ამოყვანილი; მეორე, მიწისტერი ჩითი კი გარდის 15
 სახე ლაუვარდი ყვავილებით იყო მოპეპლული. ხვარამზემ
 ეს უკანასკნელი არჩია.
- მეც აგი ვარჩიე, — მიემოწმა დედას ქალიშვილმა.
 — მე რომ მყითხოს კაცმა, აგი მირჩევნია, — თქვა
 მელანიამ და აჩვენა ისტერი ჩითზე. 20
- აბა აგია, ამის მეტი ზღილობა და მორიდება არ
 გაქ! დედამ და შვილმა, ორივემ მიწისტერი ვარჩიეთ,
 შენ მაინც-ტა-მაინც — იისტერი! ვითამ რაი, რალამც თქვენ
 მოგწონს, მე ჯინზე ალარ მევიწონებო! თვარა ვინ იტყვის,
 შენს მეტი, მიწისტერს იისტერი ჯობსო? — უთხრა მწარე 25
 საყვედურით რძალს მულმა.
- ჩემი მორიდება რალაიზა ექნება ახლა ვინმეს! —
 ისეთი გულამჩილებით თქვა ხვარამზემ, თითქო ვინმეს
 დიდი შეურაცხოფა მიეყენებიოსო.

— არა, ქალბატონო, ესე, უწინ ერთ შეხედვაზე ვერ
მივჭთი, თვარია სტორეთ მიწისფერი ჯობს, ხაჩქაროდ
გაასწორა თავის შეცოთმა მელანიამ, რომელიც დატეჭუ-
ნებული იყო, უნცროსმა უფროსს ყოველივეში უნდა დაე-
5 თანხმოს, თორემ უზღდელობა იქნებაო. მართალია, მელა-
ნიას აჯავრებდა ეს თვალმაქცობა: — „რაც იგინს მოსწონს,
შენც იგი მეიშონე! ვაურ, ეგება არ მომწონს! არა, მაინც
„კი“ თქვიო. კაი, ვთქვი, მარა რა გამოვიდა ამით, ჩემ
გულში მაინც არ მომწონს!“

10 მელანიას ჩვეულებად ჰქონდა: როცა სასაქმოს გაათა-
ვებდა, დაჯდებოდა თავის ლოგინზე ზანდუქთან, ნიდაყვს
ზანდუქზედ დააბჯენდა, შემოიდგამდა თავზე ცალ ხელს
და სევდიანად დაფიქრდებოდა. ეს ჩვეულება არ დარჩა
15 შეუმჩნევლად, მეტადრე ელისაბედისაგან, რომელიც დე-
დაზე და ძმაზე ბევრით უფრო ფხიზელი იყო ამისთანა-
ობის შემჩნევაში.

— ნეტაი რა ფორმაა, აი გლოვიარეთ ჯდომა! საგლო-
ვიარო, ლვთის მაღლით, ჯერ აფერი სჭირს ჩვენს ოჯახს! —
20 ზენიშნა ერთ დღეს ელისაბედმა მელანიას, როცა ეს
უკანასკნელი მოწყენილი, თავზე ხელ შემოდგმული იჯდა
თავის ზანდუქთან.

— აფერი, რაცხა ესე დავფიქროთ, — უპასუხა მელანიამ,
ჩამოილო თავიდან ხელი და ცდილობდა მხიპრული სახე
მიეღო, მაგრამ ვერ ახერხებდა.

25 ელისაბედმა ამ ხელად ზემო თქმული შენიშვნით გაა-
თვა ეს ლაპარაკი, მაგრამ დაიხსომა კი ეს შემთხვევა.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი კვირა, რომ ელისაბედმა
კიდევ ნახა თავის რძალი დალონებული და თავზე ხელ
შემოდგმული.

— რავა, კიდევ ასე გლოვიარეთ დამჯდარხარ! არა,
ახლა თვარ მითხარი, რა გლოვა გაქ, არ გაგეტრები!

— აფერი, ესე ტყულაი, — თქვა მელანგერი აფერი აპირობდა წასვლას.

— სად მიხვალ? უნდა მითხრა!.

5

— ლმერთი არ გამიშულეს, აფერი არ ყოფილიყოს.

— ააა, ასე ვერ მომატყუებ! რაცხა დიდ ამბავში ხარ,
მარა უნდა მითხრა, რა არის.

— რა, იყო, ვავ? — იკითხა ხვარამზემ, რომელიც ამ
დროს შემოვიდა სახლში.

10

— რა იყო, რას ქვია! გამევხედავ, ქე ზის აქანაი
გლოვიარეთ, გემევხედავ, ქე ზის! ახლა უნდა მითხრას,
რა ამბავია! — თქვა ელისაბედმა.

— გლოვა ჩემი მტერის ოჯახს დუუმედეს! ჩვენ რა
გვპირს საგლოვი! — თქვა ხვარამზემ და მწყრომარედ შე-
ხედა რძალს.

15

— დედა არ მომიკტეს, აფერი არ ყოფილიყოს, ესე
ტყულაი ჩამომეყვინთა, — ფიცულობდა მელანია.

— ააა, სხვანაირობა ჩვენს ოჯახში არ დევინახო,
თვარა!.. მუქარით უთხრა ბოლოს ხვარამზემ.

20

იმ დღიდან მოწყებული მელანიამაც თავი დაანება ზან-
დუქთან თავზე ხელშემოდგმული ჯდომას. როცა დაფიქ-
რებული იყო, მელანია იმალებოდა დედამთილის და
მულისაგან.

VII

გავიდა რამდენიმე თვე. მელანია ეხლა უკვირდებოდა
თავის ცხოვრებას და ხედავდა, რომ, რაც დრო გადი-
ოდა, მით უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა მისთვის ეს

25

ცხოვრება. ცდილობდა, მაგრამ ჯერანის გულში მცირეოდენი თანაგრძნობის ადგილიც კი ვერ დაიტირა.

მათი ცოლ-ქმრობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ღამით ერთმანეთთან წვებოდნენ, ესეც ისეთი გულ-

5 ცივად და უხალისოდ, რომ თითქო ძალდატანებით ასრულებინებენ ამ მოვალეობასო. დაწოლის დროს ჯერან ან ლოგინს დაიწუნებდა,—უხეიროდ არის დაეგებულიო, ან სხვა რამეს მოიმიზეზებდა და მაინც ასაყვედურებდა ცოლს, რაც უნდა რიგზე ყოფილიყო ყოველივე. თუ უქ-

10 მი ან ავდრიანი დღე იყო, ჯერან დილიდან საღამომდე შინ დარჩებოდა და მაშინ ხომ რა,—ერთი წვალება უნდა გამოველო მელანიას: ჯერან უთვალთვალებდა მას საქმის კეთებაზე, უწუნებდა ყოველივეს, აყვედრიდა ყოველ წამში: — „სხვაი-სხვაია და საქციერიც უხეირო გაქაო!

15 ხვარამზე და ელისაბედ ხომ მუდამ შინ იყვნენ და მუდამ წვრთიდნენ რძალს წალმა-უკულმა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით თანდათან ჰქარგავდა მელანია ამათადმი პატივურმას და მორიდებას: — „რაც უნდა მეინდომო, რაც უნდა აამო, აგინის გულს მაინც ვერ შეაჯერება“ო.

20 ეხლა დედამთილი და მული რომ ბრალის დებას დაუწყებდნენ, მელანია წინანდებურად ფიცილს კი არ მოყვებოდა, არა ისე სიჩუმით ჩაატარებდა.

25 მართალია, ხვარამზეს და ელისაბედს, მეტადრე ანჩხლი ხასიათის ელისაბედს, ძლიერ აჯავრებდა ეგ გამოურკვეველი სიჩუმე.

— ესე გველსავით გარისინდება და ჩეიწყვედს ენას, რომ გულზე ცეხლათ მოგექიდება კაცს! — ეუბნებოდა ერთ დღეს ელისაბედ დედას.

— ყველა გველმა ადამიანმა ესე იცის გაჩემება, ვითამდა ასე, მე კაი სულიერი ვარ, შენ რაც გინდა მითხარი,

მე მაინც არ მეწყინება, მაგიორს არ გეტყვიო. მარა გულში ქე სწერს ყველას და ბოლოს გველსავით საწამლავათ გადმოანთხევს,—მიუგო ქალიშვილს ხვარამზემ.

ერთ დღეს ელისაბედმა ასტეხა მსჯელობა თეთრფერვანი და შავგრუმანი ქალების ხასიათებზე და ბოლოს თი- 5 თონვე მისცა თავის მსჯელობას დასკვნა:

— შავგრუმან ქალებში უფრო ბევრი მოდის ავი გულის პატრონები და კახპებიო.—თითონ ელისაბედ და დედამისი შაქრისფერი თეთრი ქალები იყვნენ.—მელანიამ მულის სიტყვებზე წარბები ჩამოუშვა, რადგანაც მისი ფიქ- 10 რით, ეს სიტყვები მისკენ იყო გადაკრული. ელისაბედმა თავისებურად ჩაუეინდა რძალს:

— წარბები რომ დახარე, ამა რა ვთქვი შენი საწყენიო.

— რა ვიცი, კი მეწყინა და!—უპასუხა მელანიამ ცოტა ცივად. 15

— კი მარა იმას აღარ მეტყვი, რა იყო ამაში შენი საწყენი?

— იყო, თუ არ იყო, კი მეწყინა და ახლა რაი! გულს ხომ ვერ ამევიგლეჯ!

— თქვი ბარემ, რა გიქნეს საწყენი?—უთხრა ხვარამზემ. 20

— მეწყინა-მეთქინ ვთქვი, იგია და მეტი რაი!

— რომ გეწყინა, იმას გკითხავ მეც. რა ვთქვი? შენი საწყენი? რეიზა მიიღე შენ თავზე?

— ჩემზე თქვი და ჩემ თავზე მივიღე.

— მერე რა მტერობა მქონდა შენზე? ხედავ, რა ავი გულის ყოფილა! რა იფიქრა! ჩემზე თქვიო! თურმე მტე- 25 რათ გვიყურებს!

— რა ვიცი, ყოლთვის კი ჩივით იმისთანას, რომ მეწ- ყინება და!—გამოტყდა მელანია.

— აბა, ამიზა იყო, რომე მე და ნენას შამ და უწუმ
გვიპუხავდი წარბებს! ამისთანა გული გვქრებენ! ცვებაშე
საყვედურით უთხრა ელისაბედმა.

- აქ რძალმა რაღაც მწარე სიტყვა შემოსტორცხნა მულს
5 და გაიმართა კაი-გვარიანი აყალ-მაყალი, რომელშიაც
მელანიამ საკმაო მწარე სიტყვებად გადმოანთხია აქამო-
დე დაფარული და გულში დაგუბებული ნალველი. იმ
დღიდან მოწყებული ხშირად იმართებოდა ჯერანის ოჯახ-
ში ასეთი აყალ-მაყალი, რომელიც დროთ განმავლობა-
10 ში უფრო და უფრო ცხარე ხასიათსაც ღებულობდა. ბო-
ლოს და ბოლოს მელანია აღარ ურჩებოდა უკან დედამ-
თილს და მულს წყვეა-კრულვაში და ლანძლვა-გინებაში,
რაც იშვიათი არ იყო ამათ შორის. ამ გარემოებამ ჯერა-
15 ნის ყურამდეც მიაწია.— „ნენას და ჩემ დას ავი სიტყვა
არ ჰქადრო, თვარი სულს ამოგხთი“ ო! — ექადოდა ჯერან
ცოლს, მაგრამ ეს მუქარა სრულიადაც ვერ სპობდა მის
ოჯახში ქალების დავას და უთანხმოებას.

VIII

- 20 რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო ძნელი
ასატანი ხდებოდა ჯერანის და მელანიას ერთმანეთთან
ცხოვრება. ჯერან თხოულობდა თავის მეუღლისაგან
უსაძლერო მორჩილებას. ეს კიდევ ჰო, ვთქვათ, არ ეუც-
ხოებოდა მელანიას, რადგანაც თითქმის ყველა გაუნათ-
ლებელი და, მეტადრე გლეხ-კაცი, ამასვე თხოულობს
25 თავის მეუღლისაგან. მაგრამ ვაი-ვაგლახი ის იყო, რომ
ცოლის იმ მოქმედებაში და სიტყვებშიაც კი, სადაც ეს
უკანასკნელი, ცდილობდა ქმრის სურვილის და გვარად
მოქცეულიყო, ჯერან უმორჩილობას ხედავდა და ცეცხლ-

დებოდა: — „აგი მაიმუნი შევირთე და ხედავთ, ეგეც რაებს
მიბედავს“ ო. ამას გარდა იყო ორი ადამიანი, რომელიც
იმგვარსავე უსაძლვრო მორჩილებას თხოულობდა შელანდეს 10
საგან, როგორსაც თითონ ჯერან. ეს ორი ადამიანი
მელანიას დედამთილი და მული გახლდათ, რომლებმაც 5
გულის და გრძნობის გამოცვლაც კი მოუნდომეს მელა-
ნიას. ზემოთქმულს გარდა იყო კიდევ სხვა ისეთი მიზე-
ზებიც, რომლებსაც შეუძლია უსწავლელ ხალხში შეყვა-
რებულებიც კი დააშოროს და ერთმანეთის მომძულვარედ
გახადოს.

აი ის მიზეზებიც: ერთი მკითხავი ეუბნებოდა ხეარამ-
ზეს და მის ქალს: „თქვენი რძალი იმისთანაი აეი ფეხის
ყოფილა, რომ თქვენი ოჯახი აწი ძნელათ, რომ უკან-
უკან არ წევიდეს“ ო. საუბედუროდ ცოლის შერთვის შემ-
დეგ ერთი ხარი მგელმა შეუჭამა ჯერანს; ერთი ხბოიანი
დედო ძროხა რაღაც მოარულმა საქონლის ჭირმა მოუკლა. 15
თითონ ჯერანმა საუკეთესო მუშაობის დროს უცბად
ცული დაიკრა ფეხსე და მთელი ორი თვე ეზოდან არ
გადაუარია, ისე უქმად იჯდა სახლში. ეს ზიანი, საგრძნო-
ბელად დააჩნდა ჯერანის ოჯახს და ყოველივე ეს 20
ზიანი ხეარამზეს და მისი ქალის ფიქრით, იმიტომ დაე-
მართათ, რომ მათი რძალი ავ-ფეხი იყო. რაც შეეხება
მას, რომ ერთ დროს მკითხავი ეუბნებოდა ხეარამზეს:
ჯერანის სიმამრს დიდალი ფული აქ მიწაში შენახული და.
ეს ფული ჯერანის ლუკმა გახდებაო, ეს კი არ 25
მართლდებოდა. როგორც ეტყობოდა, ზალიკას ან სულ
არ ჰქონდა შენახული ფული და, თუ მაინც და მა-
ინც ჰქონდა, ჯერანის ლუკმად არ ვახდებოდა ეს ფული.
ამის დასამტკიცებლად ისიც საკმაო იყო, რომ ვაჭივ-

რების დროს რამდენჯელმე მიიჩინა ჯერანმა სიმამრ-
თან ფულის სასესხებლად, მაგრამ ვერც ერთ როლს ერთი
გროშითაც ვერ გაიწყო ხელი. — „იგი საყვარელი ჩემი ჭალა-
შვილი არ მომიკტეს, არ მქონდეს, თვარა შენ რავა და-
5 გიყავებდი“ ო, — ეფიცებოდა ზალიკაი, ბევრჯელ ზრლი-
კამ თავის მეზობლებშიიც დატრიალდა — იქნება ვიშონო
სასესხებლად და სიძეს ხელი გავუწყოვო, მაგრამ ვერას
გახდა. ჯერანს, არ სჯეროდა სიმამრის გულწრფელობა:
— ბერძალლი იგი, სხოგან რომ დარბის პირისფერობა,
10 მიწაში რომ აქ კოჭით შენახული, იგი მომცეს“ ო.
თავდაპირველად ძლიერ ერიდებოდნენ ზალიკას სიძის
სახლში. პირველად რომ ესტუმრა, ჯერანმა ისეთი საღი-
ლი გაუწყო, რომ ერთ პატარა ქორწილს შეეფერებოდა.
მაგრამ მას შემდეგ, რაც ფულის სესხებაზე გაწმილებული
15 დაბრუნდა, ჯერან ძლიერ გულ-გრილად ექცეოდა სიმამრს.
ზალიკამ შეატყო — სიძისას, ქალიშვილს გარდა, ყველა
ცივად მეპყრობაო და ამიტომ ძლიერ გვიან-გვიან
დაიწყო ქალიშვილისას სიარული. — „რა ვქნა, მენატრება
ჩემი ქალიშვილის ნახეა, მარა ვატყობ, სწყენენ ჩემი მის-
20 ვლა და — მეც ქე დევეთხუე. ქალი რომ გათხოვდება,
მერე ქმარია მისი პატრონი. მამა გულში თუ შეი-
ნახავს მის სიყვარულს, თვარა მეტი უფლება აღარ
აქ“ ო, — ამბობდა გულ დამწერი ზალიკაი. მელანიას დე-
და, სუსანაი, სულ მთლად ფეხ ამოკვეთილი იყო სი-
25 ძის სახლიდან. ჯერანს სიდედრი თაობიდანვე არ მოს-
წონდა, რადგანაც უთვალადო მოხუცი დედაკაცი იყო და
სიტყვა-პასუხიც არ ჰქონდა რიგიანი. — „იგი რომ სტუ-
რებთან აბეუტურდება, სირცხვილით ძვალები მიტყტე-
ბა“ ო, — ამბობდა სიძე. მაგრამ შესაძლებელია ამ მიზეზის-

თვის არ დაეთხოვა ჯერანს სიდედრი, რომ სხვა, უფრო
დიდი მიზეზი არ გაჩერილიყო: იმ ღამეს, როცა ჯერანმა 5
ჯვარი დაიწერა, ზალიკაისაგან გაგზავნილ მაყრებში დარჩა
სუსანაის ნათესავი ყმაწვილი ქაცი, კოწიერი. კოწიერი იყო
ოცი, თუ ოცდა ორი წლის, კარგი მოსიმღერე და მომ-
ლხენი, კოხტა ყმაწვილი. ამ ყმაწვილმა რომ თავისი კრია-
ლა ხმით „ხასანბეგურაი“ შემოსძახა, მერე გამოვიდა და
იცეპვა, იქ ყმოფ ყმაწვილ ქალებს თვალი მაჟე შერჩათ.
ერთი აზნაურის ცოლი, მეტად ლამაზი ქალი, დიდხანს
უმზერდა კოწიას თვალებზე წყალ-მოდენილი, მერე მიუბ-
რუნდა მის ახლო მჯდომ ქალს და ვითომ ხუმრობით,
მაგრამ თან აღტაცებით უთხრა: „იფ, ვენაცვალე იმ კი-
სერში, ბიჭი ამისთანაი არ უნდა“ო. ჯერანის ოჯახმა,
ის იყო, იმ ღამეს პირველად ვაიცნო კოწიერი, მაგრამ მოე-
წონათ კი ძლიერ. — „ვინ იფიქრებდა, თუ სუსანას ამის-
თანაი ნათესავი ეყალებოდა!“ — მგონია სამჯელ კი უთხრა
იმ ღამის განმავლობაში ხვარამზემ თავის ქალიშვილს.
ელისაბედ დედის სიტყვებზე მორცხვათ თავს ჩაღუნავდა
და ხმას არ იღებდა.

არ გასულა ქორწილის შემდეგ ერთი კვირა, რომ ჯე-
რან ეუბნებოდა სიდედრს: — „ოლონ კოწიერი სიძეთ შამეი-
კვანე ჩემს ოჯახში და სული არ მშურს, სული!“, „აბა
შენი მოყვრობა ახლა დაფასთება, თუ ამ საქმეს გეიყვან“, —
უმატებდა თავის მხრივ ხვარამზე. ელისაბედმა იცოდა კი,
რომ მისი დედა და ძმა შეუდგნენ კოწიაზე მისი გათხო-
ვების ზრუნვას, ძლიერაც უტოკავდა გული, რადგანაც
კოწია მოეწონა, მაგრამ მონაწილეობას კი არ ღებულობ-
და თავის გათხოვების ზრუნვაში. ამ საქმეში რომ თითონ
ჩარეოდა და თავის მხრივაც რამე ეთქვა, ურცხვობა-

თავაშვებულობაში ჩამოართმევდნენ და ამას აბა როგორ
იწამდა ისეთ სასტიკ ზნეობაში—რასაკვირველია, კავკაცია
ბურ ზნეობაში—აღზღიული ქალი, როგორიც—~~მაჭისტერი~~
იყო.—„აბა შენ იცი, ნენავ, ეცადე, ეცადე, დეიყოლიე
5 კოშიეთ! თვალ-ტანათ, შენც ხედავ, კაია, მარა თვალტა-
ნადობა რაა? იმისთანაი კეუიანი და მეოჯახე ციცაია,
რომ ციც ქვაზე დაასახლებს კაცს. ზოგიერთებს როის
გავს, ბიქებზე რომ უჭირვენ თვალი. ამისთანაობაში წმინ-
დანია, წმინდანი. ჩემი ნენაი, შენებურა გულით მეინდო-
10 მე, ჩემი ნენაი!“—ეზვეწებოდა დედას მელანია თავისი მუ-
ლისთვის.

სუსანაი წრფელი გულით შეუდგა შეამავლობას და ერთ
ქვირა დღეს, ვითომც ისე, სტუმრად მოუყვანია თავის
ნათესავი სიძისასო, მოიყვანა კოშიეთ ელისაბედის სანახა-
15 ვად. როგორც ვთქვი, ელისაბედ საკმაოდ ლამაზი ქალი
იყო. სოფელში ამბობდნენ კიდეც: „თლათ დიდკაცური თვა-
ლადობა აქ ელისაბედს“^{ო.} ხეარამზემ გამოაწყო საჩქა-
როდ თავისი ქალი და სადილზე დაუსო კოშიას პირდა-
ბირ. ყოვლიფერში გატელული ელისაბედ ეხლა ისე დამორ-
20 ცხდა, ისე მოკატუნდა, რომ ერთხელაც არ აულია თავი
ზევით. გათავდა ეს ნახვაც და კოშია იმ დღესვე წავიდა
შინ. მაგრამ იმ დასაქცევს თურმე კი არ მოეწონა ელისა-
ბედ! რამდენიმეჯელ იყო ამის შემდეგ სუსანაი კოშიას-
თან, ეგება დაეითანხმო, შევრთო ელისაბედო. მაგრამ არ
25 იქნა, ხუმარა კოშია ყოველთვის ამ სიტყვებით ისტუმრებ-
და სუსანას:—„არა, მამიდა ჩემო, ელისაბედისთანა მჭლეი
ქალი მე არ მინდა, ერთი ხვითქი ციცაი გამომინახე,
ხვითქი“^{ო.} კოშიასთვის ეს საქმე სახუმრო იყო, მაგრამ
სუსანაის და მისი ქალიშვილისთვის ძლიერ მწარე შედეგი

მოჰყეა: ხეარამზემ და მისმა შეიღებმა შესწამეს სუსანას,—
ამ საქმეში გულწრფელად არ მოქმედებდა. საქმის შესრულება ზღომებოდა, იმას იზამდაკ დაგვატესკ კაცი უცფათაი თავზე, ციცაის მოკაზმაც ვერ მოვისარი ხეირიანათ! პირდაპირ ვარი ველარ ვეითხრა და, იგი იყო, ვითამ დეიწყო საქმე ჩვენდა მოსატყუებლათ!“ — ამბობდა გულ დათუთქული ხვარამზე.

— „თუ გულით მიენდომებია, ქალის სანახავათ რათ უნდოდა! საქმის გაკეთებამდი რეიზა მეიყვანა! ჯერ საქმეს გავაკეთებდი და ქალის ნახვას, დასანიშნავათ რომ მოვიდოდა, მაშვინც ქე მიესრობოდა! ქვეყანა ასე შრობა. ქალის დასანიშნავათ რომ მევიყვანდი, მერე ქე ნახავდა, თუ წამიერდოდა! ცოცხალს არ გადევუშობდი კარზე! კოწიაზე ვარესი ბიჭი ვიყავი, რომ მიმიტყუეს და ძალითაი შემრთეს, ვინც არ მინდოდა! მარა არ მეინდომა და იგია!“ — ამბობდა ჯერან. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ სუსანაი ფეხს ვერ დაადგმიდა სიძის ოჯახში. მაგრამ სუსანაის დათხოვნით არ დაბოლოებულა ეს საქმე: ხეარამზემ და მისმა ქალიშვილმა შესწამეს რძალს, თითქო სულაც ამ უკანასკნელის სიტყვით ჩაშლილიყოს ელისაბედის კოწიაზე ვათხოვების საქმე. „არ ხედავდი, გახობოდა დედას და თითო საათს ჩუმათაი ეფურჩულებოდა! თურმე ჩემი ცოცხლითაი დამარხვა უნდოდა!“ — ეუბნებოდა დედას კოწიისაგან დაწუნებული და მით გულ დამწვარი ელისაბედ. ამ ეპვმა ისე დაამტერა ელისაბედ რძალთან, რომ სისხლი შეესვა ამ უკანასკნელის, გული არ მოუშლიდა.

— იცი, ნენა, წუხელის რა დამესიზმა? — უთხრა ერთ დილას ელისაბედმა დედას, — ვითამ მოვიდა ჩემი რძალი, ამომართვა გული, ჩემი თვალით დევინახე კაკალი გული, გახვია ქახალდში და წაატანა დედამისს.

ელისაბედ არ სტუოდა, მან ნახა ძილში ეს სიწმარი.

ხვარამზე ისე შეაშინა ამ სიზმარმა, რომ სიტყვის თქმას ვერ აგებდა. ერთი საათის შემდეგ ის გაემგზავრა მკითხა ხავთან.

5 — დედაც და შვილიც ორივე ყოფილა! — უთხრა მკითხავმა ხვარამზეს. სიტყვა „ყოფილა“ს განმარტება არ ეჭივრებოდა ხვარამზესთვის. ის ცხადად მიხვდა მკითხავის აზრს, — მელანია და დედამისი მავნე სული არიანო.

10 რომ დაეფარა ელისაბედ მავნე სულისაგან, მკითხავმა გამოკერა რაღაც შელოცეილი ნივთი ტილოს ნაკერში, მისცა ხვარამზეს, ელისაბედს შეაბი ყელზეო, შემდეგ მისცა სიტყვიერი დარიგება, თუ როგორ მოქცეულიყვნენ — „ნამეტარი უფთხილდი დადეგ დღეს (პირველ სეკტემბერს)“ო, და ამნაირად დარიგებული გამოისტუმრა შინისკენ. არ გასულა ამის შემდეგ ერთი თვე, რომ ელისაბედმა მეორე სიზმარიც ნახა და უამბო დედას:

15 — წუხელი ძილში ჩემს რძალმა ჯერ ქათმის ფინთი ჩამიდვა პირში და მერე ქათმის ფინთში გასერილი ფეხი მკრა გულზე.

20 მელანიას საუბედუროდ ელისაბედ, მას შემდეგ რაც ქოწიამ დაწუნებული დატოვა, ჩამოხმა და ხან-და-ხან აეად ხდებოდა კიდეც. ხვარამზე ყოლკვირაში დადიოდა ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე მკითხავთან. ეს მკითხავებიც მოისმენდნენ ხვარამზესაგან ელისაბედის სიზმრებს და იმასეუ იმეორებდნენ, რაც პირველმა მკითხავმა თქვა — „რძალი და დედამისი მავნე სული ყოფილან და იგინი ქამენ ელისაბედის გულს“ო. თავისი ქალის სიზმრები და მკითხავების სიტყვები ხვარამზემ უამბო ჯერანს. დამწვარზე მდუღარე გადაესხაო, რომ იტყვიან,

სწორედ ისე დაემართა ჯერანს: ჯერე უამისოდაც არ უყვარდა ცოლი და ეხლა კიდევ ეს საშინელი პმბავის 5 ბეჭედი ლანიას თუმცალა არ უმხელდნენ ამ ამბავს, მექითხავება უთხრა ხვარამზეს: არ გავიგოს, თვარა წამალი აღარ გას- ჭრისო,—მაგრამ დედამთილის და მულის საიდუმლო ფუ- ჩუნის და ამათი მტრული გამომეტყველებიდან მისდამი მაინც მიხვდა მელანია, რომ მთელი ოჯახი რაღაც საში- ნელს სწამებდა მას. ბევრი ლამე გაატარებია ამ საიდუმ- ლო ფუჩუნმა უძილოდ მელანიას; ბევრჯელ ჩუმად უტი- რია მას ამ საიდუმლო საშინელი დაწამების გამო.—„გუ- ლი ამჟართვაო, მწამობენ! ამისთანაი საშინელი დაწამება! 10 მე რათერ შემეძლო გულის ამორთმოვა! რეიზა უთხრა იმ დაწყევლილმა მარჩიელმა ამისთანაი ცრუობა? რა მტერო- ბა ქონდა ჩემი! რეიზა უთხრა?“—ყოველ ლამე ამის ფიქრ- ში იყო მელანია. შუალამე ისე გავიდოდა, რომ არ ეძინა. 15 უკანასკნელ, იქვშიაც შევიდა თავის თავზე:

— „რა ვიცი, ეგება, რომ დამეძინება, მერე ეშმაქს მიხავს ჩემი სული და ავ საქმეს ასაქმებს“ო. ერთ ლამეს ამ ფიქრებზე მას მოაგონდა, თუ რამ ახირებული სიზმრები კი უნახავს მის სიცოცხლეში და ისე შეემინა, რომ საბა- ნი წაითარა თავზე და გატრუნა სული. იმ ლამიდან მოწ- ყებული მელანია მუდამ იჭვიანობდა თავის თავზე. იმდენ- ზე აუტანელი შეიქნა მელანიას ცხოვრება ქმრის ოჯახში, რომ მელანიამ დაუწყო ქმარს ხვეწნა: 20

— „გამიშვი ბაბასთან, ამასთან ვიქნები“ო.—„ეგდე! არ ამეილო ენა, თვარა!“—დაუყვირებდა ჯერან ამ ხვეწ- ნის პასუხად.

ხანდახან, როცა ძლიერ სასტიკად მოეპყრობოდნენ ქმრის ოჯახში, მელანია ქმრის უნებურად დაპირებდა

ნამისას გაქცევას, მაგრამ ჯერან თოფს წამოავლებდა ხელს
და დაუძახებდა:

— „მობრუნდი, თვარა, კვერნაი რომ მჩამიგდავის! გა
გაგწექვ წელში“ო.

- 5 მელანია /ველარ გაბედავდა წასელას. მობრუნებული
დაეგდებოდა სახლის უკან მიწაზე და ტიროდა. მეტადრე
მელანიას აშინებდა ის გარემოება, რომ ჯერან ექადოდა:
— „მამაშენისას რომ გეიქცე, ჩამუვალ და შენიან დედ-მამა-
შენიანა ყველას ღორსავით დაგკლა“ო. მართალია, ჯერან
10 არ იყო ისეთი სისხლის მოყვარე კაცი, რომ ადამიანის
მოკვლა ან დაკვლა ისე ადვილი ყოფილიყოს მისთვის,
როგორც ამბობდა. პირიქით ბეჭრ შემთხვევაში ჯერან
გულ-სათუთიც იყო, ძლიერ ეზარებოდა გოჭის და ქათმის
დაკვლა, ხარის და ძროხის მით უმეტეს. მაგრამ ამასთან
15 ესეც კარგად იცოდა მელანიამ, რომ, როცა გულ-მოსული
იყო მისი ქმარი, ცოფიანს მოგაგონებდა, ისე ლეწავდა
სახლში ჭურქელს და სხვა ავეჯს, რაც მოხვდებოდა. ამი-
ტომაც ფიქრობდა მელანია: „იგი რომ გაცოფთება, ღმერ-
თი აღარ ახსოვს, კაცის მოკვლასაც არ დაზოგავს!“ო.
20 ჯერან იმიტომ კი არ იქერდა თავის ცოლს, რომ თითქო,
ცოტა არის, მაინც ყვარებოდეს; არა, ჯერანს სძულდა
კიდეც ცოლი, მეტადრე მას შემდეგ, რაც მკითხავებმა უთხ-
რეს „მავნე სულია“ო. ის მხოლოდ შემდეგი მოსაზრე-
ბით არ აძლევდა ცოლს წასვლის ნებას: — „მამა მისისას
25 რომ დეეგდებოდეს, მაშვინ რა მენალლება, წეეთრიოს
და ეგდოს! მარა, რომ გააღიროს თავი და საღმე ქალაქ-
ში წეეთრიოს საკახპოთ, მაშვინ ხომ მომექრა თავი! ქვე-
ყანა იტყვის — ჯერანის ცოლი საკახპოში აგდიაო! რაც
უნდა იყოს, ჩემი სახელი ადევს, რჯულიერი ცოლი ქვია,

სახტარზე ქრისტიანულა ჯვარი დაგვიწერია. არ მოვტაქ—
ებულიყავი, კაი იყო და აწი რაღა დროისაა. ავტარუცით გა
გათავდა, აწი ერთათ უნდა დაებერდეთ მეტა—ოგრის ამავე აზრის იყვნენ ჯერანის დედა და დაც. იმათი ფიქ-
რით, მელანიას ფეხზე უკულმა მიღიოდა მათი ოჯახი, მავ-
ნე სულიც იყო მათი რძალი, მაგრამ რა უნდა ექნათ! — „ბედ-
მა აგი შეგვახვედრა და აწი რაღა ეშველება“ 5 — ფიქრობ-
დნენ ესენი. ხშირად კიდეც თვალ-ყურსაც აღევნებდნენ რძალს, — არ გაიპაროსო.

IX

ერთ დღეს ხვარამზე და მისი ქალი სხვაგან წავიდნენ 10
და მელანია მარტოდ დარჩა სახლში. მაისის ბრყინვალე
დღე იყო. მელანიამ, რაც საჭირო იყო, მიალაგ-მოალაგა
სახლში, შემდეგ გამოიტანა სკამი და დაჯდა ბალკონზედ. ის
დიდ სიამოენებას გძნობდა, რომ ამ წამში მაინც მას
არავინ უთვალთვალებდა. ასეთი თავისუფალი წამები, მას 15
შემდეგ რაც გათხოვდა, იშვიათი იყო მის ცხოვრებაში. ბალკონიდან ჩანდა აქარის მთა, რომლის წვერები აქა-იქ
ჯერ კიდევ თოვლით იყო დაფარული და თვალის მომ-
ჭრელად ბრყინავდა მზის სხივებში. მთის გადალმა ცას რა-
ღაც მკრთალი, მიბნედილი ფერი ედო. მელანია დიდ-
ხანს უყურებდა ამ სურათს და ფიქრობდა: — „ნეტაი ამსევა
და იქინეი, იმ ფთის გადალმა, დამსევა! რა კაი იქნება! მო-
შორდი ამ წვალებას, ამ ვაი-ვაგლახს! ვინ იცის, იქინეი
რა ამბავია, მარა მაინც, რაც იყოს!... ამაზე ვარესი
ხომ არ იქნება! მარტო აქაურობის მოშორება რათ 20
ღირს!... ამ ფიქრებიდან მელანია გადავიდა იმ ფიქრებ-
ზე, რომლებზედაც ასჯელ გაუტეხია ძილი: — „გევიპარეი
აქიდან, დევიკარქვი საცხა!“ 25

ამ ხელად ერთი კიდევ დიდხანს იტრიალა მისშა ფიქ-
რებში ამ კითხვებზე და ბოლოს გადასწყვეტა; აუგვი-
პარვი, გევიპარვი და დროც ახლა მაქ“ო; საბურგო

ამ გადასწყვეტილებით მელანიამ ამოალავა თავისი ზანდუ-

- 5 კიდან ტანისამოსი, რაც საჭირო იყო ჩაიცვა, რაც არა და, გა-
მოქრა ფუთაში, ჩაიცვა ახალი წულები, ქარვა და ბეჭედი,
რომლითაც ის პირველად დანიშნა ქმარმა საცოლოდ, გა-
ჯავრებით ჩააბრუნა ზანდუქშივე: — „აგი არ მინდა“ო; ის კა-
ბაც დატოვა, რომელიც ჯვარის წერის დღეს ეცვა: — „არც
10 აგი მინდა“ო; დაშინჯა ყუთში რაღაც წვრიმალი ნივთე-
ბი, ამოილო უმარილის სალესი სადაფი, — „ამას წევილებ-
ნენაის ნახელავია“ო; მერე ნახა თითბრის სათითური, —
„ამასაც, — ბაბაის მოტანილია“ო; ჩაიდო ჯიბეში თეთრი
ძელის სავარცხელიც — „ჩემი აფხანავი ფოტინაის ნაჩუქა-
15 რია“ო. ბოლოს დახურა ყუთი ამ სიტყვებით: — „მეტი
აფერია შით, არ მინდა“. ის ჩქაროდა, რომ დედამთილს
და მულს არ მოესწროთ, ან სხვა გარემოებას არ შეეშალა
ხელი განზრახულის აღსრულებაში. რამდენიმე წამის გან-
მავლობაში ყოველივე მზად იყო, წასვლის მეტი აღარია
20 აკლდა რა. შაგრამ ეგ წასვლა არ იყო ადვილი.

- მელანიამ დაიკავა ხელში მოქრული ფუთა და დაჯდა
ლოგინზედ. „რა, ტყუილად მოემზადე!“ — თითქოს ვილა-
ცამ გარკვევით ჩასძახა მას გულის ყურში. დიდხანს იყო
25 მელანია დაფიქრებული, ბოლოს დადო მოქრული ფუთა
ლოგინზე და თქვა: — „არა, მე ამას ეერ ვიზამ“ო. მას გა-
ახსენდა თავისი მული და დედამთილის სიტყვები: „მიწა-
ში, ქვესქნელში რომ ჩახვიდე, იქიდან ამოგათრევს შენი
ქმარი და მაშვინ უყურე შენ სეირს“ო. გაახსენდა ისიც,
რომ ერთი მათი მეზობლის ქალი დაჭერილი მოაყვანინა

მამასახლისმა და ჩაბარა ქმარს. გაგონილი ჰქონდა მელა-
ნიას ის შემთხვევაც, რომ ერთმა გლეხმა მიაგნოს სადღაუცა ქალაქში თავისი გაქცეული ცოლი და დამბახტოს მოკლეს „უშეველოს ღმერთმა, ყაძახი იგი ყოფილა, ესე უნდოდა
იმისთანა ბოზ დედაკაცს“ო, — ამბობდა ამ შემთხვევის 5
გამო ხალხი. ხმა გამოვიდა, რომ პოლიციამ მოუწონა
გლეხს ეს მკვლელობა და „ფიქრი ნუ გაქ შენ, ამიზა სიმ-
ბირში არ გაგაგზანიან“ უთხრაო. ხვარამზე და მისი ქალი
განზრახ უამბობდნენ ერთმანეთს მელანიას გასაგონად ათას 10
სხვადასხვა შემთხვევას, თუ როგორ სასტიკად დაუსჯიათ
ცოლი ზოგი თითონ ქმარს, ზოგი სასულიერო მთავრობას
და ზოგი პოლიციას, ქმრის სახლიდან გაქცევისათვის. ახ-
სოვდა მელანიას ჯერანის მუქარაც: „იცოდე, რომ გეი-
პარო, შენიან შენი კირისუფლიანა, ყველას ლორსავით დაგ-
კლა“ო. ჩემ პირობაში ბაბას, ნენას ჩემ დებს და ძმებს მოკ-
ლავს“ო, — გაითიქრა მელანიამ და სიშის ურუანტელი დაუა-
რა ტანში. გაახსენდა ისიც რომ ქმრის ოჯახში ყველა
ამას ეუბნებოდა: — „შენ იმისთანაი გვარი გაქ, რომ თუ თავი
ხელათ იშონე, საკახბოში გეიქცევი“ო. ეს აზრი მელანიას
შესახებ გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ერთმა მელანიას 20
ბიძაშვილმა უგვირგვინოდ შვილი შობა და ბოლოს სად-
ლაც გადაიკარგა. — „გამაგრდი, არ გაუმართლო სიტყვა
დედამთილს და მულს“ო — ეუბნებოდა თავმოყვარეობა
მელანიას. მაგრამ ყველა ზომო ჩამოთვლილს გარდა, იყო
ერთი რამ, რის გამოც მელანიას არ შეეძლო ქმრის სახ-
ლის მიტოვება და მართლადაც ტყუფილად მოემზადა გა-
საპარავად. ეს ანდამატი, რომელიც ასე იჭერდა და არ 25
უშევებდა მელანიას ქმრის სახლიდან, გახლდათ პატარა
ლუკა, ერთი წლის ვაჟი მელანიასი. პირველად წასვლა

- რომ გადასწყვიტა მელანიამ, ლუკასაც წაყვანას უპირებდა,
მაგრამ შემდეგ დაფიქრა: — „აბა სად უნდა წევიყვანო, 5
თვითან მე სად მივალ, რომ არ ვიცი! ისევდევგვამზრუნვე
გულს, დავტიებ, კი გამიჭირდება, მარა რა ვქნა, მისთვის
უკეთესი იქნება; იგი ყველას უყვარს და კიდეც მოუვლი-
ან“ ო. ამ რიგად ის აპირებდა ლუკას დატოვებას. მაგრამ, 10
როცა ყოველივე მოამზადა და შემდეგ შეხედა აკეანში
მძინარე ლუკას, რომელიც ის იყო იმ წამში უნდა დაეტოვე-
ბია, გული რაღაც სიტკბოებით დაუსავდა დაუსავდა და მუხ-
ლები მოექვეთა. — „სხვაი ყველაი რომ აფერათ ჩავაგდო,
იმას მაინც ვერ დავტიებ, ტყუილია, ვერ დავტიებ!“ — 15
გადასწყვიტა თავის გულში მელანიამ და ჩააწყო წასალე-
ბად მომზადებული ნივთები ხელ-ახლა ზანდუქში.
- ცოტა ხან შიგნით გაიღვიძა ბაეშემა. მელანიამ საჩქა-
როდ ამოიყვანა ის, მიიკრა მკერდზე, თან ძუძუს აძლევდა და 20
თან კოცნიდა. ბაეშეი კარგა ხანს მალიანად ჭამდა ძუძუს, შემ-
დეგ გაძლა, დაეთხოვა და ეხლა რაღაცას, ეტიტინებოდა
დედას თავის გაუგებარ ენაზე. მაგრამ ისე მშევრ-მეტყვე-
ლურად გამოთქმული სანუგეშო სიტყვები ვერ ანუგეშებს 25
ადამიანს, როგორც ეს გაუგებარი ტიტინი ანუგეშებდა
მელანიას. ლუკა, მხოლოდ ლუკა იმედის ლამპრად ენთო
მელანიას ტანჯულ გულში. მართალია, ჯერან ხშირად
ამბობდა: — „დედა რაა შვილის? დედა ტომარაია, მეტი
აფერი. შვილი მამისაა, მამის გვარი ეთქმევა, კანოლით
შვილი მამას ერგება“ ო და სხვა. ხვარამზე და მისი ქალიც
ხუმრობით ასწავლიდნენ ლუკას:

— „დატი, დატი დედას“ ო, — ლუკაც ვითომ და სცემ-
სო; უფაჩხუნებდა თავისი პატარა ხელებით დედას სა-
ხეზედ. მაგრამ მელანია კი ჩაიკრავდა ამ დროს შეიღს

გულში და მხურეალედ - კოცნიდა. ეს იყო დედის სიყვა-
რული შეილისადმი, რომელიც მაღლა სდგას დედისთვეს
ყოველივე ცხოვრების ანგარიშზე. თუმცალა ფაქტი შემდეგი
5 წედ ისეთ იმედებსაც ამყარებდა მელანია, რომლებიც უფ-
რო ცხოვრების ანგარიშს ეხება, მინამუანგარო სიყვარულს,
მაგალითად: „აგერ გეიზდება ჩემი ლუკაი და მერე ტქპილათ
ვიცხოვრებ, ავათ მოპყრობასაც ველარავინ გამიბედავს“ 10.
მაგრამ ამ დროს რომ დაგერწმუნებიათ ის, — „ლუკა რო-
ცა გაიზდება, შეგიძულებს, ჯერანზე უარესადაც მოგეპ-
ყრობა, გავავდებს კიდეც სახლიდან, ჯობს ეხლავე მოი-
შორო, მიატოვო“ 11. — მელანია გიპასუხებდა: — „რაც უნ-
და მიქნას ლუკამ, მე მაინც ვერ მოეიძულებ, მაინც მიყ-
ვარს იგი“ 12 და თან ისევ ისე მერძნობარედ ჩაკოცნიდა
15 თავის პატია ვაჟს. განა ცოტა იცოდა მელანიამ მაგალი-
თები, რომ შეილი დედას ცუდად ეპყრობოდა, სცემდა,
სახლიდან ავდებდა, მაგრამ არც ერთს ამ მაგალითთაგანს
არ შეურყევია დედის სიყვარული თავისი პატია შეილი-
სადმი.

ერთი-ორი საათის შემდეგ სრულიად დამშეიდებულმა
16 მელანიამ, მის მაგიერად, რომ, როგორც თითონ ფიქრობ-
და, სამუდამოდ გამოთხოვებოდა ქმრის ოჯახს და გადა-
ქარგულიყო სადღაც შორს, შორს, დაიკავა ხელში თავი-
სი პატარა ვაჟი და გადავიდა მეზობლისას თეკლესთან.

თექლე, რომელიც ერთ ადგილას ამ მოთხრობაში აქა-
20 მომდეც გვყავს მოხსენებული, მოხუცი ქალი იყო, მეტაც
გულკეთილი, სოფლის დედაკაცს რაც შეეფერება ჭკუიანი
და გაგებული სიტყვა-პასუხის პატრონი. მელანიამ აღრე
გაიგო, თექლეს თანამგრძნობი კეთილი გული აქვსო და
ორ-სამჯელ მასთან ლაპარაკის შემდეგ ისე დაუახლოედა

მას, რომ ყოველივე თავისი ხვაშიადი შეეძლო გვემსილა
მასთან.

„ღმერთმა აცოცხლოს, ჩემი ნუგეშის მცირებული და
მასტავლებელი თექლეა. იგი რომ არ ყოფილიყო, აქამდი
5 სხვაი თუ არა, წყალში გადავარდებოდი“ო,—ამზობრა
მელანია და, ცოტა არ იყოს, ხშირ-ხშირადაც დადიოდა
თექლესთან, რისთვისაც მას უწყრებოდნენ დედამთილი
და მული—„რაა, ნეტაი, სულ თექლესას, სულ თექლესას!
10 შენს ოჯახში ეკალი ხომ არ ამოგსელია, რავაც მეიცლი,
რომ მაშინათვე თექლესას მირჩი“ო—მაგრამ ამ წყრომით
მელანია არ იშლიდა თექლესას სიარულს, და უფრო სას-
ტიკი ზომების მიღებას დედამთილი და მული არ ხდავ-
დნენ საჭიროდ, რადგანც დარწმუნებული იყენენ, რომ
15 თექლე ცუდს არას ურჩევდა მათ რძალს და თითონაც
ხშირი სტუმარი იყენენ თექლესას, როგორც კარგი მეზობ-
ლისას. ხვარამშეს და მის ქალს თუ ეზარებოდათ რძა-
ლის თექლესთან ხშირი სიარული მხოლოდ იმიტომ, რომ
ქმრის ოჯახის საიდუმლო თექლესთვის არ გადაეცა შე-
20 ლანიას:—„ვინც უნდა იყოს, ოჯახის საიდუმლო არ ითქ-
მება მასთან, შენი იჯახის ამბავი გარეშემ თავის დღეში
ვერ უნდა გეიგოს“ო.

— რა შეილი გყავს, მელო რა შეილი! ამის დედამ ყოლი-
ფერი უნდა ეიტანო,—უთხრა თექლემ მისელის დროს
მელანიას, გამოართო ხელიდან ბავშვი და ჩაკოცნა.

25 — მართალს ჩივი, თექლე, უნდა ევიტანო, მარა ნამე-
ტარი რომ მომშულდება თავი, ქე ვიფიქრებ მე ცოდეი-
ლი, არც შეილის დელდი მაქ, არცა რაი, თავს უშველი-
მეთქინ. დღეს რაცხა ესთე მომექცა გული, რომ პაწაი
დამაკლტა კალამ...—მელანიას ტირილმა მოუსწრო და
ველარ დააბოლოვა სიტყვა.

- ქილამ რაი? 15
- ქალამ გადვირიე, ქალამ გევიჭერი საცხა! 16 შენ ქალანიამ, რომელიც ცდილობდა ზდილობა მოეხმარა! 17 და სხვის ოჯახში არ ეტირა.
- გადირიე ქალო, რას ქვია გაჭრა! აგერ ანგელოზ- 18
სავით შეილი გეზდება, მეითმინე პაწაი და მერე ესე წავა შენი ცხოვრება, რომ ღმერთს მადლიდე. 19
- ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს, თეკლე, სულ გულს მიკეთებ და მაიმედებ, მარა ნამეტარი გლახა ყოფნაში ვარ; ათასნაირათ კი მევინდომე შეფერება და არ იქნა. 20
- მართალია, შეილო, ძალიანი გასაჭირი საქმეა ძალიანი! რას ჩივი, სხვისი და სხვისი შეილი ჯერ ერთქამეთს ვერც ქე იცნობენ, ესე შეხოებიან ცოლ-ქმარათ! თუ იღბალმა ქნა და კას თვალზე შეხედეს ერთქამეთს, იგია, ქე იცხოვრებენ, თუ არა, ძნელია! ნამეტარი ძნელია! მარა სულგძელობის მეტი რა გეეწყობა. ხომ იცი შეილო, თუ ერთი დეისკენა, მერე ცოლ-ქმარობა აღარ დეირლოვა. შენ კიდევ რა გიჭირს! რამდონი შენზე ვარესი მინახავს და გამიგონია, ჰმ! მარა რას იზამ, ასია ჩეენი რჯული, სიცოცხლეში ცოლ-ქმარი ველარ მოსცილდება ერთი მეორეს. შენ გვონია, შენს ოჯახს უხარია ასე ყოფნა, გადაკიდული რომ ხართ? იგინიც წუხარიან, მარა რა ქნან? რამდონჯელ უტირია შენ დედამთილს ჩემთან,—თაობიდან იმას ვცოლობდი კარქათ ვყოფილიყავთ, ტკპილათ ვყოფილიყავით ოჯახში და არ იქნაო. ერთი გზობა შენმა ქმარმაც მითხრა, ჩემი ჯანი ოჯახშს კეთებას შევალიე, კარქა ვიცხოვრებ ვფიქრობდი, მარა რაცხა ესე მეირთო ჩემი საქმე, რომ აღარ იქნაო. ასეა, შეილო, იგინიც არ

არიან ავი სულიერები, ჩვენ ქვეყანას იგინზე უკეთესი პი-
რის და სიმართლის აღამიანები არ მეიძებნება, მარცა კავ-
კა ესე უკულმა მიეწყო საქმე, იგინს შენ ჩრდილებრივი
და შენ—იგინი! ძალიანი ძნელია ასე ყოფნა, მარა ახლა
5 მოთმენის მეტი რალა გიეწყობა. შენი კაი ქალობა იგი
იქნება, მეითმინო და შუუფერო. ამასობაში, იგია, შეი-
ლიც გამოგეზდება, იგინიც გულს დეიდუმებენ და ესე
კარქა წავა შენი ყოფნა, რომ შენც არ მიელოდე! აბა
10 რავა გონია, თუ იცი? მერე კიდევ, რაც ქალს ამისთა-
ნა შეილი გყავს, ამის დედამ ყოლიფერი ტანჯვა უნდა
დეივიწყო! აგი, აგი ანგელოზი!—თეკლემ კიდევ ჩაკოცნა
ბავშვი.

— სტორეთ, სტორეთ, თეკლე, აგი ანთია ჩემს დალა-
მებულ გულში სანთლათ, აგი რომ არ მყავდეს, არ ვიცი,
15 რას ვიზამდი,—უთხრა მელანიამ თეკლეს და ჩაიკრა შეი-
ლი გულში.

კიდევ დიდხანს ილაპარაკეს თეკლემ და მელანიამ. თე-
კლემ გადავიდა სხვა-და-სხვა ამბავზე. იმდენი რალაც გა-
20 სართობი ძველი და ახალი უამბო, რომ მელანია კმაყო-
ფილი გულით და დამშვიდებული სულით დაბრუნდა შინ.

X

ზაფხულის ღამე იყო, მაგრამ უმთვარო და მოლრუბ-
ლული. ხან-და-ხან გაანათებდა ელვა და სადლაც შორს-
25 შორს გაისმოდა ქუხილის გუგუნი. საწეიმრად მომზადებულ
ბუნებაში მძიმედ ჩასძინებოდა სოფერს. ჯერან ტევრიძის
ოჯახშიაც ყველას ეძინა, გარდა მელანიასა. ეს უკანასკნე-
ლი კი წამომდგარიყო ლოგინიდან, ჩვეულებრივად შემოედ-
ვა თავზედ ხელი და ნიდაყვი დაეზჯინა თავის ზანდუკ-

ჭედ; ელვაზედ დაინახავდით, რომ ლოგინის მეორე მხარეს ეძინა ჯერანს. მხოლოდ ამათი ვაჟი—ლუკა მოსირისა ჩანდა.

— „რაც უნდა, იგი თქვან მერე!“—ჩაიფუჩიუნა მელანიამ და განაგრძო ნაპერ-ნაპერად ფიქრი, — „გული არ გეიტეხო, ასე ქვია, ჯერ კიდევ ბალანაი ხარ, ეგება იმის-თანაი ბეღნიერობა მოგელის, რომ შენ ბეღს ძალლ-მა არ დაჰყეფოსო, მითხრა თექლემ. რა კაი გულისაა! ყველა უბედური ანუგეშოს უნდა. კაია ნუგეში, თუ გწამს... მარა მე აღარ მწამს... წევიდა იგი დროი, რომ ვფიქრობდი, აი ღლეს, აი ხვალ უკეთესათ შეიცვლება ჩემი ყოფნა-მეთქინ!.. რა კაია ბალნობა!.. რაზე გამახსენდა ახლა ბალნობა?.. რავაც კაი ტკპილი სიზმარი, ესე მახსოვს ჩემი ბალნობა... იმ ღამეს რომ სიზმარი ვნახე, ვითამ მე ნიკოს ცოლი ვიყავი, ახალი სახლი გვქონდა, ჩემი ლუკა ახალი თეთრი პერანგით თამაშობდა ეზოში. ვითამ ჩემი და ნიკოს შვილი იყო. რავა სიყვარულით მიბზერდა ნიკო! მაინც ზოგიერთ სიზმარში ყოლიფერი ესე კარგათ არის, რომ ცხადათ თავის დღეში არ იქნება... მარა იმ ღამეს საშინელი სიზმარი ვნახე! კლტეი იყო, დაბლა ზღვასავით ბნელი იდგა. რაცხამ გადამაგდო და წევიდი, წევიდი უფსკრულში. არსა აღარ იყო ფსკერი, მიეფრიალებდი ესე. რა შემეშინა!.. რომ გევილვიძე, სული შემგუბებოდა. ნეტაი რაა სიზმარი? ნენამ მითხრა, კაცს რომ დიეძინება, სული გატრინდება და იგიაო. მერე ნიკოს ცოლი რომ არ ვყოფილვარ მე, რეიზა დამესიზმა?.. რა კაი იქნებოდა, ნიკოს ცოლი რომ ვყოფილიყავი, მარა ვინ იცის? ეგება ქი შეგვძლებოდა ერთი მეორეს. ბევრი ქნილა ამისთანაი... არა, ტყუილია! ერთი გზობა თუ კი გი-

ყვარდა კაცს, იმას მერე ესთე მაინც ვეღარ შეიძულებ,
რავაც მე ვსძულვარ ჩემ ქმარს. ოცხელ კი მითხრა
შენ არ მოკტები და სხვაი ყველაიო. მართოლის იმას შეწე
ვითამ და რავალა ვარ ცოცხალი!.. ღმერთმა იცის, ათა-
5 ჯელ კი მინატრია სიკვტილი. არ მოვკტი!... რაა ახლა ავი,
ყოლიფერი რომ გამახსენდა? რალათ მინდა ახლა ავინი?
მესამე გზობაა, ავი ასე რომ მემართება: ვფიქრავ, ვფიქ-
რავ, ყოლიფერი გამახსენდება და ბოლოს აღაფერი! იმ
10 დღესაც ასე დამემართა — ვფიქრე, ვფიქრე, ბოლოს ფიქ-
რით მოღალული მივედი წყლის პირზე, შემეშინა და ქე
დავბრუნდი შინ. ერთი უწინ კიდევ მევიტანე ფიშტო,
შემონდა, შემონდა ხელში, ვეღარგავბედე და ისევე შევინა-
ხე. ნახავ, ახლაც ასე თუ არ დამემართოს!.. ამისთანა
დროს ფიქრი ვის გუუგონია! უცფათაი უნდა... და გათავ-
15 და! მახსოვს, ბალნობას ცოფიანმა დამსუნა. მომიტანეს ცო-
ფის წამალი, მარა არ იქნა, ვერ დავლიე და ვერა. რავაც
მივიკარებდი პირთან, გულზე წამომაზიდებდა და ვერ დავ-
ლევდი. არ დამელია, საშველი არ იყო. ბოლოს მივედი,
20 უცფათაი დავჭუჭე თვალები და გადვუშვი პირში. გათავ-
და, სულაც არ იყო ესე საშინელი, მე რომ მეგონა... რა
კაია ბალნობა! მე და ნიკო რომ გაეპარპალდებოდით ქედ-
ში წაბლიზა! ბალანაის გული სამოთხეა! — ერთი გუშილამ
მესიზმა კიდავ: მე და ნიკო ვითამ ესევე ბალანაი ვიყავით
და ერთათ ვთამაშობდით. ესე ტკპილათ კი გამომეღვიძა
25 მაშვინ რომ!.. ნეტაი არ გამომლვიძებოდა!.. ღმერთო, რა
და რას მოვყევი!.. ვის ეწყინება? ნიკოს ეწყინება, ეგება
კიდეც ატირდეს. ნეტაი ერთი მანახვა ახლა! ჯერ ცოლი
კიდევ არ შუურთავს თურმე. ნენას, ბაბას, დებს, ძმებს?
უწინ ყველას ვუყვარდი და მას მერე ყველამ შემიჩვენა.

რამდონი ხანია თვალი აღარ შემიელია არცეთიზა! ნეტაა
იგინს თუ ენატრება ჩემი ნახვა, რავაც მე იგინის? რა-
სულელი ვარ! თუ ენატრებოდეს, ვინ დუშმლიდა! რომ
შევსძულდი, შევსძულდი ყველას! რეზა შეცოთო? რა ვიცი,
რეზა შეცოთო! ესე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შეც-
თო! თლათ იგინია დანაშაული ჩემ შეცოთომაში! არა ვი-
თამ? აბა მე ვარ? რა ვიცი, ვეფერს გეიგებს კაცი, ესეა
მოწყობილი ჩვენი ყოფნა!.. ნეტაი ლევანს თუ ეწყინება?
არა, იმას არ ვუყვარდი, თვარა არც ესე მომიძულებდა!
შე ამ დღეში ჩამაგდო, თვითან ცოლი შეირთო და არის
ტკპილათ!.. მატყუებდა მიყვარხარო! ვითამ და რა უნდა ექნა?
მე ხომ ვერ შემირთავდა ქმრიან ქალს? ესე წევეყვანე სად-
მე? ჯერანს რომ კაი გადაერჩინოდით, კანოლი არ გაგვი-
შობდა. ძალიანი უბედურათ არის ქალის საქმე! ყაბახის
ქალი მაინც ნამეტარი დაჭირულია! ჯერ დედ-მამა შენი
ბატონი და მერე ქმარი! ხმაის ნება არცეთთან არ გაქ!
რომ განწვალონ, მაინც მათ ხელში უნდა დარჩე, სადამდი
ცოცხალი ხარ! აბა, სხვაი რა გაგივა? გეიქცევი? რა გამო-
ვიდა მერე? რამდონი გეიქცა, მარა ზოგი დაჭირული მეი-
ყვანეს, ზოგი ქმარმა მოქლა და ზოგი ჭირმა დაალპო.
თაობიდან არის ყოლითერი უხეიროთ მოწყობილი და
იგია!.. რათ მინდა ახლა ამას რომ ვთიქჩავ! დასწყივლოს
ღმერთმა, ერთი ფიქრიდან მეორეს გახობი და მერე აღარ
გათავდება! ფიქრი? ფიქრს რა გაათავებს! ფიქრი მაშვინ
გათავდება!.. მაშვინ ყოლითერი გათავდება!.. რამდონ-
ზე ვაგვიანებ, იმდონზე ვარესია. ცოფის წამალი რომ
დავლიე, იმის არ იყოს, უცფათაი დაჭუპე თვალები და
გათავდა!“... მელანია ნელა წამოდგა ლოგინიდან და
გაჩერდა.

— „ვაიმე, მაშეინდულა გული მესუსტება“ და ხელი მიკანგალებს!“ — ჩაიფუჩუნა, „არ შემიძლია!“ — დაუმატა და ხელ ახლავ დაჯდა ლოგინზედ. დაჯდომის ღროს ლოგინმა თუ იატაქმა დაიჭრიალა, ჭრიალზე ჯერანმა გაილვიდა და „ვაი, შეილო“ თ დაიძახა ზმორებით. „მჯდომარე არ დამინახოს“, გაიფიქრა მელანიამ, დაწვა და წაიხურა თავზედ საბანი, თითქო სძინავსო.

მართალია, ჯერ არაფელი მითქვამს მის შესახებ, რომ იმ ხანად ჯერან ტევრიძის ოჯახში ორი სამწუხარო შემთხვევა მოხდა. რადგანაც მისი დაწვრილებით აწერა მეტად გააჭიანურებდა ჩვენ მოთხრობას, მოკლედ გიამბობ, მკითხველო, ამის შინაარსს.

ერთ ყმაწვილ კაცს, ჯერანის ახლო მეზობელს, ძლიერ მოსწონდა მელანია. — „რაცხა იმუერი ეშხიანია, იმისთვის საყვარელი ენა აქ, რომ მისი გულიზა დადნები“ თ — ფიქრობდა მელანიას შესახებ ეს ყმაწვილი კაცი და თან ძლიერ ემდუროდა ბედს, რომ მელანია მას არ წეახვედრა ცოლად. ერთ სალამოს მელანია ძროხების მოსაზღვენად წავიდა. მაისის ია-კამა დარი იდგა; მწვანე ბუჩქებით და ტყეებით დამოსილ ბუნებას გულის დამატებობელი შეხედულება ედო. მელანიას უყვარდა ბუნების ამნაირი მღუმარება. მის დალონებულ გულს რაღაც ერთგვარი სიტკბოება ედებოდა, როცა უმზერდა სალამოს ლურჯ ცას ქვეშ დადუმებულ მწვანე ქედებს, ბუჩქებს და პატარა-პატარა მინდვრებს, აქა-იქ ყანებით აჭრელებულს. ის მიღიოდა ნელი ნაბიჯით და თან ესიყვარულებოდა, ბუნებას. გაიარა ვიწრო, მწვანე მინდორი; გავიდა პატარა მღინარეზედ, რომელიც თითქო რაღაცას ლაპარაკობ-

სო, ისე ჩუმი, საიდუმლო დუდუნით გარბოდა წვრილი-
შავი ქეთ მოფენილ კალაპოტში. აუარა გვერდი ყინას,
რომელშიაც ლურჯ-მუქის ფრად, ზღვასავით გადამლილიყო
ახალ ამოსული სიმინდი; უკანასკნელ, მელანია შევიდა
ერთ ბუჩქნარში, რომელშიაც მიღიოდა ძლივს შესამჩნევი
ბილიკი. როცა მიაწია იმ ადგილს, სადაც ბილიკი ორად
იყოფებოდა, მელანიას შემოესმა ფოთლების შრიალი.—
„სუ, ძროხა თუა!“ იფიქრა ქალმა, შეჩერდა და გაიხედა
იქით, საიდანაც შრიალი მოისმა. მაგრამ ძროხის მაგიერ
ბილიკზე გამოვიდა ლევან (ის ყმაწვილი, რომელსაც მე-
ლანია მოსწონდა) და მორცხვად უთხრა მელანიას:

— „სალამომშეიღობის“.

ხშირ სუნთქვაზე ეტყობოდა, რომ ყმაწვილი კაცის
გული ძლიერ მლელვარებდა. მელანიას თუმცალა ცოტაოდ-
ნად გაუკვირდა,— „რას უკითდა აი კაცი აქანაი“ო, მაგ-
რამ მლელვარება კი არ შეუმჩნევია.

— ჩემი ძროხები ნახე ეგება?— ჰეითხა მან ყმაწვილ
კაცს და როცა პასუხად მიიღო,— „ეგერაა ყველაყაი, გა-
დალმა“ო, აპირებდა წასვლას, მაგრამ ლევანმა გადაუ-
ლობა გზა და ხმის კანკალით უთხრა:

— შენთან სიტყვა მაქ!
— რა სიტყვა?— ჰეითხა გაკვირვებულმა მელანიამ.
— იგი სიტყვა, რომ დევიწვი კაცი, შენმა ბზერამ
დამწვა!— მლელვარებით უთხრა ლევანმა და სახეზედ ალ-
მური მოედო.

მელანიასთვის ეს სიტყვები სრულიად მოულოდნელი
იყო, მაგრამ მაინც კი სწრაფად უპასუხა ლევანს:

— ლევან, თუ კაცის ნამუსი გაქ, დამეთხუე! ყოლი-
ფერში უბედური რომ გამუა ადამიანი, მე ვარ! ჩემ სი-

5

10

15

20

25

ცოცხლეში იმისთანაობა გულში არ გაშივლია და შენ
მაინც გიფიქრებია, ვითამც მე იმნაირი ქალი ფყო!

— ვერ დაგეთხოვი! ვიცი, მუქარებელი ხარ, მარა
მაინც ვერ დაგეთხოვი!

5 — აბა, რას აპირობ, ძალას? აბა, ჰა გაბედე, თუ კაი ბიჭი
ხარ! — მუქარით უთხრა მელანიამ და დააპირა წისელა,
მაგრამ ლევანმა მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— ვერ გაგიშობ, ჩემი გულის ამბავი თუ არ შეგატ-
ყობიე, ესე ვერ გაგიშობ!

10 — იცოდე, ლევან, თავს შამოგაქლავ და საიმგვაროთ
არ დაგნებდები! — თავგანწირულებით მიუგო მელანიამ.

— იმას არა, ესთე, ტყულაი, თითო პირს შენთან
ყოფნის ნებას მომცემ?

— არა, ლევან, გაფიცებ, ხელი ეიღო ჩემგან!

15 — თითო პირი ტყულაი, ესე ერთათ ყოფნა და ლა-
პარაკი?

— ლმერთო! მოდი ჩვენსას და იყავი, ვინ გიშლის?

— თქვენსას ვერა, თქვენსას რომ მუალ, შამოხედვა-
საც ვერ ვზედავ, საღმე სხოგან.

20 — მერე რაი, რა გვაქ სალაპარიკო?

— მე მაქ,—თუ ვინმე გიყვარს, სულ იმასთან იყო და
ილაპარიკო, გინდა კაცს. შენ მიყვარხარ, ტყვია მომხთეს
ამ გულში, თუ ჯერ ესე ვინმე მყვარებოდეს, რავაც შენ!

25 — რეიზა, ლევან, სხვას ყველას ვზულვარ და შენ რა
ჩემა უბედურობამ შეგაყვარა ჩემი თავი? ან რათ გინდა
ჩემი სიყვარული?

— რა ვიცი, კი გაჩოთა ამ გულში და, რა ვიცი! შენ
გულს... შენ გულს აფერი შუუტყვია? — ამ კითხვის დროს,
ცოტა დააკლდა, კინალამ ცრემლები არ გადმოუარა
ლევანს თვალებიდან.

მელანიამ შეხედა და მოაგონდა ნიკო მოახლიშვილი.
ნიკომ იცოდა ესე მგძნობარედ შეხედვა, როგორც ეხთა
უმზერდა მას ლევან. ამ მოგონებამ ცოტაოდნად შეალბო
მელანიას გული.

— ჩემი გული რას შეიტყობდა? მე მიმაჩნიხარ ესე, 5
რავაც ერთი კაი მეზობელი.

— მეტი აფერი? რა ცრუობა ყოფილა, რომ იტყვიან,
გული გულს უგძნობსო. ახლა მითხარი, მაძლევ თუ არა
ნებას, თქვენსას არა, საღმე სხოგან, ჩვენს მეტი რომ არ
იყოს ესე?

— ლევან, ტყულაი ერთათ ყოფნით და ლაპარიკით
შენ აფერი გაგიქეთოება და რომ შეგვიტყონ, ჩვენ არჩივ
ქვეყანას ქე დააქცევენ. ხომ იცი, ჩვენი ოჯახის ამბავი!

— ვერ შეგვიტყობენ, ვერა! ნუ მომქლავ! მითხარი,
კი-თქვა.

— ლმერთო! ლევან, არ ჯობს, დამიჯერე!..

— სამშაფათს აქანაი დაგწოები.

— ნუ, ლევან, თვარა ბოლოს შენც გეწყინება, რეზა
ვქენი აგიო!

— სამშაფათს ამ დროზე, მაძლევ თუ არა სიტყვას?

— არ ვიცი, ეგება ქე მოვიდე, ნამდვილს ვერ გეტყეი.

— კაი, თუ გული გიზამს, მომატყუე. ჩემდა თავათ
სამშაფათს აქანაი გიცო, იცოდე.

ამ სიტყვებით დაშორდნენ იმ დღეს ლევან და მელა-
ნია ერთმანეთს. „ნამდვილათ მოვალ მეთქინ, ხომ არ მით-
ქვამს, არც მივალ“, ფიქრობდა პირველად მელანია და
უნდოდა დავიწყებოდა ის შემთხვევა, ლევანის იმ დღინ-
დელი შეხვედრა. მაგრამ არ იქნა, არ ავიწყდებოდა. წი-
ნააღმდეგ, ატყობდა, რომ იმ დღიდან მოწყებული შის

10

15

20

25

გულში რაღაც ცვლილება მოხდა: რაღაც აშინებდა, თან
რაღაც უხაროდა. ერთ ღამეს დაესიზმა, რომ დაუკარა
ის ეხვევოდნენ ერთმანეთს. შემდეგ კიდევ წახან სხიშმიადა
5 თითქო ლევან იგივე ნიკო მოახლიშვილი იყო და ისე უკ-
ვარდა, რომ ისეთ მძლავრ სიყვარულს ენით უერც კი გა-
მოხატავს ადამიანი. ყოველ შემთხვევაში მელანიამ გადას-
წყვიტა არ მისულიყო ლევანთან პაემანზე. მაგრამ მოაწია
10 თუ არა პაემანის დღე, მელანიამ შესცვალა თავისი გადა-
წყვიტილება: ის ჩვეულებრივზე ერთი საათით აღრე წა-
ვიდა ძროხების მოსადენად, რომ ლევანს შეხვედროდა
დანიშნულ ადგილას. როცა ლევანმა უთხრა მას: — „აბა
15 მოვეფაროთ იქით და პაწა ხანს ვილაპარიქოთ“ ო, მელა-
ნია თანხმა გაუხდა, მხოლოდ ეს კი, რომ ჯიბიდინ ამოი-
ლო პატარა ყვითელ-ტარიანი დანა, აჩენა ლევანს და
უთხრა:

— „აა, ხედავ ამას? იმისთანაობა რომ რამე ითიქრო
და ძალით მომერიო, შენ თუ უერა, ჩემ თავს შენ თვალ-
წინ დევიკლავ“ ო.

— იმ დღესაც გითხარი მიყვარხარ და შეყვარებულ-
20 თან ძალადობას, აბა, რავა იზამს კაცი! მხეცი ხომ არ
ვარ! — უპასუხა ლევანმა გულშრტელად.

კარგა ერთ საათს ისხდნენ მელანია და ლევან ერთად.
ლევან უამბობდა, თუ როგორ პირველი გაცნობისთანავე
„სხვაფერათ შეექნა გული მაზე“, თუ როგორ დაესიზმა ერთ
25 ღამეს, ვითომც მელანია მისი ცოლი იყო და სხვა ამ-
გვარებს. მელანია გაჩუქრებული უგდებდა ყურს და მხო-
ლოდ ხან-და-ხან იტყოდა თითო-ოროლა სიტყვას: „მე-
რე“, „ჰო“, „კი“ და სხვა ამისთანას. მაგრამ ლევანის საუ-
ბარმა, რომელშიაც ისმოდა გულშრტელობა და უტყუა-

რობა, საკმაოდ იმოქმედა მაზედ. მოშორების დროს ლევანმა და მელანიამ კიდევ დანიშნეს პატმანი, კიდევ შეხედები დნენ ერთმანეთს, კიდევ ბევრი ილაპარაკა ლეგანმდე თავის გრძნობებზე. მელანიამ მეორე ნახვის დროს მხოლოდ თავისი სიზმრები უამბო ლევანს. განმეორდა ასეთი პატმანი 5 და ნახვა რამდენიმეჯელ. ყოველი ნახვის შემდეგ ლევან უფრო და უფრო ვრცელ ადგილს იქერდა მელანიას გულში. მელანია დარწმუნდა, რომ ლევან ერთად-ერთი ადამიანი იყო მისთვის, რომელთანაც შეეძლო გამოეთქვა თავისი გულის ამბები. მართალია, მელანიას ასეთ ადამიანად ლევანის გაცნობამდე თეკლე მიაჩნდა, მაგრამ მას შემდეგ, რა რომ ლევან გაიცნო, დარწმუნდა, რომ თეკლეს ისე სრულად არ შეეძლო მისი გულის გაგება, როგორც ლევანს. ლევანი და მელანია თითქო ხედავდნენ კიდეც ერთმანეთის გულს, ისინი მარტო სიტყვით კი არა, თვალებითაც კი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. გაეგებოდათ ერთმანეთის გრძნობები და თანაუგრძნობდნენ ერთმანეთს. ამ ნაირი ერთმანეთის გაგებით და თანაგრძნობით უნდა აიხსნას ის, რომ მელანიას შეუყვარდა ლევან. ეხლა მელანიასთვის ის წამი იყო ნეტარების წამი, როცა ლევანს უმზერდა. ეხლა იღარ ემუქრებოდა ის ლევანს, — „იმ გვარობა არ ითიქრო, თვარი დანით დევიკლავ თავსა“ ო. ლევან რომ გაგიქებულიყო და დანით მოენდომებია მელანიას დაკვლა, მელანია ყელს აჩერენდდა: „აჟა, დამკალი, თუ კი შენ გაამებ ამით“ ო. ლევან და მელანია სრულიადაც არ ფიქრობდნენ იმაზედ, თუ რა შედეგი უნდა ქონებოდა იმათ სიყვარულს. მხოლოდ, ხან-და-ხან მელანია კი ეტყოდა ლევანს: — „წევიყვანოთ ჩემი ლუკაი და საცხა გადვიკარქოთ“ ო. ლევანსაც უნდოდა მელანია საკუთარი მისი გამ-

ხთარიყო, თავისუფლად შესძლებოდა მასთან ტრუიალი,
მაგრამ კარგად იცოდა, რომ ამის მიღწევა შეუძლებელი
იყო მისთვის: ჯერე რომ ჯერან არ გადაჩრჩენდა ცეცუ-
ხალს ასეთი შეურაცყოფისთვის. ეს, ვთქვათ, კიდევ არა-
5 ფელი. ლევან კარგი ვაჟკაცური გულის და ლონის პატ-
რონი იყო და არ შეუშინდებოდა ამ დაბრკოლებას, მაგ-
რამ სასულიერო და საერო კანონები, ხალხისაგან ლან-
ძლვა-კიცხვა, ნათესავებისაგან წყრომა და სიძულვილი—
ესენი ყველა მათ დაუწყებდა დევნას. თუმცალა ლევან
10 ერთი უსწავლელი გლეხი იყო, მაგრამ ესენი მაინც კარ-
გად ესმოდა მას და ამიტომაც მელანიას ასე პასუხობ-
და:— „არა, ჩემო მელო, ასე ქურდულათ ვიყოთ, უკეთე-
სია, თვარა რომ გევიქცეთ, მოგვავნებენ, მთლათ მოგვა-
ცილებენ ერთქამეთს და მაშეინ რალაი!“ ო—ეს კი, ლევან-
15 მა გადასწყვიტა თავის გულში: „ცოლს არ შევირთავ,
რალამც მელანია შემიყვარდა“ ო.

ეინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ლევანსა და
მელანიას შორის ამ გვარი ცხოვრება, რომ ხეარამზეს და
მის ქალს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, ეჭვი არ აე-
20 ლოთ რძალზედ,— „ვინცხა უნდა უყვარდეს“ ო. ამ იქვის
მიზნებად გახდა ის გარემოება, რომ მელანიას ძლიერ შეუ-
ყვარდა ძროხის მოსალენად მარტო წასვლა.— „რაცხა კი
მიეგულება იქით, რომ ესე უხარია ამ ბოლოს ზროხიზა
სიარული“ ო,— ფიქრობდა ელისაბედ. ერთ დღეს, როცა მე-
25 ლანია ძროხების მოსალენად წავიდა, მულიც გაჰყვა უკინ
ჩუმად:

— რა ნახა დღეს იგი ჩემა დასაფსებმა თეალებმა!
რეზა არ დამიღვა თვალები იმის ნახვამდი!— შეილაპარა-
კა სახლში სახეგაფითრებულმა ელისაბედმა, როცა დაბ-
რუნდა.

— რა იქნა, ციცავ? მითხარი, რა ამბავია, თვარა აგრა
გამისკრა გული! — მიაგება თავის ქალს პირში ხვარამზემ,
რომელმაც დიდი მოუთმენელობა იცოდა ამისთანაობაზე.

— ელისაბედმა უამბო დედას, თუ როგორ ძსძნენ მათი
რძალი და ლევან ერთად ბუჩქნარში. 5

— მივარდნოდი და ფჩხილით დამეგლიჯა ორივე,
გული არ მიშლიდა, მარა იქინები ჩემი. ყოფნა რომ შიეტ-
ყვენ, ჩვენი გამბახებელი რძალი შინ აღარ მოვიდოდა,
მომკლავენო, საცხა გეიქცეოდა, და მაშვინ თლათ თავი
მოგვეჭრებოდა ქვეყანაში! — დააბოლოვა ელისაბედმა თა-
ვისი სიტყვა. 10

ხვარამზეს ისეთი თავზარი დასცა ამ ამბავმა, რომ
დიდხანს ვერ ახერხებდა ენის თქმას. როცა ცოტაოდ-
ნად დამშვიდდნენ, ხვარამზემ და მისმა ქალმა არჩიეს და
გადასწყვიტეს, რომ ეს გარემოება გააგებიონ ჯერანს. მაგრამ
ეს გაგებინებაც ძლიერ საშიშო საქმე იყო: ჯერან მოკლავდა
ცოლს და მაშინ ხომ სულ დაილუპებოდნენ. საჭირო იყო,
რომ ამ ამბის ჯერანთან გამხელის დროს, ორი-სამი მო-
კეუე და კაი მეზობელი დაესწროთ. ვინიცობაა, თუ ჯე-
რან ცოლის მოკვლას დააპირებდა, ესენი არ დაანებებ-
დნენ, ჩამოდგებოდნენ ცოლ-ქმარს შორის მოსაშვალედ,
შეარიგებდნენ და მერე, როცა ჯერანი სიტყვას დადებდა
არ მოკლავო, იცოდნენ, რომ აღარ უმტყუვნებდა თავის
სიტყვას. 15

მოსალამოვდა. მელანიამ შოდენა ძროხები და დაამ-
წყვდია „ქალტაში“, მერე მობრუნდა და დაუწყო სიყვა-
რულობა თავის ლუკას. მეტის მეტ კარგ გუნებაზე იყო.
იჭვადაც არ იცოდა, თუ რა ამბები ჰქონდათ მის გამო
მის დედამთილს და მულს. მართალია, ეს უკანასკნელები 20

ისე უყურებდნენ მას, თითქო შეჭმა უნდათ მისიო, მავრამ სიტყვით კი არას ეუბნებოდნენ და ამიტომ ვეჯ მხევდა მათი გამომეტყველების აზრს. ათ სულ უნახავისამათ სახეზედ ასეთი გამომეტყველება. მოვიდა ჯერანიც ყანიდან. ხეარამზემ გადაიარა და მოიყვანა სამი კაცი, რომლებსაც წინდაწინვე გაანდო, ასე და ასეა საქმეო. შიშის ერუანტელი უვლიდა ტანში როგორც ხეარამზეს, ისე მის ქალსაც. არ იცოდნენ, რით გათავდებოდა ეს საქმე. მაგრამ რა ექნათ? მათი ფიქრით, ისინი მოლალატენი შეიქნებოდნენ ჯერანის წინაშე, რომ არ გაემხილათ,—ცოლი გლალატობსო.

ხეარამზემ გაიხმო ჯერან გარედ და სახე გაფითრებულ-მა, ხმის ქანქალით გაუმხილა ყოველივე,—თუ როგორ ნახა ელისაბედმა მელანია და ლევან ერთად და სხვა. თო-
15 თონ მელანია ამ დროს პატარა სახლში იყო და ვახშამს ამზადებდა. ჯერანს ისეთი სახე დაედო, რომ იფიქრებ-დით—ცოფდება, ან ბნედა ემართებაო. ის ხმა ამოულებ-ლივ შევარდა სახლში, ჩამოილო თოფი და დააპირა გა-
20 რედ გავარდნა. მაგრამ მას ეცნენ ხელში განხრას ამ საქ- მისთვის მოწვეული მეზობლები და, როგორც იყო, აარ- თვეს თოფი. ჯერან ეხლა მივარდა დამბახას, იგდო ხელ-
ში, ერთი ლომივით დატრიალდა, შემოიცალა გარს ყვე-
ლა, მაგრამ კარებთან ხელ-ახლავ შებოჭეს. მხოლოდ ეს კი, რომ არ იქნა, დამბახა ვერ აართვეს ხელიდან.

25 — გამიშვიტ! გამიშვიტ!—გიერივით ყვიროდა ჯერან, მაგრამ მეზობლებს მაგრად ეჭირათ ხელში და ეუბნებოდნენ:

— გადირიე, ბიქო! თავს იღუპავ! შენსგამეტს არ დამართია ამისთანაი თუ? სიმბირში გაგაგზანიან! დედა და დაი მაინც ალარ გეცოდვება?

ამ ხმაურობაზე მოვიღნენ სხვა მეზობლებიც, რომლებ-
თაგან ზოგი ეხვეწებოდა ჯერანს, დაღუმდიო, ზოგი უწ-
ყრებოდა—„ჩვენც კაცი ვართ, დაგვიჯერე, თვარა ბაზ-
რით შეგვრავთ და ესე გამყოფებთ“ო; ზოგი უსახელებდა
მაგალითებს—ამა და ამ კაცებს დაემართა შენსავით, მა- 5
რა ცოლი არ მოუკლავსო.—ქალები კი მელანიას შემოე-
ხვივნენ და ერთ შავ დლეს აყენებდნენ:—„ცხენის ძუაზე
ჩამოსაკიდი ხარ, მიწაში უნდა ჩაძრო, რავა გაბედე ასე
ქვეყნის დაქცევა“ო და სხვა. მელანია კი ეგდო მიწაზედ
და ტიროდა. თავის გასამართლებლად კი ერთ სიტყვა- 10
საც ვერ ახერხებდა. უკანასკნელ, თან მოქანცულმა და
თან მეზობლების რჩევით გონჩე მოსულმა ჯერანმა გააგ-
დო დამბაჩა ხელიდან. ამის შემდეგ სამ დლეს თეკლე
კიდევ მალავდა მელანიას თავის ოჯახში. მეოთხე დლეს
მეზობლებმა ჩამოდგნენ მოსაშვალედ და შეარიგეს ჯე- 15
რანს ცოლი.

ამის შემდეგ წაიშალა ჯერანმა ხელი ცოლზე საცემ-
რად, დაავიწყდა, რომ ამბობდა: „ცოლს ვინც გალახავს,
იგი კაცათ არ მიხსენებია“ო. აიმიზეზებდა რაღაც უმნიშ-
ვნელო მიზეზს, მოავლებდა მელანიას თმაში ხელს, დას- 20
ცემდა მიწაზედ და ამოიყრიდა ჯავრს. ხვარამზე და მისი
ქალი ეცემოდნენ ჯერანს ხელში დასაკავებლად, მაგრამ
რას გახდებოდა ორი სუსტი ქალის ძალა გალომებულ
ვაჟქაცთან! ხან-და-ხან პატარა ლუკა იხსნიდა დედას ცემი-
დან: ის გააბამდა საშინელ ტირილს და კივილს, როცა დედას
მიწაზედ დაცემულს დაინახავდა. ჯერანსაც მოულებებოდა
გული შვილის ტირილით და დაეთხოვოდა მელანიას. მელანია
დანაშაულად გრძნობდა თავს და ამიტომ ემორ- 25
ჩილებოდა ქმრის სისასტიკეს. ფიქრადაც აღარ მოსვლია

- იმ შემთხვევის შემდეგ ქმრის სახლიდან გაქცევა. ამ კა და
სად უნდა წასულიყო? მისმა მშობლებმა როცა შეიტყვეს—
ჩვენ ქალს ქმრისათვის ულალატნიაო, წევევა-კრულებით ა-
მოეთხოვეს მას. მელანია ყოველთვის ტრამილს დაიწყებ-
5 და, როცა გაახსენდებოდა მამის სიტყვები:— „თავი მომ-
ვარი ამ სიბერის დღეს, მარა ჩემა თვალმა აღარ გნახოს
ამას იქით! შენ დღეის იქით აღარ გყავს არც დედ-მამა
და არც და-ძმები“ ო. მართალია, მელანია ძლიერ იშეია-
თად დადიოდა მშობლებას სახლში; ხან-და-ხან მამა თე
10 ინახულებდა თავის ქალს, თორემ სიდედრი, ცოლის დები
და ცოლის ძმები დათხოვნილი ჰყავდა ჯერანს თავის
სახლიდან. მაგრამ მელანიას მაინც დიდ იმედად მიაჩნდა
ისინი. ეხლა ყველა დაპჟარვა! ლევანის ნახვა ხომ იღარ
შეეძლო და არა მელანიას. ხვარამზე და მისი ქალი ეხლა
15 კარზე აღარ უშვებდნენ რძალს მარტოდ. თითონ ლევან-
საც ხომ ერთი შავი დღეი დააყენეს მშობლებმა: „რავ-
გაძელე ქალის შეყვარება“ ო; მერე მოუნახეს საცოლე და
თითქმის ძალად დააწერინეს ზედ ჯვარი. ამ უკანასკნელ-
მა გარემოებამ სულ მოლად მოხარშა მაინც მელანიას
20 გული. ის მოელოამებს ატარებდა ტირილით.
- არ გაუვლია ზემო აწერილი შემთხვევის შემდეგ ორ
თვეს, რომ მეორე თავზარ დამცემი შემთხვევა მოხდა ჯე-
რან ტევრიძის სახლში: ჯერანის ვაჟი, ლუკა, მოკვდა ყე-
ლის ტკივილით ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, „კი-
25 სერბატონებით“. ლუკას სიკვდილმა, რა თქმა უნდა, მო-
ლი ოჯახი მწარედ დააგლოვიარა. ხვარამზე დღე და ღა-
მით არ ისვენებდა ტირილისაგან; ელისაბედ ყოველ დღე
მოიტანდა ლუკას პერანგს, რომელიც თავის ხელით შეუ-
კერა და აყრიდა ზედ ცრემლებს; ჯერან ცოცხალ-მკედა-

რი დაღიოდა და ყოველ წამში ოხერით ამრიქანებდა: „ვაიმე, შვილო“ო. მაგრამ მელანიას მწუხარება სულ სხვა იყო. მელანიასთვის შვილის სიკვდილით მოისპო ყოველივე ნუგეში; ის ხშირად ეკითხებოდა თავის თავს მას შემდეგ: — „რალაიზა ვარ ცოცხალი? რეიზა არ გავხევი ჩემ ლუკას“ო. მართალია აიმედებდნენ, მეტადრე თეკლე — „ნუ გეშინია, ჯერ კიდევ ბალანაი ხარ, ასე ქვია, შეილსაც მიესრობი და ყოლიფერ სიკეთეს“ო, მაგრამ მელანიასთვის ეხლა ალარ ქონდა ამ სიტყვებს მანუგეშებელი ძალა; ცხოვრების უკულმართობამ ასწავლა მას ყოველივესთვის ეჭვის თვალით ემზირა. მთელი ოჯახი კი ისე უყურებდა მელანიას, თითქო ამ უკანასკნელს მოეკლას თავისი შეილი. — „შენმა ცოდვამ და ურჯულობამ დააჭირა ჩენი ოჯახი“ო, — ეუბნებოდა მას ხან მული და ხან დედამთილი. „შენ არ მოკტები, თვარა სხვაი ყველაი“ო, — რამდენჯელმე უთხრა ქმარმა. — „ვითამ რა დასაქცევი ყოფილა იი სიკეტილი! ვისაც არ უნდა, იმას კლავს და ჩემისთანა უბედურს არ ეკარება“ო, ფიქრაედა მელანია. სცადა, თითონ მოელო ბოლო თავის თავისთვის; ერთჯელ წყალში გადავარდნა დააპირა, მეორეჯელ დამბაჩით აპირებდა თავის მოკვლას, მაგრამ ვერ გაბედა ვერც ერთი.

იმ ღამეს, რომელიც ჩვენ ამ თავის დასაწყისში მოვიხსნიეთ, მელანია მეტის მეტად აიტანა შავმა ფიქრებმა, ის რამდენიმეჯელ წამოდგა ლოგინიდან რალაც განზრახვის სისრულეში მოსაყანად, მაგრამ ვერ გედავდა.

შეალამე გადავიდა. ქუხილი და ელვა მატულობდა. ბოლოს დაუშვა ზაფხულის მსხვილი წვიმა, რომელსაც საშინელი გრიალი გაქონდა ყავრით დახურულ სახლზედ. —

- „რა წვიმაა! — დაიწყო მელანიამ ფიქრი, — ამისთანაი წვიმა
რომ იქნებოდა, ჩემი ლუკაი მყითხავდა, ნენა ლაპა ითო,
ნეტაი თუ ვნახავ ჩემ ლუკას? ბალნები ანგელოზებში ურე-
ებია. მე ვინ მიმიშობს მასთან! იგიც კაია, შორიდან თუ
5 დევინახე. ვინ იცის, ეგება ტყულაი ვატყუებ თავს, აფე-
რი არაა! სტავლულებმა თურმე, — არააო. ეგება იმისთა-
ნაი ბნელი უფსკრულია, მე რომ იმ ღამეს მესიზმა, წახ-
გალ შით, წახვალ, ხელის მოსაკიდი არ გაქ და ფეხის!..
რას ვფიქრავ? თვითონ ვნახავ, რაც არის... შენ არ მოკ-
10 ტები და სხვაი ყველაიო!.. იგება დასტურ არ მოკტები!
არა, ცრუობაა, ყოლიყაცი მოკტება... სუ! მგონია მამალ-
მა იყივლა, თუ ტყულა მომეყურა? მალე, თვარა დამათენ-
და თავზე! ამელამ თუ არ იქნა, მერე აღარ იქნება... აა,
15 შენ გლახავ ჩემო თაო! ჩემს გამეტს არ უქნია თუ? ცო-
ფის წამალზე რომ ვქენი, ესე თვალები დაჭუპე, გააქანე
ხელი და გათავდა!.. იმისთანაი წვიმაა, რომ კაცი ვეფურს
გეიგონებს. მერე ქე გეიგონონ თუნდა, რა მენალება!
სიმთხილე კია საჭირო, სლვაზე არ დამინახოს. რას და-
20 მინახავს, სძინაეს!“ — ამ სიტყვებით მელანია ხელ-ახლავ
წამოდგა ლოგინიდან, სწრაფად მივიდა ქმრის თავსთუმალ-
თან, ფთხილად აიღო დამბაჩი და წამოილო თავის ზან-
დუკისკენ. ჯერანს ეძინა. — „ამით მიპირობდა ჩემი ქმარი
მოკვლას! ნეტაი მივეკალი“, — გაიფიქრა მელანიამ და
25 დაჯდა ლოგინზედ. რამდენიმე ხანს კიდევ მძიმედ იუ-
ჩათიქრებული, მერე ასწია თავი: — „ასე უნდა, მგონია“ო,
თქვა, შეაყენა ჩაბმახი ფეხზედ, — „აბა, მაშვინ რომ ვქენი,
ესე“ო, — ჩაილაპარაკა. და მიიდო დამბაჩი გულზედ. ზაგ-
რამ გააქრეოლა და ხელ-ახლავ ჩამოილო ხელი. ერთი-ორი
წამის შემდეგ ხელ-ახლავ მიიდო, დახუჭა თვალები და
სწრაფად მუსწია დამბაჩის ფეხი.

დამბაჩის ხმამ გააღვიძა ჯერან, რომელსაც ეგონა,
შეხი დაეცა სახლსო და გაღვიძების დროს დროულწოდებული
„აუ! დააქცია მეხმა სახლი!“ — წამოვარდნენ და გვინდოფან
ხვარამზე და ელისაბედიც, ამათაც ასე ეგონათ, მეხი მოხ-
ვდა სახლსო.

5

— რაიქნა ქიაფი? ¹⁾ — დაუწყო ჯერანმა ძებნა „სპიჩას“.

— რა ეიცი, თქვენ გქონდა იქინეთ, — გამოსხახა ელი-
საბედმა ძმას და შემდეგ გაჯავრებულმა, რომ მისი რძა-
ლი ხმას არ ილებს ასეთ დროს, დაატანა:

— დედაკაცო, რომ გატყვირე ახლა სული, შენ ვერ 10
მონახავ ქიაფს!

— აჩას სხუმის როის ჰქონდა ოჯახის დელდი, ახლა
რომ ექნება! სახლი კალამ დაგვექცა თავზე და აჩას ყუ-
რიც არ გულნძრევია! — თქვა მწყრომარედ ჯერანმა, რო-
მელმაც ამასობაში ნახა „სპიჩა“ და აანთო.

15

სინათლეზედ გამოჩნდა მელანია, რომელიც ზანდუკის
სიახლოეს დაცემულიყო იატაწე და გულიდან მოსდიო-
და სისხლი. მის სიახლოეს ეგდო დაცლილი დამბაჩა,
ოთახიში იდგა თოფის წამლის სუნი. ჯერანმა მორთო
ყვირილი. შემოვარდნენ ხმარამზე და ელისაბედ მეორე 20
ოთახიდან და რა ნახეს, მორთეს წიკილ-კივილი. დიდხანს
ყვიროდნენ და კიოღნენ. მაგრამ რაღგანაც საშინელი
წვიმა იყო, ამათი ხმა მეზობლებმა დილამდე ვერ გაი-
გონეს. როცა მეზობლები მოვიდნენ და ნახეს — მელა-
ნი ტყვიით არის შეკდარით, — მოილაპარაკეს ერთმანეთ-
ში: „აგი რომ დავმალოთ, სისხლის სამართალში მივეცი-
მენ“-ი. შეატყობინეს მამასახლისს. ამ უკანასკნელმა გაგ-
ზავნა რაპორტი, სადაც რიგი იყო. მოვიდნენ ექიმი და

1) ქიაფი — სპიჩა.

გამომძიებელი, შეამოწმეს მელანიას გვამი და მისცეს
ხალხს მისი დამარხევის ნება. ჯერან კი დაიტირა გამომ-
ძიებელმა და გაგზავნა სატუსალოში. — როკა დამტკიცდე-
ბა თითონ მოიკლა თავი და შენ არ მოგიქლავს, გაგათა-
5 ეისუფლებენო, — უთხრეს მას წაყვანის დროს.

გავიდთ ხანი. ჯერან ციმბირში გაგზავნეს, რადგანაც
ეერ დაამტკიცა, რომ მისმა ცოლმა თითონ მოიქლა თავი.
მეტადრე დიდი მნიშვნელობა იქონია ჯერანის საქმეში იმ
10 გარემოებამ, რომ ჯერან ერთ დროს უპირებდა თავის
ცოლს მოკვლას. ელისაბედს ხომ დიდი ხნიდან ეტყობო-
და ქლექის ნიშნები. ძმის დაკარგვამ სულ მოულო
ბოლო მის სიცოცხლეს. სამ წელს იყო ჭლექით ავად,
შემდეგ მოკვდა. ხეარამზე რამდენიმე თვეს მოსთქვამდა და
15 ტიროდა შეილებს. მერე დატოვა სახლ-კარი და სენაკში
დადგა. მხოლოდ ხან-და-ხან ჩამოვიდოდა დაყრუებულ
ოჯახში, თითო პირს იტირებდა და ხელ-ახლავ წავიდო-
და. ბოლოს საბრალო ჰქუიდან შეიშალა და ვისაც შეხვ-
დებოდა, ეხვეწებოდა — ჩემი ჯერანის საცოლოთ ერთი კაი
20 ქალი გამომირჩიეო. კარგა ხანს იყო ამ ყოფაში და ბო-
ლოს ეშველა — მოკვდა.

უპატრონოდ დარჩენილი ჯერანის ოჯახი გაინაწილეს
ჯერანის ახლო ნათესავებმა. წაიღეს ბელელი, „ნალია“,
პატარა სახლი და სხვა, რაც კი რამ მოიხმარებოდა. მხო-
25 ლოდ „ოდას“ კი არავინ ჰქიდებდა ხელს, რადგანაც ჭლე-
ჭიანი, ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, ხელიანი მოკვ-
და შიდ. გაყიდვა უნდოდათ, მაგრამ მუშტარი არ გამო-
ჩნდა. ამიტომაც აღვილზედვე ლპებოდა ეს კოპწია, ორ-

ოთახიანი სახლი. ჯერანის ნათესავებთ შოროს საცელოდა დამხდარი ეზო კი გავერანდა.

აი, ეს გახლავს, ჩემო მკითხველო, იმ პარტახის ისტორია, რომლის სურათი ამ მოთხოვობის დასაწყისში შევხდათ.

10 დეკემბერს 1892 წ.

ქ. თბილისი



۳۹۶۰۳۳۶۰۸۰

შენიშვნები ეხება უმთავრესად აეტორის მიერეთ შეტანილ შესწორებებს. მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, სხვის (ან სხვათა) მიერ შეტანილი შესწორებანი უფრაზღვოლადა დატოვებული; მაგ. აეტორს ყველგან თავის სიტყვაში (ჟ. ი. იმ „ადგილების გარდა, საღაც მოქმედ პირებს გურულ კილოზე ალაპარაკებს) უწერია „ეხლა“, მაგრამ ვიღაც რედაქტორი მუდმივ „ახლა“-დ უსწორებს; ეგნატეს სალიტერატურო ენას ახასიათებს „ნენგ“ დაბოლოების ხმარება ზმინის მრავლობითს ფორმაში (იქნებოდენ, აშენინებდნენ, გაიბუტებოდნენ და მისთ.), ვიღაც ყოველთვის წინა ნარს უშლის და „ენ-“-დ ჟეკონებს (იქნებოდენ, აშენინებდენ, გაიბუტებოდენ და მისთ.); აეტორი მესამე ობიექტური პირის ნიშანს სანს ხშირად ხმარობს, (მოწონდა, სკომისო, ჩაძირებოდა, შეძლებოდა, გადასწყვიტა და მისთ.), მაგრამ ვიღაც ამ ნიშანს ბევრგან უშლის (მოწონდა, ცემისო, ჩაძირებოდა, შეძლებოდა, გადასწყვიტა და მისთ.); აეტორი თითქმის ყველგან „ზედ“ თანდებულს ხმარობს (ბალკონზედ, სახეზედ, თავზედ, რძალზედ და მისთ.) რედაქტორის კალამს დონები წაუშლია (ბალკონზე, სახეზე, თავზე, რძალზე და მისთ.); მიმართულებითს ბრუნვაში აეტორის ენაში დ იცის (ხშირად, ჩუმად, სასტიკად, ერთად და სხვ.), რედაქტორი კი თანად უსწორებს (ხშირათ, ჩუმათ, სასტიკათ, ერთათ და მისთ.). რედაქტორი შექხებია არა მარტო ეგნ. ნიმუშების სალიტერატურო ენას, არამედ აქა-იქ მისი გმირების გულებულ კილოსაც, მაგრამ ასეთ შესწორებათა პლიტსხევა „საკიროდ არ დავინახეთ. ამ გამოცემაში სასოფელოდ აღდგენილია და დაცული ეგნ. ნიმუშების ორთოგრაფია.

პირვანდელი რედაქცია ავტორის ნაწერისა აღნიშნულია A ნიშნით; მაგ. ასე: „ამ ლაპარაკზე) პირველის ლაპარაკზე A“, ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორს ჯერ დაუწერია „პირველის ლაპარაკზე“ და შემდეგ გადაუსწორებია: „ამ ლაპარაკზე“; სხვა მაგალითი: „მოემზადებიათ) დაქვედრებით A“.

ეს ამას ნიშნავს: ეგო. ნინოშეილს პირველად დაუწერებულ ეცილებული ხელდღებით", შემდეგ კი გადაუსწორებია.

ამას გარდა: + (პლუსი) ნიშნავს: „უმატებოდ, ჩაგალ. დასწეველე" A+ იმ დღესთან, ეს ამას ნიშნავს: პირველდღელ ნაწერში „დასწეველე" სიტყვის შემდეგ იყითხება კიდევ „იმ დღესთან", რომელიც შემდეგ აეტორს წაუშლია.

ადგილების მოყვანისას ციფრები აღნიშნავს: პირველი გვერდს და მეორე სტრიქონს.


- 1, 10 მობარდულა.) დედანშია: „მობარულა", რედაქტორს შეესწორებია; ჩეკიც ვასწორებთ.
- 2, 14 დასწეველე,) A+ იმ დღესთან.
- , 15 პირველს) ხმელხმელს A.
- , 16 ამ ლაპარაკე) პირველის ლაპარაკე A.
- , 17 პირველი ქალის მაბლობლად.) პირველის მაბლობლად A.
- , 23 ქვესკრელში) A+ რომ.
- 3, 18 ქალმა) დაარჩ A.
- , 25 აფურტნი) დედანში შეცოომით „აფურტი" სწერია. ეიღო რედაქტორს მის ნაცვლად „აუფურტე" დაუწერია. ჩეკის გამოცემაში გასწორებულია გურული კილოს ფორმის მიხედვით.
- 4, 2 მეორემ.) A+ პირველ ქალს.
- , 6 მოხუცმა) A+ ქალმა.
- , 12 მოემზადებიათ.) დაეხვედრებიათ A.
- , 14 ფიზიკური) დედანში „ფიზიკური" იყითხება; ვიღაცას გაუსწორებია.
- , 22 მტყუანი) მტყუანი A.
- 5, 1 და,) A+ კარგ.
- 6, 1 და სხვა) A+ ამ გვარ.
- , 9 ბედმა) დედმამამ A.
- , 19 ამასთან) A+ უნდა.
- , 20 დად) დედანში ასე სწერია, მაგრამ ცოტა ეჭვი კი არის, რომ ა აეტორს ეკუთვნოდეს; თანაბმა) ჭირ A+ ამაზედ.

- , 27 დამდურდებოდნენ,) ხმას აღარ ელამარტვებოდენ კანო
მანეთს A.
- , 29 რამელიმე) ერთი A.
- , 11 ბედნიერი) ბედნიერება A.
- , 20 გათხოვება) გათხოვების საქმე A.
- , 26 იყო,) A+ ელისაბედ.
- 8, 1 რადგანაც) A+ გამხელას.
- 9, 10 შევირთო!) A+ დაამშეიღებ.
- 10, 3 თუ რამე ურიგობას ნახავდა) თუ რამეს ურიგოდ და-
უნახავდა A.
- , 4 ყოველიერში) ამასთან A.
- 11, 24 ათხონიერ) დედანში იქითხება „ათხოებიერ“, მაგრამ
ვინი სხვისი ჩამატებული ჩანს.
- 12, 21 ხვარამზეს.) თავის მულს A.
- 13, 6 უჭერეტდა) A+ ლიზას.
- , 20 ლიზამ,) A+ მერე.
- , 23 წავალ) შემდეგ წაშლილია შუთი სიტყვა ისე, რომ აღარა-
ცერი იკითხება.
- 14, 2 ხვარამზემ.) A+ რომელსაც.
- , 26 —მერე.) ავტორს მშოლოდ „მე“ უწერია. ფანჯრით, სხვა
ხელით, მიწერილია „რე“. ჩემიც „მერე“ გავუშეით.
- 15, 7 იმდონი ქალი დაგვისახელეს) ხომ ამდენი ხანია გეი-
ჩივიან A.
- , 8 ვინმეს,) A+ რავაც.
- , 25 პაკა) A+ მშრალად.
- 16, 12 კოვზი,) კოვზით A.
- , 23 სხვა დროს) A+ საკმელს.
- , 29 სადაც) A+ იყო.
- 17, 18 ჩემა) პირვანდელი დაწერილი „ჩემმა“ა, შემდეგ ერთი-
მანი გადაშლილია. ჩემმა სხვა ანალოგიურ შემთხვევათა
მსგავსად „ჩემა“ დავტოვეთ.
- , 29 ქიდევ უნდა ეთქვა) ეს სამი სიტყვა ორჯერ დაუწე-
რია. ერთი მათგანი წაშლილია.
- 18, 4 სიძე და მისი მხლებელი) მხლებლებითურთ A.
- , 7 ძველ სახლს, ძველ ბელელს, ძველ „ნალიას“ და პატარა
შენობების, მაგალითად საძრობის და მისთანების გარდა კ

- ვერ დაუწერია: „ძევლ საპლა, ძევლ ბელოსა და ძევლ „ნალიას“ გარდა და პატარა შემობების, მაგალითად საძრობის და მისთანების გარდა“, მაგრამ პერველურ ფრაზუ „და“ წაუშლია და ამიტომ მიერიც შეუსაბამისად აკარდას“ დაუკავშირდა მიცემითი ბრძენებულება და ნათე- საობითიც.
- , 10 ასე) A+ თუ.
- , 14 არ გაუვლია ამის შემდეგ რამდენიმე წამს,) ცოტა ჩანს შეიგნით A.
- 19, 6 დაუმატა:) A+ რომ.
- , 9 ელისაბედ) შეცოორით დაუწერია „მელანია“, შემდეგ გადაუსწორებია.
- , 18 გაუწყლეს) პირველად დაუწერია: გაუწყრეს (ლიტერატ. ქორმით), მაგრამ შემდეგ რ კი გადაუსწორებია ლასად, მაგრამ ზმინისწინი გა- ხელუხლებელი დაუტოვებია (შერ. „ხომ არ გუუწყლა ღმერთი“ 18,23).
- , 21 მიღალატა,) მიღალატეთ A.
- , 27 ძლიეს) დედანშია „ძლიეს“.
- 20, 16 გულმოკლულად) გულმოკლულსაერთ A.
- , 24 დამალავდენ) დედანში იკითხება „დამალავდენი“ ჩეენ აქ პირველი ნარი ამოვშალეთ სხვა ანალოგიურ შემთხვევა- თა მსგავსად. ეგნ. ნინოშეილი როცა გურულ კილო გადმოსცემს ასეთ შემთხვევაში ყოველთვის „დენ“ს წერს და არა „დნენ“ს.
- , 25 მერე) A+ რაით.
- , 26 არ უუთავდება!) A+ არა ექნა ახლა.
- 21, 13 მიერიდა:) A+ რომ.
- , 21 დღეს) A+ არც.
- , 23 დავხთებით) დედანშია „დავხთები“.
- , 26 სარგებლობს) ეს სიტყვა ორჯერ დაუწერია და ერთი წაუშლია.
- 22, 2 მონახავენ) მოუნახავენ A.
- , 2 ვაერიშეილისთვის) დედანშია „ვაერიშეილსთვის“.
- , 5 ამას) ამ ამბავს A.
- , 5 მართალია,) წინ წაშლილია: ეს ასე მომდ...
- , 9 მიზანს.) შემდეგ წაშლილია: აეხლა წარმოიღვინეთ“, რო-

- შელსაც თავზე აწერია: „ამის შემდეგ“ და ისიც და-
ლილია.
- , 21 „ქალჯანმა) A+ ქარვა. უკროცხადი
—, 28 ინსტიკტურად) დედანშია „ინსტიკტურად“ ქადაგი და-
გაუსწორებია.
- , 29 თავის მხრით) დედანშია: „თავის მხრი“. სხვა ასეთ გამო-
თქმათა მიხედვით დაუუძინა ტექ თანი.
- 23, 1 ეჩერია.) A+ ის.
- , 16 ყოველივე) A+ ესე.
- , 16 ისეთი) რაღაც A.
- , 23 ზალიკას) თავის A.
- , 26 უთხრა) ჰერთხა A.
- 24, 22 ბოლოს და ბოლოს) დედანშია: „ბოლო და ბოლოს“ ჩვენ
გაესწორეთ.
- , 24 შისი გათხოვების დაგვიანება) ჯერანის დაგვიანება A.
- , 27 ისიც,) A+ რომ.
- 25, 1 გამომეტყველება,) სახე A.
- , 2 ამასთან,) A+ როგორც ზევით.
- 26, 10 აწი) A+ ჩვენ.
- , 18 ორი დღის განმავლობაში ამის შემდეგ) იმ დღეს და მე-
ორე დღეს A.
- , 23 ისეთი ქალი,) უფალადო ქალი A.
- , 24 თითქმის მახინჯი იყო) ძლიერ ულამაზო იყო A.
- , 25 მაგრამ) A+ პირველი.
- 27, 8 შეართვით) მოაყვანით A.
- , 8 ყველას) ამათ A.
- , 16 გადაწყვეტა,) ამის შემდეგ წაშლილია, შეიძლება თვით
ავტორის მიერ, სამი სტრიქონი: ჟერანმა გაიგო ზალიკაი
სხვაზე ათხოვს ქალსო „რავა, ჩემი ნიშანი ხელზე აქ და
ახლა სხვაზე თხოვდება! აღარ ზდომებიან თავი ცოცხალი“
თქვა ამ გარემოებით შეურაცხყოფილმა ჯერანმა“, მაგრამ
ეს ადგილი ჩვენ არ შევიტანეთ ტექსტში, ვინაიდან ვიმიმ
ადგილი, მცირეოდენი ცვლილებით, 28 გვერდზე შეორ-
დება.
- , 23 შეექნათ) დედანშია: „შეექნათ“. ვინი ამოუშლიათ.
- , 24 მარტო) A+ მარტოს.

- , 27 უიქრობდა) დედანშია „უიქროდა“.
—, 29 უმხელდა) A+ ნიკა ამის შესახებ, თავის გამირავდას.
28, 9 პირი მაქ,) A+ სიტყვა. სირიულები
—, 14 ნდომებიან) ზდომებიან A (შესწორება უშესულებელი უცნობის არ ეკუთვნოდეს, მით უმეტეს, ორმ ბოლოკიდური ნ თანა
არის აგრეთვე შეცვლილი: „ნდომებიათ“ პირვანდელი
„ზდომებიან“ ფორმის ნაცვლად).
29, 8 თამარამ) A+ შეწელა.
—, 19 მიოტყტა) დედანში „მეიტყტა“ წერებულა „მოტყტა“-დ იყო
შემდეგაა გადასწორებული, შეიძლება არა აეტორის მიერ.
30, 5 მოტყტებულა“-ი A+ უზურისულებდენ ერთმანეთს ყურში.
—, 26 ის დარწმუნებული იყო) ის კრილობა, რომლასაც A.
31, 3 მზითეს) დედანში „მზითეს“ იყითხება, მავრამ აქ ეძი
სხვახელითაა ჩამატებული.
—, 19 მიაგნო, რავაც იყო ამ ბზის უნახავის!) პირველად ყოფილა
„მიაგნო, რავაც იყო ავთ ბზის უნახავი!“ შემდეგ გადასწო-
რებულია, შეიძლება არა აეტორის მიერ.
31, 19 მიუგებდა) ეტყოდა A.
32, 3 შემდეგ) ამის შემდეგ A.
33, 10 მამა) დედა A.
—, 13 ერთი) A+ ნაკერი.
—, 21 აბა) წინ წაშლილი: არა.
—, 27 რაღაიზა) დედანშია (მომდევნო სიტყვის დასაწყისი ეძის
გავლენით): რაღაიზე.
34, 9 მაინც) A+ ვთქვი.
—, 17 გლოვიარეთ) ჯერ დაუწერია „მგლოვიარეთ“ და შემდეგ
მანი წაშლია.
—, 25 ელისაბედმა) A+ ამაზე მეტი.
35, 3 ადგა) A+ ზეზე.
—, 13 ელისაბედმა) მელანიამ A.
—, 25 მელანია ეხლა უკვირდებოდა თავის ცხოვრებას და ხედავ-
და,) გაიარა_ მელანიას ასაკმოყვანილობის ხანამ და ის
ეხლა A.
36, 12 უთვალთვალებდა მას) A+ ყოველივე.
—, 13 კეთებაზე,) A+ ყოველივე ტეხის გადადგმაზე.
—, 14 სხვაი-სხვაია და) სხვა სიკეთეს გარდა A.



- , 20 ქხლა) ოოცა A.
 —, 28 დედას.) დებამისს A.
 37, 20 —უთხრა) ჰეითხა A.
 —, 22 გვითხავ) დეუანში შეცოომით „გვითხა“ შეცოომით „გვითხა“
 —, 26 თურმე მტერათ გვიყურებს!) თურმე მტერათ არ გვიყუ-
 რებს! A. („არ“ წამლილია).
 38, 2 ამისთანა) წინ წამლილია: აბა.
 —, 3 ელისაბერძია.) მელანიამ A.
 —, 4 ოძალმა) მულმა A.
 —, 4 მწარე) მკვანე A.
 —, 9 ორმელიც დროთ გამზადლობაში უფრო და უფრო) რაც
 ღრო გაფილდა, მით უფრო A.
 —, 13 არ იყო) A + ბოლო დროს.
 —, 16 მის ოჯახში ქალების დავას და უთანხმოებას) ოძალსა
 და დედამთილ მულს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას A.
 39, 3 იმგვარსავე) აგრეთვე A.
 —, 4 ჯერან.) A + და ამათი.
 —, 4 აუამიანი) A + ჯერან.
 —, 7 ზემოთქმულს გარდა) ამას გარდა A.
 40, 2 სასესხებლად) დედანში იყითხება: სასესხებლად.
 —, 3 ვერ გაიწყო ხელი.) ვერ გაუწყო სიმამრმა სიძეს ხელი A.
 —, 18 დაიწყო ქალიშვილისას სიარული.) დადგოთდა მათ სანა-
 ხავად ოჯახში A.
 —, 19 მარა) A + ვგება.
 —, 19 სწერენ) დედანში იყითხება: „სწერენ“ ყარი სხვა ხელითაა
 ჩამატებული.
 —, 29 ამბობდა) A + მაზე ჯერან.
 41, 5 ოჯახა ორი წლის,) A + კაცი.
 —, 5 კარგი) დედანში იყითხება: კარგირჩი.
 —, 25 გათხოვების) A + საქმეს.
 —, 27 ღებულობდა) ღებულებდა A.
 —, 28 რომ) A + მონაწილება.
 —, 29 ურცხობა-თავაშევებულობაში) ხომ ურცხობაში და
 თავაშევებულობაში A.
 42, 2 თავისებურ) თავისუუალ A.
 —, 10 დედას) შემდეგ წამლილია ორი სიტყვა: თკულეს მიმართ.

- , 16 თვალადობა) შეხედულება A.
 —, 20 აულია) აუტანია A.
 —, 23 სუსანია კოწიასთან) კოწიეთ სუსანისთან ჩარიცხული
 —, 24 დავითანმო,) დავითოლით A. 
43, 1 შესწამეს) დასწამეს A.
 —, 7 ხვარამსე) ღედანში შეცოლმით აქტოვებან⁴ სწერია. ერთ-
 კას გადაუსწორებია.
 —, 9 მეიყვანა!) A + საქმეს.
 —, 12 მევიყვანდი) მოვიტყოვდი A.
 —, 14 შემრთეს,) A + ცოლი.
 —, 25 ეპემა) A + ამის შემზებ.
44, 7 მიკითხავის) A + სიტყვებს.
 —, 8 არიანო) ყოფილაო A.
 —, 9 დაეფარა) A + მელანია.
 —, 14 ამნაირად) წინ წაშლილია გამოისტუმრა ხვარამსე.
 —, 25 იმეორებდონენ) უმეორებდონენ A.
45, 8 სწამებდა) სწამებდონენ A.
 —, 16 თავის თავხე:) A + ცხადათ არა.
 —, 18 სული) A + რამე ცუდ.
 —, 18 ასაქმებას⁴თ) ამოქმედებას⁴თ A.
 —, 21 იმ ღამიდან) ამ დღიდან A.
 —, 22 იქვიანობდა თავის თავხე.) A + ვინ იცის ეგება.
46, 6 უკან) გვერდში A.
 —, 8 რომ გეიქე,) A + ან გეიპარო.
 —, 17 პურპელს და სხვა ავეჯს, რაც მოხედვებოდა) რაც კი
 რამ მოხედვებოდა ხელში A.
 —, 18 ფიქრობდა მელანია:) A + მაზედ.
 —, 20 კი არ იქერდა თავის ცოლს,) A + კი არ უკრძალავდა
 სხვაგან წასელას.
 —, 23 „მავნე სულია“თ.) A + მაგრამ თუ იპერდა და.
 —, 24 არ აძლევდა ცოლს წასელის ნებას:) A + არ აძლევდა,
 რომ გულშევა.
 —, 27 ქვეყანა) ჯერ დაუწერია: „აქვეყანაი“ და შემზებ ინი
 წაუშლია.
47, 6 რა უნდა ექნათ!) ეს სიტყვები ღედანში წაშლილია, თა-
 ქეო უფრო ავტორის მიერ.

- 48, 2 ამ კითხებშე) დედანში შეცოომით „ამ მეითხვებშე“ იქრის-
ხება. მანი აქ ვიღაცას წაუშლია.
- , 23 დიდგანის იყო მელანია დაფიქტებული. ბოლოს/დაჭრის შემთვევაში ის
რეალი ფუთა ლოგინშე და თქვა:— „არა, მე წამოსავ ქადაგის შემთვევაში კი
ზამ“. მას გაარსენდა თავისი) მიწაში რომ ჩაეძერო ჩემი
ქმარი იქიდან ამომიყვანო უიმედოდ თქვა მელანიამ, რამ-
დენიმე წამის შემთვევაში და დადო მოყრული ფუთა ლო-
გინშე A.
- 49, 17 გაახსენდა) A + მელანიას.
- , 26 მოემხადა) A + მისატოვებულად.
- 50, 1 მელანიამ,) A + კითხმდა.
- , 9 დაუსავდა) ჯერ თითქოს „დაუსავდა“ დაუწერია, მერე
„დაუსავსავდა“ დ გაუსწორებია, ბოლოს ესეც წაუშლია და
ახლად დაუწერია „დაუსავსავდა“. ჩეენ „დაუსავდა“ გავუმ-
ვით, ვინაიდან ეს სიტყვა ამ ფორმით გვხედება.
- , 27 „დატი, დატი) ორსავე შემთხვევაში ვიღაცას ანები ჩაუ-
მატებია და „დატი, დატი“ გამოსულა. ჩეენ დედის წი-
ხედვით გაეცემოთ.
- 51, 13 ისევ ისე) დედანში იკითხება: ისევ ისევ.
- , 14 პაწია ვაეს.) ლუკას A.
- 52, 1 მას,) A + როგორც შეიღლი დედას.
- , 6 ცოტა არ იყოს,) დედანში იკითხება: „ცოტა არ იყო“
სანი სხვა ხელითაა მიწერილი.
- , 11 სიარულს,) A + და აკრძალვით კი A.
- , 18 რვების) A + სრული.
- , 27 ვუშეელი-მეთქინ) A + უპასუხა მელანიამ.
- 53, 1 კიღამ) ხელნაწერში ცველგან „კაღამ“ იკითხება (პაგ.
52,29; 53,2 და სხვა.), მაგრამ აქ გარკვევით „კაღამ“ დაუ-
წერია, რომელიც რედაქტორს „კაღამა“ დ გადაუკეთებია.
- 54, 9 გონია) ხელნაწერში „გონია“ იკითხება, მაგრამ პირველი
განი სხვა ხელითაა მიმატებული.
- 55, 18 სიზმარში) A + ხანდახან.
- 56, 22 გუშიღამ) უწინახე A.
- , 23 კიდავ:) ბოლოში გარკვევით იკითხება „ე“, მაგრამ ვიღა-
ცას წაუშლია ორი ასო დაწერინა ხმოვანი (ალბათ ანი) აღარ
ჩანს. გადასწორებულად „კიდო“ იკითხება.

- 57, 18 აბა.) წინ წაშლილია: მეტი.
- 58, 5 „მჯდომარე არ დამინახოს“,) „ეოვაზე არ ფართო ჩასას“ ა.
- 59, 3 ლურჯ-მუქის ურად) მოსალოდნელია უკანას სამართლის ურად“, მაგრამ დედანში გარევევით მართლია დაცას შეუსწორებია: მწევანე მუქის უკან.
- , 17, ძროხები) პირეველად წერტებულა „ძროხებია“, მაგრამ უკან დედ პირეველი ასო ჟენად არის გადასწორებული, შეიძლება თვით ეგნატეს მიერაც (შდრ. ზროხისა 64,23).
- , 27 მაინც) დედანში იყითხება ,მაინ“.
- , 29 გამუა) A+ კაცი.
- 60, 12 ესთე,) ჯერ დაუშერია „ესთეი“ და შემსრედ ინი წაუშლა.
- , 21 იმასთან) დედანშია; იმისთან.
- 61, 27 იმ დღინზელი) პირეველი A.
- 62, 6 ადამიანი.) A+ მიტხვდავად ყოველივე ამ გარემოებისა.
- , 9 ჩეულებრივს) A+ კარგა.
- , 27 სიტყვას:) სიტყვებს A.
- 63, 16 გაეგებოდათ) იმის გარდა, რომ არ ესმოდათ A.
- , 25 ლევან და მელანია) შეყვარებულები A.
- , 28 გადვიდარქოს“ი) A+ მაგრამ ლევან დალომდებოდა ამ სიტყვებზე, მართალია,
- 64, 4 ეს, ვთქათ, კიდევ) კარგი თუნდა A,
- , 8 წყრომა) ჭედანშია „წრომა“, ჟარი სხვა ხელითაა ჩამოატებული.
- , 13 მთლათ) მართალია, ხელნაწერში ასე იყითხება, მაგრამ მ სხვა პირის მიერ უნდა იყოს ჩამატებული.
- , 23 ამ ბოლოს) დედანშია „ამ ბოლო“.
- , 24 ელისაბედ.) დედანში შეცოომით „მელანია“ სწერია. რედაქტორის გაუსწორებია.
- , 25 უკინ) დედანში ასეა. კი უაცას ინი ანად გადასტურებია.
- 65, 4 უამბო დედას,) A+ ყოველივე რაც ნახა.
- , 9 თლათ) ამ სიტყვის წინ სხვა პირის მიერ მ არის დართული.
- 67, 13 ამის შემდევ) წინ წაშლილია: თუმცალა კი.
- , 16 შეარიგეს ჯერანს ცოლი.) A+ დაადობიერს სიტყვა.
- 69, 16 „ვითამ რა) მართალია, A.
- 70, 21 ფთხალად) ჩუმად A.

- , 24 ლოგინშედ.) ლოგინთან A.
 71, 3 აუ,) შემდევში გადასტორებით: „ავ“. რემ, გადასტორებით
 ბელი სხვა პირი უნდა იყოს და არა „ავტორი“ [ქს] წერს კა
 წაშლის მანერისა და ვინის მოხაზულობისგან.
 —, 6 ორიქნა) პირველი ანი ენად არის გადასტორებული, თით-
 ქო უფრო არა ავტორის მიერ.
 —, 21 რა ნახეს,) შემდევ წაშლილია : ამათაც.
 72, 9 მინშვენელობა იქონია) შემდევ წაშლილია: საქმის ჩეკინება.
 —, 10 ერთ დროს) A+ თითონ.
 —, 13 სამ წელს იყო გლეხით ავად,) სამი წლის ავადმყოფო-
 ბის A.
 —, 14 მოკვდა.) გარდაიცვალა A.

ლ მ ს ი პ ი ნ 6 0

პ

- ა. კითხევითი ნაწილაკია: „—რაა, ქალიჯან, რაჟერი ზარ, ა!“ 13,19.
 ა კინობითი ნაწილაკია: მატარა ფიცრულ-ა სახლი 5,6; ეჭისა-
 ბედ-ა-ვ 26,7.
 აბა 10,15; 33,21; 38,1 მაშ·
 აბადია გააჩინია. „მაინც არა აბადია რა“ 5,26.
 აბუსტურება 6. ბეჟურული.
 აგდება თავისა, გდება თავისა ნ. თაეისგვება.
 აგენ 1. აქ. 2. აი
 „ჯერ ვერ გეტუვი ნამდევის აგერ-შინ მიგალ, მევიდიქრებ
 და შეგატყობიერ“ 23,28; „აგერ გეიზჟება ჩემი ლუკაი და მეტე
 ტეპილათ ვიცხოვერებ“, 51,6.
 აგი 3,16; 11,20; 29,5 ეს. „აგი ინი ს გულს“ 36,19 ამათ გულს.
 ავი 1. ცუდი: „ავათ მოპყრობასაც ვეღარაეინ გამიბედაც“ 51,7.
 2. 6. სიავე.
 ავი სელიერი (ავი სერიელი) 54,1 ავი სული; გადატანით: ავი
 ადამიანი. საწინააღმდევოა: კაი სულიერი (ჩ.).
 ავ-ცეზი 39,22; 39,12 ცუდი ფეხის ადამიანი, რომელის მოსელასაც
 ოჯახში, ხალნის რწმენით, რაიმე უბედურება მოჰყება.
 ათავება ქმარება, ყოვნა: „ჩემი ოჯახი არ უცთავდება!“ 20,26
 ჩემი ოჯახი არ ეყოფა (გადასახადში).



- ა 4,5; 10,2; 29,5 და სხვ. (დაგი) ქს.
 აკაციება 6. კაციება.
 აკითხებდა 6. კითხება.
 ამას იქნი 6. იქნით.
 ამასობაში 4,10, 27,29 და სხვ. ამ ხრის განმავლობაში.
 ამება სიამონება უისიმე: „თუ კი შენ გაამებ ამითო“ 63,24.
 ამისა 6.-იზა.
 ამელიგლეჯ 37,19 ამოელიგლეჯ.
 ამელამ 11,27; 70,13 ამილამ.
 ამისთანათ 25,12; 45,11 და სხვ. ასეთი.
 ამოგება უკანე მიღება, დარჩენა: „ცხენებს მერე საჩიქრით ამოგა-
 გებთო“ 21,12.
 ამორთმოვა (გულისა) 45,12 ამორთმევა, ამორთობა: ამული ამურ-
 თვათ“ 45,11.
 ამოლება (ენისა) ამოლება ხმისა, გალება ხმისა. „ეგდე! არ ამოლი
 ენა, თვარა!“ 45,26 არ გაიღო ხმა, თორემ!
 ამოხთა (სულისა) ამოხდა. „სულს ამოგებთი“ 33,15 სულს
 ამოგებდი.
 ამპარტოვანა 8,19 ამპარტავანი.
 ანჩხლი 36,23 კაპასი 6. ანჩხლობა.
 ანჩხლობა 9,8 კაპასობა.
 არაფელი 64,4 არაფერი,
 არაფერამდი არ, აფერამდი არ 3,23 არასგნით არ, არაფერით არ.
 არცეთი 30,15 არცერთი.
 არჩივი 61,12, არშივი, ხევდრი, წილი.
 ახეთ ასეთი; ასეია ჩევნი რჯული 53,20 (საღაც შეცდომით ასეთ-
 იკითხება).
 აუ 71,3 შორისდებული.
 აური 32,28; 50,24 და სხვ. არაფერი; აფერათ 50,10 არაურად.
 აურინა 28,17 სასწრაფოდ გაგზავნა, გააურინა.
 აურური 6. ფურტნა.
 აუხანაგი 48,14 ამხანაგი.
 აქ 6,18; 40,10; 40,23 და სხვ. აქვს.
 აქანათ 2,27; 31,18; 35,11 აქ.
 აღაფერი 56,8 აღარაფერი.
 აღმა ზევით: „იპრუწავდენ ტუჩებს აღმა“ 30,4.

აძალლება ძალლსავით გაბოროტება, გაბრაზება: „ამ სიბრძნის დარღვეული არ ამაძალლოს თვარა!“ 17,28.

აფი 11,24; 24,14; 26,10 და სხვ. 1. ამის შემდეგ, აშში დარღვეული 2. ნეტა, აბა: „ღმერთო, სა წევიდე ა წი!“ 2,27.

ახლო 6. სიახლოებებს.

აჯანყება ამბოხება: „ორჯერ ა უჯანყა თავის ბატონს შინა- ყმები“ 10,27.

ბ

ბაბაი მამა, „ბაბაი“ იხმარება საკუთარ მამაზე: „ვამიშეი ბაბას თან, მასთან ვიქმებით“ 45,25; „ჩემ პირობაში ბაბას, წენას ჩემ დებს და მებს მოკლავს“ 49,15. საერთოდ კი მამა იხმარება. მაგ.: მამა შეინი, მამა მისი და სხვ. შედრ, ნენათ.

ბაბილი 10,15; 28,26 (ბაბა' დან 6.) მამი და 10 15,16 მამილა (შედრ მამილაშენს 29,18).

ბაზ 6. აბალია.

ბალკო ნი 47,13; 47,17 აიგანი.

ბარდი 6. მობარდვა.

ბალანი 1. ბაგშეი. 2. გადატანით: ახალგაზრდა. მაგ. იტყვებან: „ბალანი ქალიაო“ ახალგაზრდა ქალიაო; „ჯერ კიდევ ბალა- ნი ხარ“ 55,6; 69,7 ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ.

ბალობა 55,12 ბაგშეობა.

ბაწარი 2,26; 67,3 თოკი.

ბას 6. გაბაზება.

ბედაური ჯიშიანი, კარგი ცტერი: „მარტო ზანტური ღირს ერთ ბე- დაურ ცტერათ“ 31,5.

ბედნიერობა 55,7 ბედნიერება.

ბერძალლი 40,9 ბებერი ძალლი (სალანძლავი სიტყვაა).

ბერევანი 31,4 ბენირვანი, შექლებული, მჭიდარი.

ბზე 33,8 მხე.

ბზერა 59,23 მხერა, ცქერა; უბზერ და 29,12 უცქეროლა; მიბ- ზერ და 55,18 მიმხერლა.

ბზის უნახავი 31,10; 31,14 მხის უნახავი.

ბია 1,16 კომში.

ბიჭი 11,4; 11,16; 11,27 და სხვ. ვაჟი, ვაჟიშეილი: „რა ქენი, ჩემთ რძალო, ბიჭის ცოლი ვერ აფიქრებიგი?“ 10,7.

ბეჭურური, აბუ ტურ ება. სულელურავ, ურიგოვ, უთავმართვა
ლაპარაკი: „იგი, რომ სტუმრებთან აბაუ ტურ და შემცირებული
(ეხილით ძვალები მოტყტებათ“ 40,28.

ბუზვა 6. მობუზვა.

ბუნდრუა 2,21 თავისინებაზე სიარული, ხეტიალი; ებუნდრუა
ჩემ წებაზე დავდივარ, დაერბი.

ბურტყნა ბრტყვნა, ბურტყლის გაცლა: „ქალები ბურტყნილები
დაკლულ ქათმებს“ 15,26.

8

გაბახება 17,20; 17,27; 21,18 და სხ. შერცხვენა, სირცხვილის კმეტა;
საქეცხონდ თავის მოქრა. აქიდან: გამბაბებელი 65,8 შე-
მრცხევენელი; გაბანებებელი შერცხვენილი, თავმოქრილი.

გაბრუინება 33,4 ჟაბრებუინება.

გადაკიდება 1. საშეელის არ მიცემა; გადევევი დეთ 4,5 არ მო-
ვეშვით, არ დავესხნით, საშეელი არ მივეცით. 2. გადამტე-
რება. გადამკი და გადამეტტერა; გადაკი და ული 53,22 გადამტერებული, წამხსხებული.

გადაკიდული 6. გადაკიდება.

გადარება 38,19 გადასვლა.

გადარევა: გადეი ი ე 53,2 გადაეირიე; გადირი ე 53,5 გადაირიე,
გაგიედი.

გადაშვება კარზე 6. ქარზე გადაშვება.

გაერანება 73,2 გაოხრება, განადგურება. აქიდან: გაერანებუ-
ლი 2,8.

გაფლება გულში გატარება გულში: ურავა გვივლე უფლში
იმის შერთვა?“ 8,18.

გაწხვი 6. გაყოლა.

გაზღა გაზრღა; გეი ზდება 51,6 გაისრდება.

გაზირავება: „აზვიადებდა ცოლის შერთვას“ 6,7 აგვინებუა,
აციანურებდა.

გათხუება, გათხოვა გათხოვება; გამათხუეს 13,17 გა-
მათხოვეს.

გაუშეო ხელი 6. ხელის გაშეობა.

გაკეთება გულისა 6. გულის გაკეთება.

გალახვა 26,16 ცემა.

გამბახებელი 6. გაბახება.

- გამოტი (...გა5 მეტი): შენ ს გა მეტი 20,2; 66,27. შემს მეტა
შენს გარდა; „ა მ მ ს გ ა მ ე ტ ი ს ა რ უ ქ ი რ ა თ უ რ ე ბ ი 70,14“
ჩემს მეტს, სხვას.
- გამოლევნება: გ ა მ თ მ დ ი ე 2,28 გამომედენი.
- ვამოლანძლეა 8,17 გალანძლეა.
- გამოლევა 5,15 დალევა, გათავება.
- ვამომღირ ნ. გამოლევნება.
- გამორება გამოელა: „მემაჯვესთანაც ეიყავი და იქიდან მებუთოესთა-
ნაც გ ა მ ე ვ ი ა რ ე“ 14,13.
- გამოყრუებული 29,16 მეტად მოხუცებული, რომელსაც ალარაცერი
ესმის, ალარაცერი გაეცება. გამოყრუებული: დედაბერი, ბე-
რიკაცი, მოლაზონი. გ ა მ თ მ დ ი რ უ ვ დ ი მოვსწუდი ცვი-
ლაცერის, ქეყანის ალარაცერი გამოეცება.
- გამოხედვა: გ ა მ ე ვ ხ ე დ ა ე 35,11; 35,12 გამოეტედავ.
- გამოყუცება დაძრახვა, არ მოწონება, დაწერება: ვუმტრაუნებ
არ ვუწონებ, საქციელს ეუძრახვა; გ ა უ მ ტ რ ა უ ნ ე ბ დ ა
10,2 არ მოუწონებდა, დაუძრახავა.
- ვანდობა გამხელა. „ზადასწუვიტეს, რომ ჭარამსაც გ ა ა ნ დ თ ნ ა-
თავითვე ეს ამბავი“ 12,6 გაუმისილონ; გ ა ა ნ დ ი 66,6.
- ვა5%რახ განზრაბვით, განგებ, წინასწარ, შეცნებულად: „მას ეცნენ ხელ-
ში გ ა ნ ს რ ა ხ ამ ს ა ქ მ ი ს თ ვ ი ს მ ი წ ვ ე უ ლ ი მ ე ნ ი ბ ლ ე ბ ი“ 66,19.
- ვანძრევა: გ უ უ ნ ძ რ ე ვ ი ა 71,14 გაუწიდევით.
- ვაპარვა: გ ი ვ ი პ ა რ ვ ი 47,27; 49,3 გაეიმარები.
- ვაპარპალება გაშერება, გაქცევა: „მე და ნიკო რომ გ ა ვ პ ა რ-
პ ა ლ დ დ ე ბ ი დ ი თ ქედში წაბლისა?“ 56,21 გაეცმერებო-
დით ქედში წაბლისთვის.
- ვარევა: გ ი ე რ ი ა 29,6 გაერია.
- ვარეშე 52,20 უცხო, არა „შინაური არამიანი.
- ვარისინება გატრუნეა, გამომება: „ასე გეელსავით გ ა რ ი ს ი ნ დ ე ბ ა
და ჩეიწყველს ენას“. 36,26.
- ვარჯვა 16,28 მრომა, საქმიანობა.
- ვასაკვირალი 29,21; გ ა ს ა კ ვ ი რ ვ ა ლ ი 6,2 ვასაკვირიველი, ვასა-
კვირი, საკვირელი.
- ვატყევრა ს უ ლ ი ს ა გატრუნეა. „რომ გ ა ტ რ ვ ი რ ე ა ხ ლ ა ს უ ლ ი“.
71,10 რომ გატრუნე ახლა სულა, რომ ვაიტრუნე, ხშას რომ
არ იღებ.

გ ა ქ 3,2; 35,2 და სხვ. გაქენს.

გალიორება თავი ისა თავის გამართვა, გრძელ დატექსტური განვითარებული და ურცხვად წასელა: „რომ გ ა დ ი რწყევული განვითარების შემთხვევაში“ 46,26.

გაფენა ს ა ქ მ ი ს ა გატანა საქმის. „ამა ჰერი მოყვრობა ააღ და დასთება, თუ ამ საქმეს გ ე ი ყვან“ 41,23.

გაყოლა: გ ა ე ნ ე ვ ი 69,5 გაეჭყვი; გ ა ს ო ბ ი დ ა 43,21 გასკონდა; გ ა ს ო ბ ი 57,23 გამყები.

გაშობა გაშეება: „ვერ გ ა გ ი შობა“ 60,8 ვერ გაფიშეებ.

გაჩემება გაჩუმება, გაჩერება. „— ფეხლა გველმა ადამიანმა ეს იქნა გ ა ჩ ე მ ე ბ ა, ვითამდა ასე, მე კაი სულიერი ვარ. ზერ ია გინდა მითხარი, მე მაინც არ მეტყინება, მაგიორს არ გეტყიონ“ 36,29.

გაჩენა: გ ა ჩ ი თ ა 60,27 გაჩენდა.

გაცეხლება გაცეხლება, გაპრანება, ანთება: გ ა ც ე ხ ლ თ ე ბ ი 9,9 გაცეხლდები, აინთები.

გაწევა გაწყვეტა, გაგლეჭა: „კერძოი, რომ მომიკლავს, ეს გ ა კ უ წ ე ლ შ ი ა ნ“ 46,4.

გაწყლომა 35,6 გაწყლომა: „ხომ არ გ უ უ წ ყ ლ ა ღმერთი, ავ ხომ არ არისო“ 18,23.

გაწყობა ს ე ლ ი ს ა 6. ხელის გაწყობა.

გაჭირება 39,29 გაჭირვება.

გაჭრა 53,5 გაქცევა, უგზო-უკელოდ წასელა, დაკარგვა: „კალა გ ე ვ ი კ ა რ ი ს ა ც ხ ა“ 53,3.

გახმობა 20,14 დაძახება, გაძახება: გ ა ი ნ მ ო 66,12 დაუძახა, გაიძახა, წაიკუანა რისამე სათქმელად.

გახმობიდა 6. გაყოლა.

გახმობი 6. გაყოლა.

გება: „სიტყვის თქმას ვერ ა გ ე ბ დ ა“ 44,3 სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა.

გეგონენ 29,7 გეგონათ.

გეჯვენ 6. ყოფნა.

გვარიანი 38,5 რიგიანი, საქმიანდ ძლიერი: „ხან-ზა-ხან გვარიან ქარ-ბუქად გადაიქცეოდა“ 7,4. იტყვიან: „გ ვ ა რ ი ა ნ ი ა“ საქ-მაოდ დარგია, რიგიანია.

გვზითი 31,5; 31,10 მზითევი.

გვირგვინი 6. უგვირგვინოდ.

- გზობა 29,20 -გზის, კერი, ხელ: ერთი გზობა 53,26 მეტა ჰარევადა
გიგუშობა: „მოთმენის მეტი რაღა გიგუშობა“ 54,5 გაუწყობა გიგუშობა
გიგუშობა 6. ჩივ.
- გლახა 7,18; 30,2 ცუდი.
- გლოვარე 34,17; 35,1 მგლოვარე; საგლოვარო 34,17
სამგლოვარო.
- განება: გვგონის 29,17 გვგონათ; გონის 54,9 გვგონა.
- გრძელიანი 6. შავერუმანი.
- გულ-ამჩილებით 33,28 გულ-ამჩილებით.
- გულ-გახსნილი 10,4 გულ-ახსნილი.
- გულ-დათურქული 26,26 გულ-დამჭერი.
- გულ-ჭანდობილი 15,14 გულდა-მშეიღებული, გერ-შეუპარებელი.
